საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 097 (12 472) 26 აპრილი შაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## ახალი თასი ტრადიციიდან მოდის

პრეზენტაცია

»» 4

## დიდი მატჩი სტემფორდ ბრიჯზე

დღეს
ჩელსი-მანჩესტერ იუნაიტედია

»» 6



# ვიძიოთ შური ესპანეთზე!



დღეს. დიდი რაგბი.
საქართველო-ესპანეთი

»» 11

EXCLUSIVE ინტერვიუ კლაუდიო კანიჯასთან

# შოთა მაგარია და ამიტომაც მოვდივარ

ჩამოვალ და მაჩვენეთ ერთი, როგორ გიყვართ არგენტინა





»» 3

# ფრიადოსანი ამერი

საქართველოს ჩემპიონატი

»» 2-3



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XXIII ტური

# ფრიადოსანი ამერი

**ამერი-მგლები**

**5:0**

24.04. თბილისი. ამერი
600 მაყურებელი

1:0 რ. გოცირიძე (43. დიდავას პასით), 2:0 ელბაქიძე (49), 3:0 დობროვოლსკი (53. დეკანოსიძის პასით), 4:0 ტატანაშვილი (85. დეკანოსიძის პასით), 5:0 ტატანაშვილი (88. დიდავას პასით)

ამერი: ნადირაშვილი - მემარნიშვილი, კაკაშვილი, ჩიკვილაძე, ელბაქიძე - დოლიძე (70. სილაგავა), დობროვოლსკი, დიდავა, დეკანოსიძე - დავითაშვილი (63. შალამბერიძე), რ. გოცირიძე (55. ტატანაშვილი)

*სათადარიგოები: ქვაჩახია, მესხი, ჩიმაკაძე, დავითნიძე*

მგლები: ივარდავა - ზ. ექონია, ხუხია, ჟვანია, გ. ქირია - დ. ქირია, გ. ექონია (46. კუჭუხიძე), კრასოვსკი, ნურნუმია - ჯანაშია (55. ქომეთიანი), ჭკადუა (83. ი. ჯიშკარიანი)

*სათადარიგოები: ჭითანავა, ვ. ლიპარტია*

გაფრთხილება: მემარნიშვილი (24), დეკანოსიძე (71)

არბიტრი: მ. ურუშაძე

**5**. ელბაქიძის ფლანგური პასის მერე გოცირიძის თავური მიზანს ასცდა.

**14**. დეკანოსიძის ჩინებული პასით დავითაშვილმა ვერ ისარგებლა.

**22**. ჭკადუა და ჯანაშია მასპინძელთა ერთი მცველის წინააღმდეგ დარჩნენ, მაგრამ მომენტი ვერ შეიშნეს.

**32**. კრასოვსკიმ ხელსაყრელი მომენტით ვერ ისარგებლა.

**40**. დავითაშვილმა ყველაფერი ჩინებულად შეასრულა, მაგრამ ივარდავამ ბურთი "ცხრიანიდან" მოხსნა.

**43**. 1:0 - **დიდავას** ზუსტი პასის მერე გოცირიძემ თავით ოსტატური გოლი გაიტანა.

**44**. გოცირიძემ უაღრესად ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა.

**49**. 2:0 - ელქაბიძემ 25 მეტრიდან ეფექტური გოლი გაიტანა.

**53**. 3:0 - **დობროვოლსკიმ** მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში ბურთი ზუსტად გაგზავნა.

**54**. კრასოვსკის ეფექტური თამაში ზუსტი დარტყმით დასრულდა, მაგრამ **ნადირაშვილმა** არანაკლებ ჩინებულად ითამაშა.

**54**. "ამერის" მეკარემ კვლავაც ჩინებული რეაქცია გამოამჟღავნა, არადა, ხუხია ორი მეტრიდან თავით ურტყამდა.

**63**. დავითაშვილის საჯარიმო დარტყმა ოდნავ არაზუსტი აღმოჩნდა.

**64**. დეკანოსიძის ჩინებული პასით დოლიძემ ვერ იხეირა.

**68**. დეკანოსიძემ ამჯერად ტატანაშვილს გაუწია ასისტენტობა.

**74**. შალამბერიძე-ტატანაშვილის კომბინაცია კინაღამ მეოთხე გოლით დასრულდა.

**76**. დეკანოსიძემ საჯარიმო დარტყმა ოსტატურად შეასრულა, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა.

**78**. სილაგავას პასის მერე ტატანაშვილმა უაღრესად ხელსაყრელი მომენტი გააცუდა.

**83**. დეკანოსიძემ ამჯერად სილაგავა გაიყვანა დასარტყამ პოზიციაზე, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

**85**. 4:0 - დიდავამ ბურთი თავზე დაასვა ტატანაშვილს.

**88**. 5:0 - დეკანოსიძის ჩინებულ გადაცემას ტატანაშვილის ზუსტი დარტყმა მოჰყვა.




დეკანოსიძე ამერელთა შემადგენლობაში საუკეთესო იყო

...სად არის პირველ წრეში დაკარგული ქულები? ჰო, ეგრეა - რომ არა სეზონის წარუმატებელი დასაწყისი, "ამერს", ფეხბურთის ყველა წესითა და რიგით, სამეულში მოსახვედრად კი არა, ჩემპიონობისთვის უნდა ებრძოლა.

მეორე წრეში კი უკვე ნამდვილ "ამერს" ვხედავთ, ყველა მატჩში შეტევაზე მომართულსა და უაღრესად მოტივირებულს. ეგ კი არა, უკვე მიეჩვიეთ კიდეც, რომ **გიორგი ჩიხრაძის** გუნდმა მეტოქის კარში ოთხი-ხუთი ბურთი უნდა გაიტანოს. აი გუშინ კი, "ამერს" თავისუფლად შეეძლო ეროვნული ჩემპიონატის რეკორდიც დაემყარებინა და ორნიშნა სხვაობით დაემარცხებინა მეტოქე. ამის დასტურად ზემოთ მოყვანილი სტენოგრამაც გამოდგება - ჯერ მარტო მეორე ტაიმში მასპინძლებმა შვიდი-რვა ისეთი მომენტი შექმნეს, საგოლეზე მეტი რომ ეთქმოდა. მოკლედ, ადვილი მისახვედრია, თუ რა ხდებოდა გუშინდელი მატჩის მეორე ტაიმში - ეს, ალბათ, ცალკარაზე მეტიც იყო.

არადა, პირველი ტაიმის შემხედვარე ვერავინ იფიქრებდა, მასპინძლები ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით რომ გაიმარჯვებდნენ. "მგლებმა" შეხვედრის ამ მონაკვეთში ფავორიტ-მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობაც გაუწია და ერთ-ორ ეპიზოდში მწვავე კონტრშეტევაც განახორციელა. და მაინც, ტაიმის მიწურულს **რეზო გოცირიძის** გოლი ლოგიკურად ჩანდა.

აი, მეორე ტაიმში კი სტუმართა მეკარე და მცველები ვერაფერს ახერხებდნენ "ამერის" შეტევების შესაჩერებლად. სტუმართა შუა ხაზიც უნდა ვახსენოთ, რამეთუ მოედნის ცენტრი პირწმინდად "ამერის" ნახევარმცველებისგან იყო ოკუპირებული. აბა შეხედეთ, რა ფეხბურთელები ჰყავს "ამერს" ამ რგოლში: **გრიგოლ დოლიძე, გივი დიდავა, დენის დობროვოლსკი და გიორგი დეკანოსიძე**. დიდავამ და დეკანოსიძემ გუშინ ორ-ორი საგოლე პასი მიითვალეს, დობროვოლსკიმ, როგორც სჩვევია, შორეული დარტყმით გაიტანა; ამას გარდა, იმავე დეკანოსიძემ, ათეული (!) ისეთი პასი გააკეთა, თანაგუნდელები სტუმართა მეკარესთან პირისპირ რომ რჩებოდა. გუშინდელ მატჩში მასპინძელთა კაპიტანს გიორგი დეკანოსიძეს ერთადერთი, გოლი აკლდა, თუმცა უამისოდაც თამამად შეგვიძლია, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დავასახელოთ.

და კიდევ ერთ კონკრეტულ ფეხბურთელზეც - ალბათ, ფუფუნებაზე მეტია, **დიმიტრი ტატანაშვილი** შეცვლებზე რომ შემოდის ხოლმე. თუმცა ტატანაშვილმა თავისი საქმე მაინც ფრიადზე შეასრულა (ისე, როგორც მისმა ყველა თანაგუნდელმა, მეკარე **ლადო ნადირაშვილის** ჩათვლით) - ორი გოლი გაიტანა და სულ მცირე, სამი კიდევ შეეძლო. საერთოდაც, ნებისმიერი გუნდისთვის გრძელი სათადარიგოთა სკამი წარმატების აუცილებელი პირობაა. "ამერს" ეს პრობლემა, დღიდან დაარსებისა, არ აწუხებს; აი, "მგლების" მთავარმა მწვრთნელმა **ბესიკ შეროზიამ** კი გუშინ ძირითადი შემადგენლობის ერთდროულად ოთხი ფეხბურთელი (**მაჭავარიანი, ხოხონიშვილი, კაკაბაძე, ვართაგავა**) მოისაკლისა. ჰოდა, სტუმართა დიდი ანგარიშით წაგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ესეც იყო. და მაინც, გუშინ "ამერმა" ფრიადოსანი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა...

**გია ტუხაშვილი**

# ბათუმელთა უსუსური მასპინძლობა

**ბათუმი-ვიტ ჯორჯია**

**0:3**

25.04. ბათუმი. ადელი
300 მაყურებელი

0:1 ბექვაია (8), 0:2 ბექვაია (22. მელქაძის პასით), 0:3 ყველაშვილი (25, პ. დათუნაიშვილის პასით)

ბათუმი: სტურუა - კუნჭულია (კაკალაძე 55), კ.მახარაძე, თედორაძე, ბაჯელიძე - ცანავა, ბეჟანიძე (ოქრუაშვილი 59), ბაბუნაშვილი, ქებაძე - გაგა ჩხეტიანი (ტულუში 64), გ. ნოდ. ჭელიძე

*სათადარიგოები: თოთლაძე, ფარტენაძე, გალოგრე, ქუთათელაძე*

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - პ. დათუნაიშვილი, ყველაშვილი, ლომაია, ჯაფარიძე - რაზმაძე, ბექვაია, კლიმიაშვილი (გ.დათუნაიშვილი 85) - მელქაძე, სახოკია (ლიპარტია 76), ლუჭაშვილი (ბერიაშვილი 55)

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, ადამაძე, კვალინიძე, მაისაშვილი*

გაფრთხილება: ბაბუნაშვილი (56), ოქრუაშვილი (79)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი




მეორე გოლი მასპინძელთა კარში

გურამ ტურაშვილის ფოტო

ბათუმურ მატჩში, რომელშიც აშკარა ფავორიტი „ვიტ ჯორჯია" იყო, მასპინძელთა გამარჯვებას ყველაზე ოპტიმისტი გულშემატკივარიც კი ვერ იწინასწარმეტყველებდა. შეხვედრა თავიდანვე სტუმართა უპირატესობით დაიწყო და ასეც დასრულდა.

ტერიტორიულ უპირატესობას თბილისელები ფლობდნენ. მე-7 წუთზე მათ ერთბაშად სამი კუთხური მოაწოდეს, რომელთაგან უკანასკნელი გოლით დააგვირგვინეს. **მელქაძის** მიერ ჩამოწოდებული კუთხური მცველებმა გამოიტანეს, მაგრამ **რაზმაძემ** შორიდან დაარტყა, საჯარიმოში მდგომმა **ბექვაიამ** კი თავით მიმართულება შეუცვალა ბურთს და ანგარიშიც გაიხსნა.

22-ე წუთზე ბექვაიამ დუბლი შეასრულა და ამჯერადაც სტანდარტული მდგომარეობიდან. კვლავ მელქაძის კუთხური და ისევ ბექვაიას თავური დარტყმა — 0:2. სამიოდ წუთში კუთხურის ნიშნულთან **პავლე დათუნაიშვილი** მივიდა. მის მიერ ჩაწოდებულ ბურთს პირველი **ყველაშვილი** შეეგება და მეორე სართულიდან აიღო მასპინძელთა კარი. დარჩენილ დროში აბსოლუტურად არაფერი მომხდარა ისეთი, რომლის აღნიშვნაც ღირს, გარდა ერთი მომენტისა, რომლის დროსაც მეტოქე გუნდის ფეხბურთელები ერთმანეთს ნაეჩხუბნენ. თუმცა **კრიჭაშვილმა** დროულად განმუხტა ვითარება და თამაშიც მალე დასრულდა.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

**XXIII ტური**

**დღეს**

| | |
|---|---|
| 16:00 | ბორჯომი-დილა |
| 16:00 | მერანი-ლოკომოტივი (LIVE) |
| 16:00 | სპარტაკი-ზესტაფონი |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 23 | 20 | 1 | 2 | 58-13 | 61 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 23 | 18 | 3 | 2 | 43-10 | 57 |
| 3. ზესტაფონი | 22 | 17 | 3 | 2 | 51-12 | 54 |
| 4. ამერი | 23 | 14 | 2 | 7 | 46-24 | 44 |
| 5. ოლიმპი | 23 | 13 | 4 | 6 | 23-16 | 43 |
| 6. მესხეთი | 23 | 9 | 5 | 9 | 24-28 | 32 |
| 7. ბორჯომი | 22 | 8 | 4 | 10 | 25-27 | 28 |
| 8. მგლები | 23 | 8 | 3 | 12 | 21-29 | 27 |
| 9. სიონი | 23 | 7 | 5 | 11 | 24-32 | 26 |
| 10. ლოკომოტ. | 22 | 5 | 5 | 12 | 15-26 | 20 |
| 11. სპარტაკი | 22 | 4 | 6 | 12 | 8-23 | 18 |
| 12. მერანი | 22 | 5 | 1 | 16 | 12-45 | 16 |
| 13. ბათუმი | 23 | 4 | 3 | 16 | 13-44 | 15 |
| 14. დილა | 22 | 1 | 5 | 16 | 8-43 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| **ხუციშვილი (დინამო)** | 14 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 12 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 12 |
| **ვიეირა (ზესტაფონი)** | 11 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 9 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 9 |
| აკირემი (დინამო) | 9 |
| რ. გოცირიძე (ამერი) | 9 |
| **გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტ./ბათუმი)** | 8 |
| **გელაშვილი (ვიტ./ზესტაფონი)** | 8 |
| **ინასარიძე (მესხეთი)** | 8 |

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ოლიმპის იღბლიანი სამი ქულა

**სიონი-ოლიმპი**

**1:2**

**25.04. ბოლნისი. თ. სტეფანია**
**400 მაყურებელი**

1:0 ავალიანი (44), 1:1 გეწაძე (60), 1:2 კახელიშვილი (65. დევდარიანის პასით)

სიონი: იაშვილი - ქურასბედიანი (81. გ. ნუგ. ჭელიძე), სვანიძე, ბოიომო, კობაური - ზ. ჭელიძე, ოქროპირიძე (68. შ. ჯიქია), ზ. ავალიანი, შავგულიძე (70. კვიტაიშვილი), სანიკიძე - ჩასემი

*სათადარიგოები:* ბობლიაშვილი, კეტაშვილი, ვაშაკიძე, ნოზაძე

ოლიმპი: ლომაია - ორბელაძე, მგელაძე, მახვილაძე, სებისკვერაძე - კახელიშვილი, ჯოჯუა, დევდარიანი, ხუბუა (46. გაბედავა), გეწაძე (78. მეტრეველი) - ომელიანოვი

*სათადარიგოები:* შეყრილაძე, რეხვიაშვილი.

გაფრთხილება: ოქროპირიძე (63), კახელიშვილი (79), ბოიომო (82)

გაძევება: დ. ასლანაძე ("სიონის" მწვრთნელი)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

**25**. შავგულიძის მიერ დარტყმული ლომაიას ნადავლი გახდა.

**27**. გეწაძემ ახლოდან დაარტყა, მაგრამ მცირედით ააცილა.

**38**. **ქურასბედიანმა** ჩინებული პასით ავალიანი ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ მის დარტყმასაც ლომაია გადაეფარა.

**44**. 1:0 - ორთაბრძოლისას გადმოვარდნილი ბურთი **ავალიანს** მიუვიდა და შეუჩერებლივ, ძლიერად დაარტყა. ლომაია უძლური გახლდათ და ეფექტური გოლი ვიხილეთ.

**47**. **სანიკიძემ** გაისროლა, ლომაია კვლავ ადგილზეა.

**57**. შტურმი სტუმართა კართან. **ჩასემის** ახლოდან დარტყმული ლომაიამ მოიგერია, დამატებაზე შავგულიძემ ძლიერად კი დაარტყა, მაგრამ **მახვილაძემ** მოასწრო და ბოლო მომენტში ფეხი დაუფარა. რუსთაველები გადარჩნენ.

**60**. 1:1 - საჯარიმოს მისადგომებთან **ჯოჯუამ** ჯარიმა მოიპოვა. გეწაძემ საჯარიმო დარტყმა ოსტატურად შეასრულა, ცოცხალ კედელს ბურთი გადაავლო და ლამაზი გოლით ანგარიში გაათანაბრა.

**61.** მარჯვენა ფრთიდან **ქურასბედიანის** ჩაკიდებულ ბურთზე შავგულიძესთან საჰაერო ორთაბრძოლისას **ორბელაძეს** ბურთი ხელზე მოხვდა. მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ ორბელაძეს ხელით განზრახ არ უთამაშია. არბიტრმაც თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა.

**65**. 1:2 - **დევდარიანის** უზადო პასი **კახელიშვილმა** დაიფასა, კობაური ჩამოიცილა და გამარჯვების გოლი გაიტანა.

**77**. "სიონის" მეკარეთა მწვრთნელმა **დავით ასლანაძემ** არბიტრ **ლევან ფანიაშვილის** გადაწყვეტილება ტაშითა და კომპლიმენტით "ყოჩაღ, ყოჩაღო" - გააპროტესტა. მსაჯმა ის მოედნიდან გააძევა. თუმცა წითელი ბარათი არ უჩვენებია, უბრალოდ, ხელით ანიშნა მოედანი დაეტოვებინა.

**80**. ავალიანის მიერ შესრულებული ჯარიმა მცირედით ასცდა მიზანს.

**90**. კახელიშვილმა კობაური ჩამოიცილა, მაგრამ ბოლო მომენტში დაჯარიმდა, თორემ კახელიშვილის პასით **ომელიანოვი** ცარიელ კარში გაიტანდა.



გიორგი ლომაია

ქვემო ქართლის დერბიში რუსთაველებს მართლაც რომ იღბალი ჰქონდათ, თორემ ლოგიკურად, მატჩი ფრედ მაინც უნდა დასრულებულიყო. "ოლიმპის" თავკაცმა **ხვიჩა ქასრაშვილმა** (რომელიც თავის დროზე სიონსაც წვრთნიდა) შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ზუსტად ეს თქვა. პირველ ნახევარსა და მეორე ტაიმის დიდ ნაწილში სწორედ მასპინძლები დომინირებდნენ. ბოლნისელთა თავკაცმა **გიორგი ყიფშიძემ** ყველაფერი გააკეთა გამარჯვებისთვის. ჯერ იყო და მან **ლევან სანიკიძესა და ზაზა ჭელიძეს** ფლანგები შეაცვლევინა. მეორე ფორვარდად **შოთა ჯიქია** დაამატა, როცა საჭირო იყო. სამ მცველზეც გადაანწყო თამაში, მაგრამ გუშინ ბოლნისელთა დღე, როგორც იტყვიან, არ ყოფილა. რუსთაველებმა ორჯერ დაარტყეს კარში რიგიანად და ორივეჯერ გაიტანეს.

რაც შეეხება გამორჩეულებს, მასპინელთა შორის **ქურასბედიანი** კვლავ გამოსაყოფი იყო. დაცვის გარდა, ის შეტევაშიც ხშირად მონაწილეობდა და კარგ გადაცემებსაც აკეთებდა. კარგი იყო **შავგულიძეც, ავალიანმაც** იმუშავა და ანგარიშიც გახსნა. სტუმართა რიგებში საიმედო გახლდათ მეკარე **გიორგი ლომაია**. ორი უგოლო თამაშის შემდეგ, მესამე შეხვედრაში მშრალად დგომა ვერ შეძლო, მაგრამ მიღებულ გოლში ძნელია მისი დადანაშაულება. დაცვაში გამოცდილი **ორბელაძე** და **მახვილაძე** გამოირჩეოდნენ. დევდარიანმა კი ჩინებული პასები არიგა. ფლანგებზე კარგად იმუშავეს **კახელიშვილმა და გეწაძემ**. ეს უკანასკნელი ლამაზი გოლითაც გამოირჩა.

*"ნამდვილად არ შემიგინებია. სტადიონზე ვინც იყო, ყველამ გაიგონა ჩემს მიერ წარმოთქმული სიტყვები, ყოჩაღმეთქი და ტაში დავუკარი არბიტრს, ეს იყო და ეს. ვერ გავიგე რატომ გამაძევა, მაგრამ წითელი ბარათი რატომ არ მიჩვენა?* - მედიასთან საუბარში აღნიშნა მატჩის შემდეგ დავით ასლანაძემ.

"ოლიმპმა" ბოლნისში მნიშვნელოვანი სამი ქულა მიითვალა და ინტერტოტოს საგზურისთვის ბრძოლას აგრძელებს.

## პრესკონფერენცია

**ხვიჩა ქასრაშვილი (ოლიმპი)**: "პირველ ტაიმში ჩემი გუნდის მიერ ნაჩვენები თამაშით უკმაყოფილო დავრჩი. მეორე ნახევარში კი უკეთ ვითამაშეთ. "სიონი" კარგი გუნდია. კოლეგა კომპლიმენტებში ნუ ჩამომართმევს, მაგრამ დღეს გაგვიმართლა და ამიტომ მოვიგეთ, თორემ ფრე ლოგიკური შედეგი იქნებოდა.

სილაგაძე რატომ არ გვყავდა? დილით შეკრებაზე სიცხიანი გამოცხადდა და გავათავისუფლეთ. ჭიჭველიშვილი კვლავ დაშავებულია და კარგი იქნება, თუ ამ სეზონში თამაშს მოასწრებს, მაგრამ მეჭვება. უკრაინელი კოვალევსკი კი გამოგვემშვიდობა და სამშობლოში დაბრუნდა".

**გიორგი ყიფშიძე (სიონი)**: "რა უნდა ვთქვა, მეტოქემ ორჯერ დაარტყა ჩვენს კარში და ორივე გაგვიტანა. იღბალი აშკარად "ოლიმპის" მხარეს იყო, თორემ კიდევ ერთი გოლი მაინც უნდა გაგვეტანა. რაც შეეხება მიღებულ გოლებს, მეკარის უხეში შეცდომით ავხსნიდი. გეწაძემ საჯარიმო კარგად კი შეასრულა, მაგრამ ცოცხალი კედელი ურიგოდ არ იყო დაყენებული. მეორე გოლიც მეკარის ბრალი იყო".

**დავით ცაგაძე**
**ბოლნისი-თბილისი**

ინტერვიუ კლაუდიო კანიჯასთან

# შოთაობაზე თბილისში კანიჯაც მოდის

## ჩამოვალ და დამანახეთ, როგორ გიყვართ არგენტინა! დამიჯერეთ, მარადონას ძალიან კარგი გული აქვს!

**კლაუდიო კანიჯა**

09.01.1967

| | | მატჩი | გოლი |
|---|---|---|---|
| 1985-88 | რივერ პლეიტი | 51 | 8 |
| 1988-89 | ვერონა | 21 | 3 |
| 1989-92 | ატალანტა | 85 | 22 |
| 1992-94 | რომა | 20 | 4 |
| 1994-95 | ბენფიკა | 20 | 9 |
| 1995-98 | ბოკა ხუნიორსი | 60 | 28 |
| 1999-00 | ატალანტა | 17 | 1 |
| 2000-01 | დანდი | 25 | 8 |
| 2001-03 | რეინჯერსი | 50 | 13 |
| 2003-04 | ყატარი | 15 | 5 |
| ეროვნული ნაკრები: | | 50 | 16 |



**კლაუდიო კანიჯა** - ლამაზი გოლები, არგენტინა, მარადონა... ბევრი განცდა, ბევრი ემოცია და ამბავია ამ ორი სიტყვის უკან...

1990 წელი, იტალია - არგენტინის ნაკრებს მარადონა და კანიჯა ლამის მხრებით ეზიდებოდნენ. მარადონამ და კანიჯამ მაშინ დაამარცხეს ბრაზილია და იტალია, არგენტინა ფინალამდე მივიდა...

კანიჯა შოთა არველაძის თანაგუნდელიც იყო "აიბროქსზე". 3 ივნისს თბილისში ის და შოთა კიდევ ერთხელ იქნებიან თანაგუნდელები დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის საუკეთესო თავდამსხმელის გამოსათხოვარ მატჩში...

კანიჯა "რეინჯერსამდე" დანდიშიც" თამაშობდა გია ნემსაძესთან ერთად, თუმცა ინტერვიუში გვითხრა, ქართველებს ჯერ კარგად არ გიცნობთო...

კანიჯასან დაკავშირებაში, რა თქმა უნდა, შოთა დაგვეხმარა. სატელეფონო ინტერვიუში ვერ ჩავატევდით ვერც ფეხბურთელ კანიჯას და ვერც მის ნატურას, თუმცა, ვფიქრობთ,მასთან ინტერვიუ მაინც საინტერესო იქნება, განსაკუთრებით არგენტინული ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის.

**- თქვენი საქართველოში ჩამოსვლა სათუო არ იქნება?**

- არა მგონია, რამემ ხელი შემიშალოს - 3 ივნისის თამაშისთვის საქართველოში აუცილებლად ჩამოვალ.

**- თქვენ ყოფილი თანაგუნდელის გამოსათხოვარ მატჩზე მოდიხართ - როგორ დაახასიათებდით შოთა არველაძეს, როგორც ფეხბურთესა და როგორც პიროვნებას?**

- ძალიან კარგი ფეხბურთელი იყო, რომელშიც მე გამჭრიახობას გამოვარჩევდი - როცა თავდამსხმელი ჭკვიანია, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. არველაძე კიდევ იმიტომ მომწონს, რომ სამხრეთამერიკული სტილის ფეხბურთს თამაშობდა. რაც შეეხება პიროვნულ თვისებებს, ის ძალიან კარგი ბიჭია, რომ არა ეს, მის გამოსათხოვარ მატჩზე არც ჩამოვიდოდი.

**- უკვე მეოთხე წელია, რაც ფეხბურთელობას თავი დაანებეთ, 3 ივნისს კი მოედანზე მოგიწევთ გასვლა. ახლა როგორ ფორმაში ხართ?**

- შეიძლება ითქვას, ნორმალურ ფორმაში ვარ, ყოველდღე თუ არა, კვირაში რამდენიმე დღე აუცილებლად ვვარჯიშობ. ზედმეტი წონა არ მაწუხებს, 70 კილო ვარ. მოკლედ, თბილისში თამაში არ უნდა გამიჭირდეს.

**- ფეხბურთელის კარიერა ყატარში დაასრულეთ, სადაც მხოლოდ ერთი სეზონი ითამაშეთ - ვერ შეეგუეთ იქაურობას და ამიტომ წახვედით ყატარიდან?**

- არა, მიზეზი ეს არ იყო. ყატარში თასი მოვიგეთ და რამდენიმე გოლიც გავიტანე. იქაურობას ვეგუებოდი, უბრალოდ, თამაშის დასრულება მინდოდა.

**- საცხოვრებლად ესპანეთი არჩიეთ. სამშობლოში რატომ არ დაბრუნდით?**

- მომწონს ესპანეთში ცხოვრება, ყველაფერთან ერთად ამინდიც კარგია. მარბელიაში ვცხოვრობ და ყველაფრით კმაყოფილი ვარ. მთავარი, რის გამოც ვარჩიე ესპანეთში ცხოვრება, ჩემი შვილებია - ისინი ინგლისურ სკოლაში დადიან, არგენტინაში კი ერთი-ორი ინგლისური სკოლაა და დიდი არჩევანი არ არის.



კანიჯა და მარადონა ბოკას და ერთმანეთის სიყვარულში ასედაც დაშვრნენ

**- თქვენს მეგობარზე, დიეგო მარადონაზეც უნდა გკითხოთ - ამ დროისთვის როგორაა მისი ჯანმრთელობა?**

- ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს და ახლაც ვმეგობრობთ. მისი ჯანმრთელობა უკეთესობისკენ მიდის, მარადონა ძალიან კარგი ადამიანია, ხანდახან ექსცენტრულია, მაგრამ დამიჯერეთ, მას ძალიან კარგი გული აქვს.

**- თქვენ რას საქმიანობთ? მწვრთნელობას ხომ არ აპირებთ?**

- მენეჯერული საქმიანობა ვარჩიე - უკვე რამდენიმე არგენტინელ ფეხბურთელს შევუწყვე ხელი ინგლისში და იტალიაში გადასვლაში. ძალიან მინდა, რომ განსაკუთრებით ახალგაზრდა არგენტინელებს დავეხმარო, ევროპაში რომ წამოვიდნენ სათამაშოდ. აგვისტოში კი მარბელიაში ბავშვთა საფეხბურთო აკადემიას გავხსნი.

**- ქართველებზე მცირე,თუმც გარკვეული წარმოდგენა ალბათ უკვე გაქვთ - როგორ შეადარებდით არგენტინულ და ქართულ მენტალიტეტს?**

- ქართულ მენტალიტეტს არ ვიცნობ, რადგან ქართველებიდან მხოლოდ შოთას ვიცნობ, თუმცა, მგონი "დანდიშიც" იყო ერთი და შოთას მერე "რეინჯერსშიც" მივიდა კიდევ ერთი ქართველი.

**- გიორგი ნემსაძე და ზურაბ ხიზანიშვილი...**

- კი, მასეა. შოთას კარგი მენტალიტეტი აქვს, მასთან ერთი წელი ვითამაშე და სულ განსაკუთრებული ჟინით გადიოდა მინდორზე, სულ მოგება უნდოდა. მერწმუნეთ, ეს არ აქვს ყველა ფეხბურთელს. მიმაჩნია, რომ არგენტინელებს ყოველთვის განსაკუთრებული ჟინი გვქონდა და შოთაც გვგავს ამაში.

**- არგენტინულ ფეხბურთს ბევრი გულშემატკივარი ჰყავს საქართველოში - რას ეტყოდით მათ?**

- შოთამ მითხრა, რომ არგენტინის ნაკრებს საქართველოში ძალიან ბევრი გულშემატკივრობს და რომ არგენტინელი ფეხბურთელები თქვენთან განსაკუთრებით უყვართ - ქართველ ხალხში ამას ძალიან ვაფასებ და იმედი მაქვს, თქვენთან რომ ჩამოვალ, ამას დავინახავ.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

# ეროვნული თასის ფინალი 16 მაისს გაიმართება

## ახალი თასი ეთნოგრაფიულ მუზეუმში აღმოაჩინეს

საქართველოში 16 მაისს ახალი თასი გათამაშდება – ვერცხლში ჩასმული ულამაზესი ნაკეთობა, რომელიც გამარჯვებულს გულს გაუხარებს და დამარცხებულს ტკივილს გაუძლიერებს.

გუშინ "ლოკომოტივის" სტადიონზე პროფესიული ფეხბურთის ლიგამ საქართველოს **დავით ყიფიანის** სახელობის "ყაზბეგის" თასის ახალი თასი გამოამზეურა.

იხილეთ სურათზე – ლიგის მიერ შეკვეთილი ახალი ნაკეთობა მართლაც იშვიათი სილამაზისაა. ლიგის ხელმძღვანელობა ტყუილად არ ამაყობს. ვერცხლის თასი სილამაზით ყველას გაეჯიბრება.




**პაატა ბურჯალიანი**, პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური დირექტორი:

- გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის სხდომა გაიმართა, რომელზეც რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდა. დღევანდელ პრესკონფერენციაზე სწორედ ამ გადაწყვეტილებებზე გესაუბრებით.

**დიმიტრი რამიშვილი**, პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი:

- მინდა მოგილოცოთ ახალი, შესანიშნავი თასი, რომელზეც გია ჯაფარიძე და ბიძინა ბიძინაშვილი მუშაობდნენ. ეს არის ლამაზი და მყარი თასი. ახალ ჯილდოს საინტერესო ისტორია აქვს. ის ადრე იყო ხის, სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა და აღმოსავლეთის მთიანეთში გამოიყენებოდა. მისი პირვანდელი სახე დაცულია და გათანამედროვებულია, ბუნებრივია, უფრო სპორტულია.

ჯერ არ გადაგვიწყვეტია, თასი გარდამავალი იქნება, თუ ვთქვათ, სამჯერ მფლობელის საკუთრებაში დარჩება. როგორც გაირკვა, ვერცხლის დამუშავება ძალიან რთული აღმოჩნდა. გამგეობაზე ასეთი აზრი დაიბადა, რომ გამარჯვებულის სახელი თასზე ამოვტვიფროთ, როგორც ეს პრესტიჟულ ევროპული თასების შემთხვევაში ხდება და ყველას მოგვეწონა.

ამას გარდა, პროფესიული ლიგის გამგეობის გუშინდელ სხდომაზე თასის ფინალის დღე შეიცვალა. ეროვნული ნაკრები 27 მაისს ესტონეთში თამაშობს და მისი ინტერესის გათვალისწინებით, თასის ფინალი 16 მაისისთვის გადმოვიტანეთ. არაა გამორიცხული, ფინალისტი გუნდების ფეხბურთელები ეროვნულ ნაკრებში გამოიძახონ, რაც უხერხულობას შეუქმნიდა ნაკრებსაც და კლუბებსაც. მატჩის გადმოტანა ორივეს ინტერესში იყო და მისაღებ ვარიანტზე შევთანხმდით. იმავე მიზეზით, ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტური 20 მაისს გაიმართება.

თასის ფინალური შეხვედრა ეროვნულ სტადიონზე შედგება და მის პირდაპირ რეპორტაჟს ტელეკომპანია "მზე" გადასცემს. შეხვედრის დაწყების ზუსტი დრო კი მალე დადგინდება. ეს ის ძირითადი საკითხებია, რომლებიც გამგეობაზე გადაწყდა.

**პაატა ბურჯალიანი**, პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური მდივანი:

- კიდევ ერთი საკითხი, რომელიც გამგეობაზე გადაწყდა, ლიგის ახალ წევრს შეეხებოდა. გამგეობის გადაწყვეტილებით, პროფესიული ფეხბურთის ლიგის ახალი წევრი პირველი ლიგის გუნდი, მარტვილის " მერანი" გახდა.

სხვათა შორის, ახალი თასის დაკვეთამდე, ეთნოგრაფიული ექსპედიცია ჩატარდა და მისი ორიგინალი თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული. თასს ბოლნური ჯვრის ფორმა აქვს, გარედან მთლიანად ვერცხლისაა და სამ კილოგრამს იწონის.

**ნიკა ბახტაძე**, კომპანია "ყაზბეგის" გენერალური დირექტორი:

- შევუერთდები ლიგის პრეზიდენტის მილოცვას. საქართველოს თასი ამიერიდან არის მართლაც ძალიან ლამაზი. ის ტრადიციის სიმბოლური გამეორება იქნება. ადრე ასეთი თასი მთაში ხელიდან ხელში გადადიოდა, ახლა კი გარდამავალი საფეხბურთო თასი იქნება.

"ყაზბეგმა" მთა-თუშეთსა და აღმოსავლეთ მთიანეთში ექსპედიცია, ძველი ქართული თასის მოსაძიებლად დააფინანსა. ვფიქრობ, ის სილამაზით არაფრით ჩამოუვარდება ყველაზე პრესტიჟულ თასებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# ვაჟა თარხნიშვილი: მარადმწვანე ჩემპიონი



თარხნიშვილი (№5) შერიფელებთან ერთად ჩემპიონობას ზეიმობს



კვირკველიას გოლს ულოცავენ

**გუშინ** ქართულმა ლეგიონმა ორი სასიამოვნო ამბით შეგვახსენა თავი: გორის "დილის" ყოფილმა მცველმა ვაჟა თარხნიშვილმა ზედიზედ მერვედ მოიგო მოლდოვის ჩემპიონატი, ხოლო რუბინელმა დავით კვირკველიამ თავის კლუბს გატანილი გოლით რუსეთის რეკორდი დაამყარებინა.

### ალაჰის მადლით

ქართული ტრიოს ყაზანის "რუბინმა" ახალი რუსული რეკორდი დაამყარა - ჩემპიონატის სტარტზე ზედიზედ მეშვიდე მატჩი მოიგო. ამაში ლომის წილი თათრეთის მთავარი გუნდის ქართველმა **დავით კვირკველიამ** დაიდო, რომელმაც 29-ე წუთზე კუთხურის შემდეგ ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში. ეს კვირკველიას მეორე გოლია წლევანდელ სეზონში. "რუბინი" მეორე ადგილზე მყოფ მოსკოვის "დინამოს" ესტუმრა და 2:0 დაამარცხა. 7 ტურის შემდეგ "რუბინი" 21 ქულით ერთპიროვნული ლიდერია და "დინამოს" 7 ქულით უსწრებს. ქართველთაგან მხოლოდ კვირკველიამ ითამაშა, **ლაშა სალუქვაძე** სათადარიგო იყო, ხოლო **ნუკრი რევიშვილი** მატჩის განაცხადში არ ყოფილა. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ქართველმა მასპინძელთა კარი უძლიერესი დარტყმით დალაშქრა. კვირკველია მეორე ტაიმში დროის გაყვანისთვის მსაჯმა გააფრთხილა. მატჩის შემდეგ ქართველის თავკაცმა **ყურბან ბერდიევმა** განაცხადა, რომ "ალაჰის მადლით, მისი გუნდის ფეხბურთელებმა შეძლეს სახიფათო მომენტების გამოყენება, ხოლო "დინამომ" - ვერა".

### ზედიზედ მერვედ ჩემპიონი

ვაჟა თარხნიშვილი მოლდოვის ჩემპიონია - გუშინ, "შერიფმა" 4:0 გაანადგურა "ტილიგული" და ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი თვით ადრე ტიტული დაიბევა. თარხნიშვილის გუნდს ჩემპიონობის გაფორმებისთვის ორი ქულა სჭირდებოდა, მეტოქემ "შერიფი" ბოლოს 2005 წელს დაამარცხა და, სხვათა შორის, ამ მოგებისთვის ფეხბურთელებმა ხელმძღვანელობისგან 100-100 ლიტრი ლუდი მიიღეს პრემიად. ამჯერად, ლუდი აღარ ყოფილა - "შერიფმა" მეტოქეს თითო ტაიმში ორორი გოლი გაუტანა. გუნდი, ჩვეულებრისამებრ, მოედანზე კაპიტანმა ვაჟა თარხნიშვილმა გაიყვანა, რომელმაც შეუცვლელად ითამაშა. 37 წლის ქართველი მცველი მერვედ გახდა მოლდოვის ჩემპიონი, თანაც ზედიზედ. წლევანდელ ჩემპიონატში 26 მატჩში ვაჟამ 4 გოლი გაიტანა. ტირასპოლის "შერიფი" 69 ქულით პირველია და უახლოეს მდევარს, "დაჩიას" 16 ქულით უსწრებს!

"დაჩია" "ისკრას" ესტუმრა და 0:0 ეთამაშა, ანუ "შერიფი" მარცხის შემთხვევაშიც ინაღდებდა ჩემპიონის ტიტულს. **ლევან კორღალიძისა** და **ჯაბა დვალის** გუნდმა ზედიზედ მეხუთე მატჩში ვერ მოახერხა მოგება და ვერცხლის მედლები სათუო გაიხადა. **მამუკა ლომიძის** "ზიმბრუ" ამ ტურში ისვენებდა.

### კანკავა, კვლავ ყვითელი

უკრაინის ვიშა ლიგაში **ჯაბა კანკავას** და **სანდრო კობახიძის** "დნიპრომ" შინ 1:0 დაამარცხა ოდესის "ჩერნომორეცი". ჯაბა შესვენებაზე შევიდა **მარიო ჰოლეკის** ნაცვლად, მეორე ტაიმში მან ყვითელი ბარათი მიიღო მოედნის ცენტრის სიახლოვეს უხეშობისთვის. "დნიპრო" 54 ქულით მეოთხე ადგილზეა და "მეტალისტს" (რომელსაც მატჩით ნაკლები აქვს გამართული) ქულით ჩამორჩება.

* * *

ავსტრიის რანგით მეორე, ერსტე ლიგაში 28-ე ტურის თამაშები გაიმართა. ლუსტენაუს "აუსტრიამ", სადაც **მირზა ბჟალავა** თამაშობს, დერბიში "ლუშტენაუ" დაამარცხა - 2:1. "აუსტრია" 50 ქულით მეორე ადგილზეა და ლიდერს ხუთი ქულით ჩამორჩება. ბჟალავამ დერბიში 90 წუთი ითამაშა.

* * *

შვეიცარიაში ძალზე მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონდა ბოლოადგილოსან "თუნს", რომელიც ბოლოსწინა ადგილზე მყოფ "სენტ გალენს" მასპინძლობდა. **სანდრო იაშვილმა** გასულ კვირაში ავსტრიაში, "შტურმში" სინჯებზე წასვლა და უკან დაბრუნება მოახწრო, ის სათადარიგოთა სკამზე იჯდა. გუნდებმა 10-10 კაცით დაასრულეს თამაში, 1:1 და სანდრო იაშვილის გუნდის საკითხი ნათელია, "თუნი" "სენტ გალენს" კვლავ შვიდი ქულით ჩამორჩება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დავით იმედაშვილთან

# ჭოხონელიძე მესაუბრა და იმედი გამიჩნდა!



**დავით იმედაშვილს** კიევში კარიერა ვერა და ვერ აეწყო. თავიდანვე არეულ გარემოში მოხვდა, დაჯგუფებების ბრძოლაში ქართველები გაჭყლიტეს და სეზონიდან სეზონამდე საკუთარი ბედის გარკვევას ცდილობდნენ - **დათო იმედაშვილი, ოთარ მარცვალაძე და კახა ალადაშვილი.**

ერთი საინტერესო ფაქტი იმედაშვილის კიევური კარიერიდან: იშვიათი შემთხვევა მოხდა, როდესაც კიევის „დინამოში" ათამაშეს, ზაპოროჟიეში, "მეტალურგის" წინააღმდეგ და ისიც კინალამ სკანდალით შემოუტრიალდათ: ქართველი ფეხბურთელის მაისურზე გვარი რუსულად ეწერა. მოთამაშეთა გვარები უკრაინაში მხოლოდ სახელმწიფო, ანუ უკრაინულ ენაზე უნდა ეწეროს. კიევის "დინამო" რეგლამენტის დარღვევისთვის კინალამ დასაჯეს. ეს იმია მაგალითად, რომ ქართველები კიევის "დინამოში" „ცუდ ფეხზე" ჩავიდნენ, მაგრამ არაა გამორიცხული, მალე ვითარება სასიკეთოდ შეიცვალოს.

გუშინ კიევის "დინამოს" დუბლებმა ჩემპიონობა მოიპოვა. ტრავმისგან განკურნებული ქართველი ფეხბურთელი "დინამოს" შემადგენლობაში მხოლოდ ბოლო სამი შეხვედრაა გამოჩნდა და ორი ბურთი გაიტანა.

უკრაინელი კოლეგებისგან შევიტყვეთ, რომ დათოს თავს მოვლენები, შესაძლოა, სასიკეთოდ შეიცვალოს. ჩვენ სწორედ ამის თაობაზე ვესაუბრეთ.

**- დათო, ნაკრებზე მეოცნებე კაცისთვის დუბლებში მოპოვებული ჩემპიონობა დიდი სიხარულია, მაგრამ პირველობა ყოველთვის მოსალოცია.**

- რა თქმა უნდა, მიხარია და მილოცვასაც ვიღებ. ისე, ამ ჩემპიონობაში ჩემი წვლილი მცირეა – მეორე წრეში მხოლოდ მესამე შეხვედრა ჩავატარე და ორი ბურთი გავიტანე. პირველი წინა ტურში ახტირკის „ნეფტიანიკთან" და მეორე დღეს, ლუგანსკის „ზარიასთან".

**- ეტყობა, ფორმა აღიდგინე.**

- დუბლების დონე საზომად ვერ გამოდგება, მაგრამ დღეს მართლა კარგად ვითამაშე. თუმცა კინალამ მოედნიდან გამიტანეს. ხომ იცით, უკრაინაში რა ფეხბურთიცაა. მე საყრდენ ნახევარმცველად მათამაშეს და მაგრად დამანგრიეს. ჭიდაობა უფრო იყო, ვიდრე ფეხბურთი.

**- უკრაინელმა კოლეგებმა ოპერატიულად გვაცნობეს, რომ მატჩის შემდეგ შენთან რეზო ჭოხონელიძე მოვიდა და შესაძლოა, ძირითადში გადაგიყვანონ. რეალურად, თქვენ შორის ასეთი საუბარი მართლა გაიმართა და დამაიმედებელი რამ გითხრა?**

- ბევრი არაფერი გვილაპარაკია. მოვიდა, გადამეხვია და ერთმანეთს ჩემპიონობა მივულოცეთ. ამით დასრულდა ეს საუბარი... არა, ამით არ დასრულებულა. მერე, ერთად შევსვით შამპანური. დუბლების მთავარმა მწვრთნელმა იური კალიტვინცევმა თამაშამდე გვითხრა, თუკი ჩემპიონები გავხდით, შამპანურს გავხსნიო. ისე აღვნიშნეთ, თითქოს ჩემპიონთა ლიგა მოგვეგოს.

**- მე ისევ ჭოხონელიძესთან შენს საუბარს მივუბრუნდები.**

- სამი თამაშზე მეტი არ ჩამიტარებია, კიდევ რამდენიმე ტური დარჩა და ვნახოთ, იქნებ, კარგი თვალით ახლა მაინც შემომხედონ. სხვათა შორის, ამის იმედი გამოჩნდა. ტრავმის შემდეგ ეგრევე მათამაშეს, მერე დუბლების ძირითადში დამაყენეს და თამაში წამივიდა. თან საყრდენად მათამაშეს, რაც უკრაინაში ძალიან რთულია. საკუთარ თავზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ ჩემი თავი მომეწონა. ვნახოთ, ხელმძღვანელობა რას იტყვის.

**- სეზონი მთავრდება და რაიმე სიახლე თუ არის შენს თავს, იგივე ბაქოს „ნეფთჩისთან" მიმართებაში?**

- სხვათა შორის, ეს ამბავი პირველად „ლელოსგან" შევიტყვე და კიევში დაბრუნებულს გუნდელებმა მითხრეს. სიმართლე გითხრათ, უთამაშებლობას, შესაძლოა, დროებით იქ თამაში მერჩივნოს, მაგრამ აზერბაიჯანისკენ გული არ მიმიწევს. რაკი გაინტერესებთ, არ დავმალავ, რეზო ჭოხონელიძეს „ზარიასთან" მატჩამდე ვესაუბრე. დამაიმედა, რომ ყურადღებას მომაქცევს და ძირითადში მოხვედრას თუ დავიმსახურებ, გვერდში დამიდგება. ყველაფერზე საუბარი უხერხულია, მაგრამ საუბრიდან გამომდინარე იმედი დამრჩა, რომ მომავალი წლიდან ჩემთვის ბევრი რამ შეიცვლება. ბოლოს და ბოლოს, იმედაშვილი ვარ, უიმედოდ როგორ ვიქნები?!

**- გამოდის, ძირითადში გადასვლის შანსი მართლა გაგიჩნდა?**

- ჯერ არაფრის თქმა არ მინდა. მალე ყველაფერი მეცოდინება.

**- ოთარ მარცვალაძე თუ ვარჯიშობს?**

- როგორც ვიცი, შესაძლოა, სამ კვირაში საბოლოოდ მომჯობინდება. სეზონი დამთავრდება და გამოდის, მხოლოდ მომავალი ჩემპიონატისთვის თუ მოემზადება.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ გიორგი ციმაკურიძესთან

# დინამოსი არ გვეშინია

## ციმაკურიძემ კიეველებს ნიშნები დაუწერა



**24 წლის ქართველ უნივერსალ გიორგი ციმაკურიძეს უმთავრესად დაცვაში უწევს თამაში. უკრაინის უმაღლეს ლიგაში მას 45 მატჩი აქვს ჩატარებული და 2 გოლის ავტორია. ზამთრის პაუზისას ციმაკურიძე ჯერ "ტავრიაში", მერე კი "ზაკარპატიეში" ვარჯიშობდა, მაგრამ კონტრაქტი სულ სხვა კლუბთან, "ზარიასთან" გააფორმა. ციმაკურიძეს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც არაერთხელ უთამაშია. ამასთან, ცოტამ თუ იცის, რომ გიორგი ციმაკურიძეს კორეასა და ჩინეთში დარჩენას სთავაზობდნენ.**

**უკრაინული პრესა გიორგის კიევის "დინამოსთან" მატჩის წინ გაესაუბრა. ეს ინტერვიუ ქართველი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**

- მწვრთნელმა ალექსანდრ კოსევიჩმა მითხრა, რომ მის სათამაშო სქემაში არ ვჯდებოდი და გადავწყვიტე, "ტავრიაში" მომესინჯა ძალები. თუმცა იქაც არ გამიმართლა და ბოლოს ისევ "ზარიაში" დავბრუნდი. კორეასა და ჩინეთშიც ვიყავი და შანსი მქონდა დავრჩენილიყავი, მაგრამ სანამ მოლაპარაკებები დავასრულე, სატრანსფერო პერიოდი დაიხურა. შემომთავაზეს ზაფხულამდე უთამაშებელი ვყოფილიყავი, გუნდში მევარჯიშა და სატრანსფერო პერიოდის განახლებისთანავე კონტრაქტს გამიფორმებდნენ, მაგრამ "ზარიაში" დაბრუნება ვამჯობინე.

**- ჩინეთი მოგეწონა?**

- მომეწონა. კარგი მოედნები და ბაზები, ჩინებული პირობები აქვთ.

**- ფეხბურთის დონე როგორია?**

- როგორც უკრაინაში, იქაც ფეხბურთელის ფიზიკურ მდგომარეობას სისწრაფით განსაზღვრავენ. თამაშისას მოედანზე დგომის საშუალებას არავინ მოგცემს, სულ უნდა ირბინო, უნდა მოძრაობდე. ჩინეთში ფეხბურთი ახლა აღმავლობის გზაზეა. თუმცა ჩემი აზრით, უკრაინის ჩემპიონატი უფრო მაღალი დონისაა.

**- ჩინეთში ფეხბურთელებთან როგორ ამყარებდი კონტაქტს, შენ ხომ მათი ენა არ იცი?**

- ინგლისურ ენაზე. თუმცა სიმართლე რომ ვთქვა, ფეხბურთელებთან ხშირი კონტაქტიც არც მქონია. ჩინეთში ოთხი სერბი და ერთი ბულგარელი თამაშობდა. მათ კარგად იცოდნენ რუსული და უმთავრესად ერთმანეთთან გვქონდა კონტაქტი.

**- "შახტიორთან" მატჩში სასტარტო შემადგენლობაში ითამაშე. მწვრთნელმა თავის გამოჩენის შანსი მოგცა?**

- დიახ, ასე იყო. მოხარული ვარ, რომ სასტარტო შემადგენლობაში თამაშის შანსი მომეცა. ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია. მატჩამდე მობილიზებული ვიყავი, მინდოდა დამემტკიცებინა, რომ ძირითადში თამაშს ვიმსახურებ. რაც შემეძლო გავაკეთე, სერიოზული შეცდომებიც არ დამიშვია, თანაც მაქსიმალურად შევეცადე სუფთად მეთამაშა. ვფიქრობ, 75 პროცენტით მაინც დავამტკიცე, რომ ძირითადის ღირსი ვარ.

**- დაცვაში თამაშის გარდა შეტევებში, ხშირად ერთვებოდი. ეს შენი ინიციატივა იყო თუ მწვრთნელის დავალება?**

- მეორე ტაიმში ცენტრში თამაში დამავალეს. რაც შეეხება კითხვას, როცა ამისი შესაძლებლობაა, რატომ არ უნდა ჩავერთო თამაშში?

**- უახლოეს ტურში კიდევ ერთ გრანდს, "დინამოს" ეთამაშებით. რომელი უფრო კარგი გუნდია, "დინამო" თუ "შახტიორი"?**

- "შახტიორი" უფრო მომწონს, "დინამოსთან" შედარებით, ეს გუნდი სხვა ფეხბურთს თამაშობს. უფრო მეტად ფლობს ბურთს. შარშან მომიწია "დინამოსთან" თამაში. კარგად მახსოვს, ხშირად კარგავდნენ ბურთს და ართმევაზე თამაშობდნენ. თუ შაბათს (ე. ი. დღეს, რედ.) "დინამოს" წინააღმდეგ ისევე ვითამაშებთ, როგორც "შახტიორთან" მეორე ტაიმში, კიეველებს ძალიან გაუჭირდებათ. "შახტიორთან" ეს არ გამოგვივიდა, ვიმედოვნებ, "დინამოსთან" მაინც გამოგვივა.

**- "დინამოდან" ვისგან ელით ყველაზე მეტ პრობლემას?**

- გიოანე ძალიან კარგ ფორმაშია და ბევრი გოლიც აქვს გატანილი. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ და "დინამოსი" არ გვეშინია.

**- კიეველთა გუნდში სუსტ და ძლიერ მხარეებად რას მიიჩნევ?**

- მათი დაცვა არასტაბილურია. თუ ძალიან მოვინდომებთ, შეგვიძლია მცველები გავანწბილოთ. თუ ისეთივე შეცდომები დავუშვით, როგორიც "შახტიორთან", მაშინ წავაგებთ.

**- 5-ბალიანი შკალით რომ შევაფასოთ, "დინამოს" სათამაშო რგოლებს როგორ დაახასიათებდი?**

- დაცვას სამიანს დავუწერდი, ნახევარდაცვას ხუთიანს, თავდასხმას კი - 4 ბალს.

მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

# სანტინის ტუნისელები იწვევენ

**ჟაკ სანტინის**, რომელიც საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატია, ტუნისელებიც ეპატიჟებიან. ჯერჯერობით, უცნობია, რა თანხას სთავაზობენ არაბები ფრანგს თავიანთი ეროვნული გუნდის გასაწვრთნელად, მაგრამ როგორც ამბობენ, წინადადება საკმაოდ მაცდუნებელია. ცნობისათვის, აქამდე ტუნისის ნაკრებს სანტინის თანამემამულე **ბერტრან მარშანდომი** წვრთნიდა. ტუნისელებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ივნისში ეწყებათ.

შეგახსენებთ, სანტინის სხვადასხვა დროს "ლიონში", "ტოტენჰემსა" და "ოსერში" მოღვაწეობდა, ევრო 2004-ზე კი საფრანგეთის ნაკრებმა მისი ხელმძღვანელობით იასპარეზა. კონტინენტის პირველობას ფრანგები მეოთხედფინალიდან გამოეთიშნენ მომავალ ჩემპიონ საბერძნეთთან განცდილი მარცხის შემდეგ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



აქცია

# ქართველებმა საჩუქრები ჩამოარიგეს



მიხეილ აშვეთია

თანამედროვე ფეხბურთში კლუბები ქველმოქმედებასაც ხშირად მიმართავენ და ჰუმანიტარულ აქციებზეც არ ამბობენ უარს. ამ მხრივ გამონაკლისი არც მახაჭყალის "ანჟია". კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, "ანჟის" მწვრთნელი და 6 ფეხბურთელი არასრულწლოვან ბავშვთა თავშესაფარს ეწვივნენ. ექვსეულში ორი ქართველი, **მიხეილ აშვეთია და ვალერი აბრამიძეც** იყვნენ. ფეხბურთელებმა არასრულწლოვან ბავშვს ებს საჩუქრები ჩამოურიგეს. კლუბმა კი მათთვის კონცერტი მოაწყო.

მახაჭყალელთა კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, "ანჟი" მსგავს აქციას ახლო მომავალში კიდევ მოაწყობს.

**დავით ცაბაძე**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXVI ტურის წინ

# დღეს, სტემფორდ ბრიჯზე

## ჩემპიონთა ლიგის ფინალის გენერალური რეპეტიცია?

**დღეს**

ჩელსი-მანჩესტერ იუნ.
ბირმინგემი-ლივერპული
მანჩესტერ სიტი-ფულჰემი
სანდერლენდი-მიდლსბრო
ტოტენჰემი-ბოლტონი
ვესტ ჰემი-ნიუკასლი
ვიგანი-რედინგი

**ხვალ**

პორტსმუთი-ბლექბერნი
ევერტონი-ასტონ ვილა

**ზეგ**

დერბი-არსენალი



ინგლისი გრანდების კიდევ ერთ უშელავათო ბრძოლას იხილავს

**ფრენკ ლემპარდს** დედა გარდაეცვალა. 58 წლის **პეტ ლემპარდი** 10-დღიანი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ საავადმყოფოში აღესრულა. „ჩელსის" ვარსკვლავმა დედის შეუძლოდ ყოფნის გამო „ვიგანთან" და „ევერტონთან" მატჩები გამოტოვა. ის „ლივერპულთან" ლიგის ნახევარფინალის წინ დაბრუნდა. ახლა კი „მანჩესტერ იუნაიტედთან" უპრინციპულესი შეხვედრის გაცდენა უწევს. „ჩელსიმ" მას განუსაზღვრელი შვებულება მისცა. თუმცა წუხელ **ავრამ გრანტმა** ასეთი კომენტარი გააკეთა - ფრენკს ბოლო წუთამდე დაველოდებით, თუ ის „იუნაიტედთან" თამაშს გადაწყვეტს, მაშინვე ძირითადში დავაყენებთო. შეგახსენებთ, ლემპარდი „ჩელსის" საუკეთესო ბომბარდირია. მის ანგარიშზეა 18 გოლი ყველა ტურნირში.

„ჩელსი"-„მანჩესტერის" დღევანდელი მატჩის მნიშვნელობა განუზომელია. დღეს „სტემფორდ ბრიჯზე", შეიძლება, ინგლისის ჩემპიონის ვინაობა გაირკვეს. კლუბებს ერთმანეთისგან სამი ქულა აშორებთ. გამარჯვების შემთხვევაში, „იუნაიტედი", ფაქტობრივად, შეინარჩუნებს ტიტულს (გუნდმა ტიტული ოთხჯერ შეინარჩუნა -1994, 1997, 2000 და 2001 წლებში). ლონდონელებს თეორიული შანსი კიდევ ექნებათ, მაგრამ იმდენად მცირე, რომ მასზე იმედების დამყარება არ ღირს. თავად განსაჯეთ: დღევანდელი თამაშის შემდეგ ორი ტურილა დარჩება. „იუნაიტედს" „ჩელსიზე" ექვსი ქულით მეტი გაუხდება და დარჩენილ მატჩებში შინ „ვესტ ჰემსა" და სტუმრად „ვიგანს" შეხვდება. „არისტოკრატებს" უფრო რთული თამაშები ელით - სტუმრად „ნიუკასლთან" და შინ „ბოლტონთან", რომელსაც ქულები ჰაერივით სჭირდება. ერთი წუთით პრემიერლიგის საჩემპიონო მარათონი გვერდზე გადავდოთ - სავსებით შესაძლებელია, დღევანდელი შეხვედრა ჩემპიონთა ლიგის ფინალის რეპეტიცია იყოს. პირველი ნახევარფინალების შემდეგ ამ გუნდებს მოსკოვში გამგზავრების უკეთესი შანსები აქვთ, ვიდრე მათ მეტოქეებს - „ლივერპულსა" და „ბარსელონას".

„ჩელსი" ფრის შემთხვევაშიც მკვეთრად გაიუარესებს მდგომარეობას. მას მხოლოდ გამარჯვება სჭირდება, მაგრამ მოგების შემთხვევაშიც კი ჩემპიონი შეიძლება მაინც „იუნაიტედი" გახდეს. მართალია, „ჩელსი" მეტოქეს ქულებით გაუთანაბრდება, მაგრამ „ეშმაკებს" ბევრად უკეთესი ბურთების ბალანსი აქვთ - +54 „ჩელსის" +36-ის წინაალმდეგ. თუ გუნდები დარჩენილ თამაშებს მოიგებენ, „მანჩესტერი" ბოლო 16 წელიწადში მე-10-დ იზეიმებს ჩემპიონობას.

„იუნაიტედს" მძიმე თამაში ელოდება. „ჩელსის" შინ პრემიერლიგის მატჩი ოთხი წელიწადი და ორი თვეა, არ წაუგია. „არისტოკრატები" შინ უკანასკნელად 2004 წლის თებერვალში, „არსენალთან" დამარცხდნენ (1:2; უცნაურია, მაგრამ „ჩელსიმ" პრემიერლიგის წლევანდელ სეზონში ბოლო მარცხიც „არსენალთან" იწვნია - 0:1, 16 დეკემბერს, „ემირიტს სთედიუმზე"; მას მერე 13 თამაში მოიგო და ხუთი ფრედ დაასრულა). 2006 წლის თებერვალში მათ კიდევ ერთი თამაში წააგეს - „ბარსელონასთან" (1:2), მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში. იყო კიდევ ერთი მარცხი - „ჩარლტონთან" ინგლისის ლიგის თასზე, მაგრამ არა ძირითად დროში, არამედ პენალტებში, ამიტომ წაუგებელი სერია 2004 წლის თებერვლიდან ითვლება და 80 თამაშს მოიცავს. „იუნაიტედს" „სტემფორდ ბრიჯზე" ოთხი თამაშია, არ გაუტანია და ხუთი თამაშია, არ მოუგია. იმასაც გეტყვით, რომ 35 ტურის შემდეგ, მანჩესტერმა მხოლოდ 19 გოლი მიიღო. კლუბმა სარეკორდოდ მცირე, 23 გოლი შორეულ 1924-45 წლების სეზონში გაუშვა. ასე რომ, „ეშმაკები" რეკორდთან ძალიან ახლოს არიან.

ლემპარდის გარდა, „ჩელსის" სხვა დანაკლისი არა აქვს. **მიკაელ ესიენი** ძირითად შემადგენლობაში ბრუნდება. მას „ლივერპულთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გაუცდა. „იუნაიტედი" იმედოვნებს, რომ **ნემანია ვიდიჩი** გამოჯანმრთელდება. მიმომხილველები **რაიან გიგზის** ძირითადში გამოჩენას ელიან...

როდესაც ლონდონური მატჩი მორჩება, მიმომხილველები ცხრილის ბოლოსაც მიაქცევენ ყურადღებას. მოვლენები იქაც დრამატულად ვითარდება. ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე მხოლოდ ერთი კლუბია გავარდნილი - „დერბი ქაუნთი". დანარჩენი ორი ადგილის დაკავება ოთხ კლუბს - „ბოლტონს", „რედინგს", „ბირმინგემსა" და „ფულჰემს" შეუძლია. „ბოლტონი" „ტოტენჰემს" ესტუმრება, „რედინგი" - „ვიგანს". ეს უკანასკნელიც აუტსაიდერთა შორის იმყოფებოდა, მაგრამ გასავარდნ ზონას თავი დააღწია (თეორიულად, რა თქმა უნდა, ისიც შეიძლება გავარდეს). „ბოლტონს" კვლავ გამოაკლდება ძირითადი მეკარე **იუსი იაასკელაინენი**. მას ცხრა მატჩია, არ უთამაშია.

ერთი კვირის წინათ „ბირმინგემმა" „ასტონ ვილასთან" დერბიში 1:5 წააგო. დღეს ის ლივერპულს უმასპინძლებს. მერსისაიდელებს მეოთხე ადგილი და ჩემპიონთა ლიგის საგზური ჯიბეში აქვთ. ამიტომ სავარაუდოდ, შესუსტებულ შემადგენლობას გამოიყვანენ. მომავალ კვირაში მათ „ჩელსისთან" ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი ნახევარფინალი აქვთ.

გავარდნის კანდიდატთა შორის, ყველაზე ცუდი მდგომარეობა „ფულჰემს" აქვს. მას უსაფრთხო ზონისგან ხუთი ქულა აშორებს და გადარჩენის მხოლოდ თეორიული შანსი აქვს. დღეს „ფულჰემი" „მანჩესტერ სიტის" სტუმარია. **სვენ გორან ერიქსონის** გუნდს უეფას თასის დაუფლების მიზერული შანსი აქვს.

სეზონი, ფაქტობრივად, დაასრულა „არსენალმა". უმოტივაციოდ დარჩენილი მეთოფეები **ტომაშ როსიცკისა და აბუ დიაბის** გარეშე, გავარდნილ „დერბის" ესტუმრებიან. მათ დისკვალიფიცირებული **ალექსანდრ გლებიც** ვერ დაეხმარება. გლებს „რედინგთან" წინა ტურში ჩადენილი საქციელისათვის (მეტოქეს შემოარტყა) სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, რაც ნაადრევ საზაფხულო არდადეგებს ნიშნავს. „ევერტონი" მის მეზობელ „ასტონ ვილას" ეთამაშება, ხოლო ასოციაციის თასის ფინალის „პორტსმუთი" - „ბლექბერნს".

**შალვა ბიბილაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 35 | 25 | 6 | 4 | 73-19 | 81 |
| 2. ჩელსი | 35 | 23 | 9 | 3 | 60-24 | 78 |
| 3. არსენალი | 35 | 21 | 11 | 3 | 66-29 | 74 |
| 4. ლივერპული | 35 | 19 | 12 | 4 | 62-26 | 69 |
| 5. ევერტონი | 35 | 18 | 7 | 10 | 50-29 | 61 |
| 6. ასტონ ვილა | 35 | 16 | 10 | 9 | 67-45 | 58 |
| 7. პორტსმუთი | 35 | 16 | 9 | 10 | 48-36 | 57 |
| 8. მანჩესტერ სიტი | 35 | 15 | 10 | 10 | 42-41 | 55 |
| 9. ბლექბერნი | 35 | 13 | 13 | 9 | 45-43 | 52 |
| 10. ვესტ ჰემი | 35 | 13 | 8 | 14 | 37-42 | 47 |
| 11. ტოტენჰემი | 35 | 10 | 12 | 13 | 64-58 | 42 |
| 12. ნიუკასლი | 35 | 11 | 9 | 15 | 42-58 | 42 |
| 13. ვიგანი | 35 | 9 | 9 | 17 | 32-49 | 36 |
| 14. მიდლსბრო | 35 | 8 | 12 | 15 | 31-49 | 36 |
| 15. სანდერლენდი | 35 | 10 | 6 | 19 | 33-54 | 36 |
| 16. ბოლტონი | 35 | 8 | 8 | 19 | 32-52 | 32 |
| 17. რედინგი | 35 | 9 | 5 | 21 | 37-65 | 32 |
| 18. ბირმინგემი | 35 | 7 | 10 | 18 | 40-57 | 31 |
| 19. ფულჰემი | 35 | 5 | 12 | 18 | 32-58 | 27 |
| 20. დერბი | 35 | 1 | 8 | 26 | 17-76 | 11 |

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXIV ტურის წინ

# სიბელესი სრულ მზადყოფნაშია

## რაიკაარდი ვარსკვლავებს დაასვენებს და რეალს საჩემპიონო შანსს გაუზრდის

**დღეს**

დეპორტივო-ბარსელონა
მურსია-სევილია

**ხვალ**

ვალიადოლიდი-ალმერია
ხეტაფე-ატლეტიკო
რეკრეატივო-ლევანტე
ესპანიოლი-სარაგოსა
ვალენსია-ოსასუნა
მალიორკა-რასინგი
ბეტისი-ვილიარეალი
რეალი-ბილბაო

თამამად შეიძლება ითქვას, რომ 35-ე ტურს არნახული ინტრიგა ახლავს. ამ ინტრიგას, რა თქმა უნდა, სეზონის დასასრულის მოახლოება განაპირობებს. შაბათ-კვირას შესაძლოა, ესპანეთის ჩემპიონის ვინაობა გაირკვეს. გარდა ამისა, სავარაუდოა, რომ პრიმერა დივიზიონს „ლევანტე" გამოემშვიდობება. იმისთვის, რომ სამეფო კლუბმა ჩემპიონობა ვადამდე გაინაღდოს, საშინაო შეხვედრაში „ბილბაო" უნდა დაამარცხოს. „ბარსამ" და „ვილიარეალმა" კი ვერ უნდა მოიგონ. იოლი შესაძლებელია, მოვლენები სწორედ ამგვარი სცენარით განვითარდეს. საქმე ის არის, რომ ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი ნახევარფინალური ორთაბრძოლის მოგების სურვილით შეპყრობილმა **ფრენკ რაიკაარდმა ლეო მესის, სამუელ ეტოოსა და ჩავის** დასვენება გადაწყვიტა. კატალონიურ პრესას თუ ვენდობით, „რიასორზე" ამ ტრიოს თამაში გამორიცხულია. ჰოლანდიელ სპეციალისტს ეშინია, ფეხბურთელები არ გადაიღალონ, ან ტრავმა არ მიიღონ. ეს განსაკუთრებით მესიზე ითქმის. მოგეხსენებათ, „სელტიკთან" მერვედფინალურ დაპირისპირებაში არგენტინელ ფორვარდს ბარძაყის კუნთი გაუწყდა და თითქმის ორი თვე ლაზარეთში გაატარა. ლეო ეს-ესაა მოედანს დაუბრუნდა. რაიკაარდს წარსულის გამოცდილება კარნახობს, რომ ბოლომდე გამოუჯანმრთელებელი მესის თამაში სერიოზულ საფრთხეს შეიცავს. სწორედ ამიტომ, ბატონმა ფრენკმა მას ამოსუნთქვის საშუალება მისცა. ეტოოსა და ერნანდესს რაც შეეხებათ, ისინი მეტისმეტად გადაღლილები არიან. მცირე პაუზა ამ ბიჭებს, აშკარად, არ აწყენთ. წამყვანი მოთამაშეების განაცხადიდან ამოგდება გვაფიქრებინებს, რომ კატალონიელებმა პრიმერა დივიზიონზე საბოლოოდ აიღეს ხელი. ეს კი, რა თქმა უნდა, „რეალის" შანსია...

გასაკვირი არ იქნება, თუ სამეფო კლუბი ვადამდელი ჩემპიონი გახდება. რაიკაარდმა გალისიაში შემდეგი შემადგენლობა წაიყვანა: *ვალდესი, პინტუ, პუიოლი, ტურამი, სილვინიო, აბიდალი, ოლეგერი, ძამბროტა, მარკესი, დეკუ, ტურე, გუდიონსენი, ესკერო, კრკიჩი, დოს სანტოსი, ანრი, პედრიტო.*

„რეალი" „ბილბაოსთან" სათამაშოდ განსაკუთრებული მონდომებით ემზადება. დედაქალაქელები არ მალავენ, რომ ამავე ტურში სურთ ჩემპიონის ტიტულის განაღდება. ბასკებთან დაპირისპირების წინ **ბერნდ შუსტერს** სამედიცინო შტაბიდან სასიხარულო ინფორმაცია მიაწოდეს. **გუტიმ** მიკროტრავმა მოიშუშა და ბოლო ორი ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარა. სხვათა შორის, **რაულიც** აღარ იტკივებს ფეხს. შუა კვირაში გონსალეს ბლანკომ მარჯვენა ფეხის კოჭის ტკივილის გამო ორი ვარჯიში გამოტოვა. მთავარი სიახლე კი, რა თქმა უნდა, **რუუდ ვან ნისტელროის** გამოჯანმრთელებაა. რაულისა და გუტის მსგავსად, ჰოლანდიელმა ვარსკვლავმაც სრული დატვირთვით იმუშავა. თუ შუსტერი საჭიროდ ჩათვლის, ვან ნისტელროოი ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდება. აღსანიშნავია, რომ თამაშის შანსი **კრისტოფ მეტცელდერსაც** აქვს. როგორც ხედავთ, სეზონის მიწურულს ჰერ ბერნდს, ფაქტობრივად, ყველა შეგირდი დაუბრუნდა. „რეალს" ისღა დარჩენია, ძალა მოიკრიბოს და ჰაერივით საჭირო გამარჯვება მოიპოვოს. მადრიდის მერიამ თადარიგი თავიდანვე დაიჭირა და საჩემპიონო ფიესტისთვის ყველაფერი მოაგვარა. გუშინ მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომელმა კარლოს გონსალესმა განაცხადა, რომ სიბელესი სრულ მზადყოფნაშია.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პრიმერა დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის გაცილებით უფრო უშელავათო ბრძოლა მიმდინარეობს. ყოველთვის ამბიციური „ვალენსია" სეგუნდა დივიზიონში დაქვეითების რეალური საფრთხის წინაშე იმყოფება. მთავარი მწვრთნელის პოსტზე ახლახანს დანიშნულმა **ვორომ** გასული დღეები შემადგენლობასთან გაცნობას მოანდომა. **კუმანის** მემკვიდრემ პირველივე პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ **ალბელდას, კანისარესსა და ანგულოს** გუნდში დააბრუნებდა. თუმცა, სენიორ ვორო სიტყვის შესრულებას არ ჩქარობს. წინა დღეებში სანტიაგო კანისარესის ძირითად შემადგენლობაში დაბრუნების რეალურ შესაძლებლობაზე საუბრობდნენ. **ტიმო ჰილდებრანდი** ტრავმირებული იყო. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები მის დუბლიორ **ხოსე ლუის მორასაც** აწუხებდა. ამ პირობებში კანისარესი, ფაქტობრივად, უალტერნატივო გოლკიპერი გახლდათ, მაგრამ ვალენსიელი ექიმების მეცადინეობით ჰილდებრანდმა და მორომ ტრავმა მოიშუშეს. ამიტომ კანისარესის დაბრუნება გადაიდო. გამორიცხული არ არის, ვორომ **ნიკოლა ჟიგიჩი** ათამაშოს. საქმე ის არის, რომ **ფერნანდო მორიენტესმა** გასული სამი დღე მწვავე ფალარათის დიაგნოზით საავადმყოფოში გაატარა. მორო კლინიკიდან კი გამოწერეს, მაგრამ ისეთი დასუსტებულია, გოლის გატანას კი არა, ძუნძულსაც ვერ შეძლებს.

სასწაული უნდა მოხდეს, კვირას „ლევანტე" პრიმერა დივიზიონს რომ არ გამოემშვიდობოს. ვალენსიელები „რეკრეატივოს" სახით უშუალო კონკურენტს ეთამაშებიან. უელველები, რა თქმა უნდა, უპირობო ფავორიტად მიიჩნევიან. გამარჯვების შემთხვევაში, ისინი პრიმერა დივიზიონში დარჩენის შანსს შეინარჩუნებენ. გასათვალისწინებელია, რომ „სარაგოსას" „მონჟუიკზე" „ესპანიოლთან" ურთულესი ორთაბრძოლის გამართვა მოუწევს. „ლევანტეს" შანსს გუნდში არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობაც ამცირებს. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ გუშინ, დილით გაურკვეველი იყო, ჩავიდოდნენ თუ არა ფეხბურთელები უელვაში სათამაშოდ. ისინი გაუცემელი ხელფასების ანაზღაურებას ითხოვდნენ. მოგეხსენებათ, „ლევანტე" გაკოტრებული გუნდია და ფაქტობრივად, ყველა ფეხბურთელი თვეების განმავლობაში უხელფასოდ თამაშობს. ხელმძღვანელობამ ბოლოს მიცემული პირობაც დაარღვია და ბიჭებმა გაფიცვის მოწყობა გადაწყვიტეს. „რეკრეატივოსთან" მატჩის ჩაგდება დიდი სკანდალი იქნებოდა, ამიტომ ვალენსიური კლუბის ხელმძღვანელობამ სიტუაციის განმუხტვა მორიგი პირობის მიცემით გადაწყვიტა. მოლაპარაკებებმა გუშინ საღამომდე გასტანა. ბოლოს მოთამაშეები უელვაში გამგზავრებას დათანხმდნენ. მათ ვალის გარკვეული ნაწილის მიღების პირობა მიიღეს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 33 | 23 | 3 | 7 | 68-30 | 72 |
| 2. ვილიარეალი | 33 | 19 | 5 | 9 | 54-40 | 62 |
| 3. ბარსელონა | 33 | 17 | 10 | 6 | 62-31 | 61 |
| 4. ატლეტიკო | 33 | 16 | 6 | 11 | 58-43 | 54 |
| 5. რასინგი | 33 | 15 | 8 | 10 | 37-33 | 53 |
| 6. სევილია | 33 | 16 | 3 | 14 | 64-48 | 51 |
| 7. ალმერია | 33 | 13 | 9 | 11 | 36-36 | 48 |
| 8. ბილბაო | 33 | 12 | 10 | 11 | 36-33 | 46 |
| 9. დეპორტივო | 33 | 13 | 7 | 13 | 43-43 | 46 |
| 10. ესპანიოლი | 33 | 13 | 7 | 13 | 40-44 | 46 |
| 11. მალიორკა | 33 | 10 | 14 | 9 | 56-47 | 44 |
| 12. ბეტისი | 33 | 12 | 8 | 13 | 42-45 | 44 |
| 13. ხეტაფე | 33 | 11 | 8 | 14 | 38-42 | 41 |
| 14. ოსასუნა | 33 | 11 | 7 | 15 | 33-35 | 40 |
| 15. ვალიადოლიდი | 33 | 10 | 9 | 14 | 39-53 | 39 |
| 16. ვალენსია | 33 | 11 | 6 | 16 | 36-54 | 39 |
| 17. სარაგოსა | 33 | 9 | 10 | 14 | 44-54 | 37 |
| 18. რეკრეატივო | 33 | 9 | 10 | 14 | 35-54 | 37 |
| 19. მურსია | 33 | 7 | 8 | 18 | 29-53 | 29 |
| 20. ლევანტე | 33 | 7 | 4 | 22 | 29-61 | 25 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXXV ტურის წინ

# ტორინოს არაფერს ვეკითხებით?

## რა ეშველება პარმას? ემილიელებს კალაბრიაში 8 კაცი დააკლდებათ

**ხვალ**

ინტერი-კალიარი
რომა-ტორინო
იუვენტუსი-ლაციო
ფიორენტინა-სამპდორია
ლივორნო-მილანი
უდინეზე-კატანია
ჯენოა-ემპოლი
ნაპოლი-სიენა
პალერმო-ატალანტა
რეჯინა-პარმა




სერია A ფინიშის სწორს უახლოვდება, რაც იმითიც ჩანს, რომ ანი ყველა მატჩი ერთსა და იმავე დროს დაიწყება. რა თქმა უნდა, ეს ვერ არის მთლად ქმედითი მექანიზმი გარიგებების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ერთგვარ თავის დაზღვევად მაინც შეიძლება ჩაითვალოს.

"ინტერი" მეორე ნრეში მოცოცხლებულ "კალიარის" მასპინძლობს. მართალია, სარდინიელებმა გასავარდნ ზონას თავი დაალწიეს, მაგრამ სამშვიდობომდე ჯერ ადრეა. დარჩენილ ოთხ მატჩში "კალიარის" მინიმუმ 5 ქულა სჭირდება, რათა თავი ქუდში ჰქონდეს. თავის მხრივ, "ნერაძურიც" ფრთხილად უნდა იყოს. მდევართან 6-ქულიანი ჰანდიკაპი სკუდეტოს გარანტიას ვერ იძლევა. **რობერტო მანჩინის** გუნდს ზედიზედ მესამე ჩემპიონობისთვის კიდევ 7 ქულა სჭირდება. ანუ, ორივე საშინაო მატჩი უნდა მოიგოს და როგორმე ერთ ფრესაც გამოჰკრას ხელი "პარმასთან" ბოლო ტურის მატჩში. ასეთ შემთხვევაში, "მილანთან" (4 მაისი) ნაგების უფლებაც აქვს. თუმც ეს არ ნიშნავს იმას, რომ "ინტერი" არხეინად უნდა იყოს. მანჩინის და მის სამწყსოს არ უნდა დაავიწყდეს, რომ უმოტივაციოდ არც მეტოქეები არიან.

გარკვეულია, რომ ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ **ფიგუ** და **იბრაჰიმოვიჩი**. სამაგიეროდ, მწყობრში ბრუნდება **ვიეირა**. გაცილებით ცუდად აქვს საქმე **დავიდე ბალარდინის**, რომელსაც დისკვალიფიკაციათა გამო სამი ნამყვანი ფიგურა დააკლდება, **ფოჯას, ფინისა** და **პიზანოს** სახით. "ინტერს" "კალიარისთან" ბოლო 5 საშინაო მატჩი მოგებული აქვს.

"რომამ" შინ აუცილებლად უნდა დაამარცხოს "ტორინო", რათა ლიდერზე ნნეხი შეინარჩუნოს. **ლუჩანო სპალეტიმ** თქვა კიდეც - "ლივორნო" ალარ უნდა განმეორდესო (1:1 გასულ უიქენდზე). მაგრამ "ტოროს" არაფერს ვეკითხებით? **ჯანი დე ბიაზი** გადარჩენის მისიით დააბრუნეს. სადებიუტო მატჩი მან "ინტერთან" წააგო (0:1 საკუთარ მოედანზე). ახლა "რომაა". ბედი არ გინდა? მაგრამ თუ მწვრთნელს დავუჯერებთ, გუნდი მობილიზებულია და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის ემზადება. სხვათა შორის, დე ბიაზის ოპტიმიზმი სულაც არ არის უსაფუძვლო. შარშან, სწორედ მისი ხელმძღვანელობით, "ბრონეულებმა" რომში 1:0 მოიგეს. მაგრამ დღეს მას გაცილებით სერიოზული თავსატეხი აქვს, თუნდაც საკადრო კუთხით: **ნატალი, პაოლო ძანეტი** და **კომოტო** ტრავმირებულები არიან, **კორინი** კი ერთმატჩიან სასჯელს მოიხდის. "ჯალოროსის" კი, როგორც იცით, **ტოტი** ჰყავს ტრავმირებული.

"იუვენტუსი" ბრწყინვალე ფორმაშია და საკმარისია, ხვალ "ლაციოსთან" ფრედ ითამაშოს, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის ბილეთი ჯიბეში ექნება. თუმცა "ქალბატონს" უფრო დიდი ამბიცია აქვს: მეორე ადგილი და ავტომატური საგზური. "ლაციო" კი, მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად არაფერი ემუქრება, ტურინში სასეირნოდ ნამდვილად არ ჩავა. ეგ არის, რომ **დელიო როსის** ნამყვანი მოთამაშეები დააკლდება: **დაბო, ძაური** და **ლედესმა** დისკვალიფიცირებულები არიან, **ბეჰრამის** კი ტრავმა აწუხებს. **კლაუდიო რანიერის** საბრძოლო შემადგენლობის დაყენება შეუძლია.

"მილანს" ნაბორძიკების უფლება ალარ აქვს. ლივორნოში ქულების დაკარგვა იმის რეალური ნიშანი იქნება, რომ ახალი საჩემპიონთალიგო სეზონი "როსონერის" გარეშე ჩაივლის, რაც სერიოზულად შეუშლის ხელს დაგეგმილი ტრანსფერების განხორციელებაში. ტოსკანელთა მწვრთნელ **ჯანკარლო კამოლეზეს** ერთადერთი დანაკლისი აქვს, ნახევარმცველ **ვიდიგალის** სახით. **კარლო ანჩელოტის** კი, თუ არ ჩავთვლით **დიდას, მალდინისა** და **რონალდოს** ტრავმებს, საბრძოლო შემადგენლობა ეყოლება.

შეიძლება ითქვას, ტურის ცენტრალური დაპირისპირება "ფიორენტინა"-"სამპდორიაა". გამარჯვების შემთხვევაში, "იები" კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამენ ჩემპიონთა ლიგისკენ, რაც "სამპისთვის", პირიქით, ოცნების დასასრული იქნება. რაკი **პაცინი** დისკვალიფიცირებულია, **ჩეზარე პრანდელი** თავდასხმაში **მუტუსა** და **ვიერის** ტანდემს დააყენებს. გენუელებს ძირითადი მეკარე **კასტელაცი** ჰყავთ ტრავმირებული. ახლა, ცოტა სტატისტიკასაც გადავხედოთ. ეს გუნდები "არტემიო ფრანკიზე" 50-ედ ხვდებიან ერთმანეთს. "ფიორენტინას" საგრძნობი უპირატესობა აქვს: 25 მოგება, 16 ფრე და 8 წაგება. ბურთების ბალანსიც შთამბეჭდავია: 79-37. "დორიამ" აქ ბოლოს 2004/05 წლების სეზონში მოიგო (2:0), ხოლო შარშან "ფიორენტინამ" მეტოქე უმწყალოდ მიბეგვა - 5:1. ეს იყო მეორე შემთხვევა (პირველი 1966 წელს, 5:0), როცა ფლორენციელებმა ლიგურიელთა კარში 5 გოლის გატანა მოახერხეს.

"უდინეზეს" "კატანიასთან" გამარჯვება იმისთვის სჭირდება, რომ უეფას თასზე მოხვედრის შანსი შეინარჩუნოს. საჩემპიონთალიგო პერსპექტივას კი ფრიულელებმა გასულ კვირას, "სამპდორიასთან" მარცხის (0:3) შემდეგ დაუქნიეს ხელი. უდინელთა მწვრთნელ **პასკუალე მარინოს** თავის ყოფილ გუნდთან მოუწევს დაპირისპირება. მას მცველი **ზაპოტოჩნი** აკლია, თუმც ამის კომპენსირება მისთვის ძნელი არ უნდა იყოს. უფრო საყურადღებოა ის, რომ "კატანიას" არ ეყოლება ცენტრალური მცველი **ტერლიცი**, რომელიც ტრავმირებულია. სიცილიელებმა ახალი მწვრთნელის, **ვალტერ ძენგას** მეთაურობით 3 მატჩი გამართეს და აქედან, ორში გამარჯვებულები დარჩნენ. სწორედ ძენგას დამსახურებაა, რომ დღეს "კატანიას" ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად გაცილებით მეტი შანსი აქვს. სხვათა შორის, შარშან, როცა ამ გუნდს მარინო წვრთნიდა, გუნდმა "ფრიულიზე" 1:0 მოიგო. საერთოდაც, უდინეში მას დადებითი ბალანსი აქვს: 3 გამარჯვება ხუთ მატჩში.

უეფას ზონაში მოხვედრისთვის იბრძვის "ჯენოაც", რომელიც გაჭირვებულ "ემპოლის" მასპინძლობს. რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელისთვის ეს მთლად ბოლო შანსი არ არის, მაგრამ მარცხის შემთხვევაში, **ლუიჯი კანის** კრებული ცალი ფეხით სერია B-ში იქნება. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტიც, რომ ტოსკანელებს ნამყვანი მოთამაშეები არ ეყოლებათ: **საუდატი, მარკიზიო** და **რაჯი** დასჯილები არიან, ფორვარდ **პოცის** კი ტრავმა აქვს. დისკვალიფიცირებულები მასპინძლებსაც ჰყავთ, თუმც **ბოვოსა** და **დე როზას** არყოფნა **ჯან პიერო გასპერინის** გადაუჭრელ პრობლემებს ვერ შეუქმნის.

"სიენას" ერთი ნაბიჯი აშორებს მიზანთან, რომელსაც სერია A-ში დარჩენა ჰქვია. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ **მარიო ბერეტამ** ეს ამოცანა მაინცდამაინც ნეაპოლში გადაჭრას, მით უმეტეს, რომ **ედოარდო რეიას** შეგირდები საკუთარ კედლებში კარგად თამაშობენ. "ნაპოლის" ნახევარდაცვის ორი მთავარი ფიგურა, **ბლაზი** და **გარგანო** ჰყავს დისკვალიფიცირებული, "სიენას" კი ტრავმირებული კაპიტანი **ბერტოტო** დააკლდება.

"პალერმოსა" და "ატალანტას" მატჩი ყველაზე ნაკლებადაა მოტივირებული. ეს გუნდები ველარც ევროსაგზურებისთვის იბრძვიან და არც ლიგიდან გავარდნა ემუქრებათ. ამიტომ, **სტეფანო კოლანტუონოცა** და **ლუიჯი დელ ნერიც** გახსნილ ფეხბურთზე გააკეთებენ აქცენტს. მასპინძელთა თავკაცს შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებების გაკეთება მოუწევს: **ამაურის, ბრეშანოსა** და **რინაუდოს** დისკვალიფიკაცია აქვთ, **კაზერტა** კი ტრავმირებულია. დანაკლისს ვერც ბერგამოელები ასცდნენ: ცენტრალურ მცველ **კაროციერის** წელის ტკივილი სტანჯავს, ფორვარდ **ლანჯელას** კი ერთმატჩიანი სასჯელი აქვს გამოწერილი. საინტერესოა, რომ შარშან, როცა "ატალანტას" პალერმოელთა დღევანდელი დამრიგებელი კოლანტუონო წვრთნიდა, ბერგამოელებმა "რენცო ბარბერაზე" 3:2 მოიგეს.

დაბოლოს, "რეჯინა"-"პარმა", რომელიც ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლთა ჯახია. წესით, ამ მატჩში **ექტორ კუპერმა** უნდა დაამტკიცოს, რომ "პარმაში" ტყუილად არ მისულა. აქამდე, ექვს თამაშში მან გუნდს მხოლოდ ერთხელ მოაგებინა. მაგრამ როგორ გინდა წარმატებას მიაღწიო უმნიშვნელოვანეს თამაშში, თანაც უშუალო კონკურენტთან, როცა ძირითადი შემადგენლობის 8 (!) მოთამაშე გაკლია. ასეთია სიტუაცია "ნაპოლისთან" სკანდალური მატჩის შემდეგ, რომელშიც კუპერს 3 მოთამაშე (**გასბარონი, ფალკონე, მარიგა**) გაუძევეს, ორს კი (**კასტელინი, ფერნანდო კოუტუ**) ძველი დისკვალიფიკაცია მოსდევს, რაც შეეხებათ **კორადის, პიზანუსა** და **ბუდანს**, ისინი ტრავმირებულები არიან. კუპერთან შედარებით, "რეჯინას" მწვრთნელი **ნევიო ორლანდი** უთუოდ ბედნიერი იქნება, რაკი მხოლოდ მარჯვენა მცველი **ლანძარო** აკლია.

**გიორგი გელაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 34 | 23 | 9 | 2 | 62-21 | 78 |
| 2. რომა | 34 | 21 | 9 | 4 | 62-34 | 72 |
| 3. იუვენტუსი | 34 | 19 | 10 | 5 | 63-30 | 67 |
| 4. ფიორენტინა | 34 | 17 | 8 | 9 | 48-34 | 59 |
| 5. მილანი | 34 | 15 | 10 | 9 | 55-32 | 55 |
| 6. სამპდორია | 34 | 16 | 7 | 11 | 49-38 | 55 |
| 7. უდინეზე | 34 | 14 | 9 | 11 | 44-46 | 51 |
| 8. ჯენოა | 34 | 13 | 9 | 12 | 44-46 | 48 |
| 9. ნაპოლი | 34 | 13 | 7 | 14 | 45-47 | 46 |
| 10. პალერმო | 34 | 11 | 9 | 14 | 43-52 | 42 |
| 11. ლაციო | 34 | 9 | 13 | 12 | 40-42 | 41 |
| 12. ატალანტა | 34 | 10 | 11 | 13 | 46-52 | 41 |
| 13. სიენა | 34 | 8 | 14 | 12 | 35-41 | 38 |
| 14. კატანია | 34 | 8 | 11 | 15 | 29-39 | 35 |
| 15. კალიარი | 34 | 9 | 8 | 17 | 33-51 | 35 |
| 16. ტორინო | 34 | 6 | 16 | 12 | 32-43 | 34 |
| 17. პარმა | 34 | 6 | 13 | 15 | 39-53 | 31 |
| 18. ლივორნო | 34 | 6 | 12 | 16 | 31-50 | 30 |
| 19. ემპოლი | 34 | 7 | 9 | 18 | 26-48 | 30 |
| 20. რეჯინა | 34 | 6 | 12 | 16 | 29-52 | 30 |

სკანდალის გამოძახილი

# ისევ მოჯის ქვალი

## იუვენტუსს ახალი სასჯელი ემუქრება?

გუშინ ცნობილი გახდა, რომ "იუვენტუსი" და "მესინა", ასევე 16 პერსონა (რომელთა ვინაობას ჯერ არ ამხელენ), მათ შორის, არბიტრები და საფეხბურთო ფუნქციონერები, იტალიის სპორტული სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგნენ. ეს არის "კალჩოპოლის" ცნობილის სკანდალის გაგრძელება. შესაბამისად, საქმე ეხება თამაშების ჩაწყობას. გამოძიება დარწმუნებულია, რომ "იუვენტუსის" ყოფილი გენერალური მენეჯერი, ფეხბურთიდან 5 წლით მოკვეთილი **ლუჩანო მოჯი**, თანამოაზრეებთან ერთად, გავლენას ახდენდა მსაჯებზე, ხოლო მათთან კონტაქტს ამყარებდა შვეიცარიული მობილური ოპერატორის სიმ-ბარათით. ზემოხსენებულ პირებს ბრალი ედებათ იტალიის სპორტული კოდექსის პირველი მუხლის დარღვევაში. პრინციპში, ეს ცნობილი ამბავია და მექანიზმებიც გაშიფრულია, მაგრამ ამ შემთხვევაში, საქმე ეხება სხვა მატჩებს, რომელთა კვალს გამოძიებამ მხოლოდ ახლა მიაგნო.

"გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, "იუვენტუსს" მხოლოდ ფულადი ჯარიმა (თუმც სერიოზული) ელის,


ლუჩანო მოჯი ისევ ყურადღების ცენტრშია

რადგან კლუბმა უკვე გაილო საკმარისი მსხვერპლი იმისთვის, რაც მოჯიმ და მისმა ამფსონებმა ჩაიდინეს. "გაძეტას" მტკიცებით, "მესინას" გაცილებით მძიმე სასჯელი ემუქრება.

"ბებერი ქალბატონის" ამჟამინდელმა პრეზიდენტმა **ჯოვანი კობოლი ჯილიმ** კომენტარი არ დააყოვნა: *"სასამართლოს პატივს ვცემ, მაგრამ ვთვლი, რომ მოვიდა დრო, როცა სპორტულ ასპექტებზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი. "იუვენტუსმა" "კალჩოპოლის" გამო მძიმე საზღაური გაილო. აუცილებლობის შემთხვევაში, ჩვენ მზად ვიქნებით, დავიცვათ კლუბის ღირსება და ინტერესები. საკმარისია ეს ყველაფერი".*

მედიამ კომენტარისთვის **მარჩელო ლიპისაც** მიაკითხა, თუმც 2004-06 წლებში ის "იუვესგან" უკვე შორს იყო. მაგრამ რეალურია ეჭვი, რომ მოჯის შავ ბნელ საქმეებზე მან ბევრი რამ იცოდა მაშინ, როცა "სინიორას" მწვრთნელად მუშაობდა. ლიპის პასუხი შაბლონური იყო: *"თუ მოჯი დამირეკავს და ამიხსნის, რა ხდებოდა იმ წლებში, ბედნიერი ვიქნები, რადგან გარწმუნებთ, მე არაფერი ვიცი".*

"კალჩოპოლის" სკანდალთან დაკავშირებული იყო მარჩელოს ვაჟი, **დავიდე ლიპი**, რომელიც მოჯის მიერ კონტროლირებად სააგენტო "გეა უორლდში" მუშაობდა. სწორედ ამის გამო წავიდა მარჩელო ესოდენ ნაჩქარევად ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან. ჰქონდა თუ არა მას რაიმე ფაქტი მოჯის მანიპულაციებზე, ეს მხოლოდ თავად იცის... და რა თქმა უნდა, იცის მოჯიმაც, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, ყველაფერი დაფქვას...

**გიორგი გელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩელსი. სპეკულაციები

# მაინც ჰიდინკი?




სად გაატარებს გუუს ჰიდინკი მომავალ სეზონს?

ნიუს ოფ ზე უორლდი" **გუუს ჰიდინკის** "ჩელსიში" დანიშვნასთან დაკავშირებით, მორიგ ინფორმაციას ავრცელებს. ტაბლოიდი წერს, რომ მწვრთნელს რუსეთის საფეხბურთო კავშირთან ახალი კონტრაქტი არ გაუფორმებია. რუსული სააგენტოების თანახმად, ჰიდინკმა ხელშეკრულება ორი წლით გააგრძელა. ჰოლანდიელმა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უნდა მოამზადოს. "ნიუს ოფ ზე უორლდის" ცნობით, რუსებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, მაგრამ **რომან აბრამოვიჩმა** საქმე "ჩელსის" სასარგებლოდ გადაწყვიტა. რუსეთის ნაკრებში ჰიდინკის ხელფასს აბრამოვიჩი იხდის. "ნიუს ოფ ზე უორლდი" ირწმუნება, რომ ოლიგარქს ჰიდინკის "ჩელსიში" გადაბირება არ გასჭირვებია. ამ ინფორმაციას ჰოლანდიელი ჟურნალისტებიც ეხმაურებიან. მათი აზრით, ჰიდინკის რუსული კარიერა დასასრულს მიუახლოვდა. ის მოსკოვს ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე დატოვებს და ლონდონში გაემგზავრება.

"ნიუს ოფ ზე უორლდი" იხსენებს, რომ აბრამოვიჩს ჰიდინკის "ჩელსიში" დანიშვნა დიდი ხნის წინათ სურდა. **ჟოზე მოურინიოს** აბარგების შემდეგ, მისტერ გუუსი უმთავრესი კანდიდატი იყო. რუსები რომ ევროპის ჩემპიონატზე არ გასულიყვნენ, ის ახლა ლონდონში იმუშავებდაო, წერს ტაბლოიდი. ჰიდინკი "ეინდჰოვენის" ყოფილი მალალჩინოსნის, პიეტ დე ვისერის ახლო მეგობარია. ამჟამად ეს უკანასკნელი აბრამოვიჩის მრჩევლად მოღვაწეობს.

სპეკულაციების თანახმად, "ჩელსის" ბოსი **ავრამ გრანტით** უკმაყოფილოა. მას თამაშის ხარისხი არ მოსწონს. შედეგების გამო, ებრაელ მწვრთნელს ძნელად მიედავები - მისი შეგირდები პრემიერლიგაში მეორე ადგილზე არიან. ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე მათ "მანჩესტერისგან" სამი ქულა ჰყოფთ. "ჩელსის" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლაც შეუძლია. "ლივერპულთან" პირველი ნახევარფინალი ("ენფილდზე") მისთვის ხელსაყრელი ანგარიშით, 1:1 დასრულდა.

იანვარში გრანტმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მას წელიწადში 2.5 მილიონ გირვანქას უხდიან. ხელშეკრულების ნაადრევად გაწყვეტის შემთხვევაში, მწვრთნელს კომპენსაციის სახით, 5 მილიონ გირვანქას (ორი წლის ხელფასი) მიუთვლიან. საინტერესოა, რას იზამს აბრამოვიჩი, თუ "ჩელსიმ" ორიდან ერთი ტიტული მაინც მოიპოვა. გრანტის დათხოვნა მით უფრო უმადური საქციელი იქნება, თუ "არისტოკრატები" ორივე ჯილდოს გამოკრავენ ხელს.

თემა განსჯისთვის

# ვინ არის მსოფლიოს საუკეთესო მცველი?

დავით თავართქილაძე

ცოტა არ იყოს, ტრივიალური კითხვაა: ვინ არის მსოფლიოს საუკეთესო მეკარე, მცველი, მწვრთნელი თუ ნახევარმცველი? მაგრამ ასეთ თემაზე დავობენ, კამათობენ და არგუმენტებს იშველიებენ. კამათის გარეშე ფეხბურთი ფუჭეა.

კამათობენ იმაზეც, არის თუ არა **პაოლო მალდინი** მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მცველი? ეს კითხვა ვებგვერდმა "გოლმა" დასვა. 26 ივნისს პაოლო 40 წლისა მოიყრება. მან ჯერ თქვა, ეს სეზონი ჩემთვის ბოლო იქნებაო, მერე კი ვნახოთ, იქნებ ამ გადაწყვეტილებას გადავხედოო. სანამ გონებას მოიკრეფთ, მეხსიერებას დაძაბავთ და საკუთარ გემოვნებას არხებს გაუხსნით, ერთ რამეზე თავიდანვე უნდა შევთანხმდეთ: მალდინი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მცველია.

გულშემატკივარი ფეხბურთივით ჭირვეულია. ზოგიერთის ლოგიკით, საუკეთესოა ის, ვისაც ყველაზე მეტი ტიტული მოუგია. აგერ, **კრისტიან კარამბუმ** საფრანგეთის ნაკრებში მოიგო მსოფლიოც და ევროპაც, "რეალში" ჩემპიონთა ლიგა, **რობერტო ბაჯოსთვის** კი ეს ყველაფერი ოცნებად დარჩა. ახლა ვიკითხოთ: ვინ უფრო კარგი ფეხბურთელია, ბაჯო თუ კარამბუ?..

ამ კითხვაზე პასუხი თითქოს ნათელია, მაგრამ გუნდური ტიტულებიც რომ ძალიან მნიშვნელოვანია, წყალი არ გაუვა. მალდინიმ მოიგო 7 სკუდეტო, იტალიის თასი, იტალიის 5 სუპერთასი, ევროპის 5 სუპერთასი, სამი საკონტინენტთაშორისო თასი და ხუთგზის ეპყრა ჩემპიონთა თასიც. ისიც ვთქვათ, რომ მალდინის არასოდეს მოუგია "ოქროს ბურთი", არცერთხელ არ დასახელებულა ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ. თუმც იმასაც ვერავინ იტყვის, ესა თუ ის ტურნირი "მილანს" მალდინიმ მოაგებინაო. გახსოვთ **მათიას ზამერი**? ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე ის ცენტრალური მცველი იყო, მაგრამ გაიხსენეთ, რამხელა როლი ითამაშა ბუნდესგუნდის ტრიუმფში. ზამერი ამით არის უნიკალური, თორემ თუ მას **ფრანც ბეკენბაუერს** ან მალდინის შევადარებთ, ქომაგთა აზრი, ალბათ, ორად არ გაიყოფა - ზამერს განზე გაწევენ. არადა, ვინ იცის, იქნებ, ნითური გერმანელი ამას სულაც არ იმსახურებს...

და საერთოდ, რატომ უნდა დასახელდეს მალდინი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მცველად, როცა იყვნენ **ჯალმა სანტოსი, ბობი მური**, იგივე ბეკენბაუერი, **პაულ ბრაიტნერი, ფრანკო ბარეზი, ჯაჩინტო ფაკეტი**... მალდინიმ იტალიის ნაკრებში ყველაზე მეტი, 126 მატჩი ითამაშა, ოთხი მუნდიალი და ევროპის სამი ჩემპიონატი გადაავორა, ორჯერ გავიდა მსოფლიო პირველობის ფინალში.

იტალიის ეროვნულ ნაკრებში, თინეიჯერულ ასაკში, ფეხბურთელი ვერ ხვდება, ეს მხოლოდ მალდინიმ მოახერხა: 19 წლისა, **აძელიო ვიჩინიმ** ევროპის 1988 წლის ჩემპიონატზე წაიყვანა. ბოლოს, უეფამ ტურნირის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანა. "მილანში" კი დებიუტი სულაც 16 წლისას ჰქონდა. "როსონერიში" მან თითქმის მეოთხედი საუკუნე ითამაშა...

მალდინი 39 წლისაც ინარჩუნებს მხნეობას. მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში "მილანი" "არსენალმა" რომ გამოაგდო, თუ იტალიელთაგან ვინმეს შეაქებდა კაცი, ამას უთუოდ მალდინი იმსახურებდა. მაღალ დონეზე მოთამაშე მხცოვან ფეხბურთელთაგან მას მხოლოდ **ლოთარ მათეუსი** თუ შეედრება.

ალბათ, ესეც საინტერესოა: 2003 წელს, პაოლომ "ოლდ ტრეფორდზე" ჩემპიონთა თასი რომ ასწია, იქიდან 40 წლის უკან, ოღონდ "უემბლიზე" იგივე გააკეთა მამამისმა, **ჩეზარე მალდინიმაც**.

ზოგადად, იტალია დაცვით და კარგი მცველებითაა განთქმული, მაგრამ აპენინელი უკანახაზელები, ნატურით, მაინც და მაინც მოსაწონნი არ არიან. **კლაუდიო ჯენტილე** გახსოვთ? ან **მარკო მატერაცის** რა დაგავიწყებთ? მალდინი კი მათ ოდნავადაც არ ჰგავს, ის ბინძურად არ თამაშობს. დიდი კაპიტანი მოედნის მიღმაც მოწესრიგებული და სამაგალითოა, იქაც და აქაც ჩემპიონია, არ ჰგავს კლოუნს, ღირსეული კაცია.



*P.S. უახლოეს მომავალში "მილანის" პაოლო მალდინი ფიფასგან ღირსების ორდენს მიიღებს - "მსოფლიო ფეხბურთში შეტანილი წვლილისთვის". სხვათა შორის, ფიფა ამ ორდენით მხოლოდ ფეხბურთელებს როდი აჯილდოვებს. გაგიკვირდებათ და, სხვადასხვა დროს ის ნელსონ მანდელასა და ჰენრი კისინჯერისთვისაც გადაუციათ. ლეგენდარული დინო ძოფის შემდეგ მალდინი მეორე იტალიელი იქნება, ვისაც ამხელა პატივს მიაგებენ. დაჯილდოების ცერემონიალი სიდნეიში, ფიფას სამაისო კონგრესზე გაიმართება.*

დორტმუნდი

# დოლი აიჭრა: უნამუსოებო!

## ჯოვანი ტრაპატონის ლეგენდარული პრესკონფერენციის გამეორება...



თომას დოლი აფეთქდა! მორჩა, დორტმუნდის "ბორუსიის" მთავარი მწვრთნელის მოთმინების ფიალა სავსეა! ეს ყველაფერი გუშინწინდელი პრესკონფერენციით დადასტურდა, სადაც 42 წლის მწვრთნელმა ზუსტად ისეთი ინტონაციითა და მანერებით ილაპარაკა, როგორც **ჯოვანი ტრაპატონიმ** იმ ლეგენდარულ პრესკონფერენციაზე, რომელიც მსოფლიო ფეხბურთის ისტორიიდან არასდროს წაიშლება.

დოლს თავის დროზე "ჰამბურგშიც" სერიოზული პრობლემები ჰქონდა, მაგრამ მისი ასეთი აფეთქება არავის ახსოვს. ჩრდილოგერმანული კლუბიდან ის ისე წამოვიდა, რომ პრესკონფერენციაზე ერთი ხმამაღალი სიტყვაც არ უთქვამს. ახლა კი, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა სულ სხვა დოლი იხილეს – გადარეული, ჭკუადაკარგული, მყვირალა.

პრესკონფერენციაზე, რომლის სრულ ვერსიას ქვემოთ გაეცნობით, თომასმა მისი პერსონისადმი პატივისცემა და გაწეული სამსახურის დანახვა, დაფასება მოითხოვა. მან კიდევ ერთხელ შეახსენა კლუბის ხელმძღვანელებს, რომ "ბორუსია" გაისად უეფას თასზე იასპარეზებს.

რა მოხდა მანამდე? მკითხველი კარგადაა ინფორმირებული იმის შესახებ, რომ გერმანიის თასის ფინალამდე ზედიზედ ორი სამარცხვინო მარცხის შემდეგ და უშუალოდ ფინალის შემდეგაც, რომელიც დორტმუნდელებმა მიუხედავად ვაჟკაცური ბრძოლისა, 1:2 წააგეს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თომასის დღეები გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე დათვლილი იყო. მეტიც, "ბილდი" წერდა, "ბორუსიის" ხელმძღვანელებს მისი გათავისუფლება უკვე გადაწყვეტილი აქვთ, მაგრამ ჯერ თქმას ვერ უბედავენო. პრეზიდენტმა **რაინჰარდ რაუბალმა** ჯერ კიდევ ფინალის წინ თქვა, ბოლო დროს სატურნირო ცხრილს რომ ვუყურებ, დეპრესია მეწყებაო, რითაც ხაზი გაუსვა იმას, რომ ბოსები მწვრთნელის მუშაობით უკმაყოფილოები არიან.

პრესკონფერენციაზე დოლმა მედია ძალიან გააკრიტიკა და ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ ეს განგებ გააკეთა და კერძოდ იმ მიზნით, რომ ჟურნალისტების ძაგებით ფეხბურთელები შემოირიგოს. თომასმა **კრისტიან ვიორნსი** და **რობერტ კოვაჩი** დაიცვა, რომლებსაც მიმომხილველები მთელი სეზონის განმავლობაში აკრიტიკებდნენ. მაგრამ სიტყვა "აკრიტიკებდნენ" რბილი ნათქვამია – ვიორნსსა და კოვაჩს გერმანულ პრესაში სასაცილოდ იგდებდნენ! შესაბამისად, ხსენებული პრესკონფერენციის შემდეგ, "ბილდმა" დოლს მორიგი კრიტიკული წერილი გამოუცხო – ჰო, რა თქმა უნდა, შენი დოყლაპია გუნდის წარუმატებლობა ჩვენი, მედიის წარმომადგენლების ბრალია, უმაქნის ფეხბურთელებს კი არაფერს აბრალებ და საკუთარი თავიც ანგელოზად გამოგყავსო.

სანამ უშუალოდ თომასის სიტყვას შემოგთავაზებდეთ, გეტყვით, რომ "დორტმუნდის" შეფებმა ამ ყველაფერზე კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავეს. აქედან დასკვნა ასეთია: თუ "ბორუსია" კარგ მწვრთნელს იპოვის, დოლს მაშინვე კარისკენ მიუთითებენ. უფრო სწორად, ძალიან რთული წარმოსადგენია ის, რომ ამ ყველაფრის შემდეგ თომასი "დორტმუნდში" გააჩერონ...

### ეს ყველაფერი უნამუსობაა!

აი, თომასის ხუთწუთიანი სიტყვაც. სტილი მაქსიმალურად დაცულია.

"ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების გამო ძალიან ვიწერვიულე. ბერლინშიც ვთქვი, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები სრული კატასტროფაა.

ახლა ვიხსენებ იმ დღეს, როცა აქ პირველად მოვედი და ატმოსფეროს გავეცანი. მაშინ აქ იდეალური სურათი დამხვდა: მონდომებული ადამიანები, გადარეული ქომაგები – ვინც აქ ვნახე და გავიცანი, თითოეული მათგანის თვალებში მხოლოდ ერთ აზრს ვხედავდი: როგორ გადავარჩინოთ და როგორ დავაყენოთ ფეხზე "ბორუსია". მაგრამ ეს 400 დღის წინათ იყო...

მაშინ ვინმეს რომ ეთქვა, გაისად გერმანიის თასის ფინალში ითამაშებთ და უეფას თასის საგზურს მოიპოვებთო, ყველა ტაშს დაუკრავდა და იტყოდნენ, ამ ერთ წელიწადში ამაზე უკეთესი რაღა უნდა მოხდესო. ყველა იტყოდა, ეს მწვრთნელი გუნდისთვის იდეალურიაო.

გერმანიის ჩემპიონატში საქმეები კარგად არ მიგვდის და მე-13 ადგილზე ვართ, მაგრამ ეს ჩვენც ვიცით! მეც ვიცი, რომ "დორტმუნდი" ასე დაბლა არ უნდა დაეშვას. იქნებ ეს კუბას ბრალია, ან კრინგესი, ან ფედერიკოსი, რომლებსაც "დორტმუნდის", როგორც გუნდის არსი და მნიშვნელობა ჯერ კიდევ არა აქვთ ისე კარგად გათავისებული, როგორც მაგალითად დედეს, რომელიც წლების განმავლობაში ამ გუნდის ღირსებას იცავს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ათეულამდე მხოლოდ რამდენიმე ქულა გვაკლია. მაგრამ ის, რომ ყველამ მე მაკრიტიკოთ, კედელთან მიმაყენოთ, სახეში მირტყათ და ყოველ წამს მაძახოთ ის, რომ ამ გუნდში მოსვლის შემდეგ არაფერი სახეირო გამიკეთებია, ეს რბილად რომ ვთქვათ, უნამუსობაა და ასეთი რამ საერთოდ არ მესმის.

ჩვენ აქ ყველა უკანალზე ვიხევით იმისთვის, რომ წარმატებას მივაღწიოთ, თქვენ კი არაფერი გაინტერესებთ გარდა იმისა, რომ ყოველ წამს გვიკბინოთ.

ჰო, თქვენ ახლა იტყვით, გერმანიის თასის მეოთხედფინალში იენის "კარლ ცაისი" დაამარცხეთ, რომელიც მეორე ბუნდესლიგის აუტსაიდერია, ნახევარფინალში კი "ჰოფენჰაიმი", რომელიც ასევე მეორე ბუნდესლიგაშია და მკითხავთ: "ამით იწონებთ თავს?" მაგრამ მე თქვენ გეკითხებით, რა ჩემი ბრალია, რომ ბუნდესლიგის წარმომადგენლებმა მეოთხედფინალამდე ან ნახევარფინალამდე ვერ მოაღწიეს? ჩვენ უეფას თასის საგზური მოვიპოვეთ და გაისად ევროპაში გავდივართ! ბუნდესლიგაში საქმე ცუდად გვაქვს, რამდენიმე ქულა გვაკლია, მაგრამ ყოველ წამს მწვრთნელის გინება და რაც უფრო უარესია, ისეთი გამოცდილი ფეხბურთელების დაცინვა, როგორებიც კოვაჩი და ვიორნსი არიან, ეს ხომ უნამუსობაა!

დაიწყო თუ არა სეზონი, თქვენც დაიწყეთ: ბებერი დაცვა ჰყავს, დაცვის ცენტრში ბაბუები თამაშობენ, მიეცით ყავარჯნები ვიორნსსა და კოვაჩს... ახლა მეკარესაც მისდექით. ამას წინათ მარკ ციგლერმა მკითხა, ვივარჯიშო თუ ჩემს ვარჯიშს აზრი აღარ აქვსო. მე ვამბობ: ის, რაც ჩემი ფეხბურთელების შესახებ იწერება, დაცინვა და უნამუსობაა. ვიორნსი და კოვაჩი გაისად აქ აღარ ითამაშებენ და იქნებ მერე მაინც შეეშვათ მათ დაცინვას. კრიტიკა საჭიროა, მაგრამ ფეხბურთელის საჯაროდ დაცინვა მისი შეურაცხყოფაა და ეს არცერთ ნორმაში არ ჯდება. მით უმეტეს, ასეთი გამოცდილი ფეხბურთელების სასაცილოდ აგდება...

იმის ნაცვლად, რომ ფეხბურთელებს დაუწეროთ, ასეთ მძიმე მდგომარეობაში ხართ და ფინალში მაინც გახვედით, ყოჩაღ ბიჭებოო, თითოეულ მათგანს დასცინით. იცი, როცა მხოლოდ ცუდის დანახვა გინდა, ფაქტია, რომ მხოლოდ ცუდს დაინახავ. კარგის დანახვა რომ გინდოდეს, კარგსაც დაინახავდი. თქვენ გინდათ, რომ "დორტმუნდმა" მინდორზე ცეცხლი დაანთოს, არადა, თერთმეტიდან რვა ფეხბურთელი საყოველთაო დაცინვის ობიექტია. ასეთ დროს უკვე სისულელეა იმაზე საუბარი, ითამაშებს თუ არა კელი ამ უქმეებზე, ამის თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა, იმის თამაში გამორიცხულია და ა.შ. ეს ხომ მხოლოდ სიტყვების რახა-რუხია იმის ფონზე, რაც საერთო ჯამში ჩემი ფეხბურთელების მიმართ ხდება.

აღარ მაინტერესებს საუბრები იმის შესახებ, ვინ შეიძლება ვიყიდოთ ზაფხულში და ა.შ. ახლა მხოლოდ იმ ბიჭებზე ვფიქრობ, რომლებმაც ეს სეზონი უნდა ჩაამთავრონ. თქვენ კი მათ უკვე ველარ ხედავთ. დაფასებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

გასავარდნ ზონას მხოლოდ 7 ქულა გვაშორებს. დასწყევლოს ეშმაკმა, მხოლოდ 7 ქულა! და ეს ამბავი დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია. გუნდს კონცენტრაცია სჭირდება. თქვენ კი წერთ, ეს გასაშვებია, ის მოსაყვანია. რა დროს ეს არის? დამეთანხმეთ, მითხარით, რომ მართალი ვარ.

მე კი ყოველ თქვენგანს პატივს ვცემ. მაგრამ ეს ყველაფერი უკვე აუტანელია და ძალიან მინდოდა, რომ ყველაფერი მეთქვა. ეი, მეგობრებო! კარგად მომისმინეთ! ეი, მართლა გეუბნებით! არა, 13 თვის წინათ, როცა მუშაობა დავიწყე, აქ ყველაფერი სხვაგვარად იყო..."

გოტფრიდ ლენცი

---

მანჩესტერ იუნაიტედი. ტრანსფერები

# ალვეში და კიდევ ოთხი ყმაწვილი

## სერ ალექსს შემადგენლობის გაძლიერება სოლიდური თანხა დაუჯდება

"სანის" ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედმა" საზაფხულო ტრანსფერების სია შეადგინა. "ეშმაკები" ოთხი ახალგაზრდა ფეხბურთელის შეძენას აპირებენ. **სერ ალექს ფერგიუსონს** ეს სიამოვნება 40 მილიონი გირვანქა დაუჯდება. სასურველ ფეხბურთელებს შორის არიან 21 წლის ცენტრალური ნახევარმცველები - **მიგელ ველოზო** და **ჟოაო მოუტინიო**. ორივე ლისაბონის "სპორტინგის" საკუთრებაა. პორტუგალიური კლუბი დაახლოებით 30 მილიონ გირვანქას მიიღებს. ფერგიმ "ვიგანის" ორ ფეხბურთელსაც დაადგა თვალი - ჰონდურასის ნაკრების განაპირა ნახევარმცველ **ვილსონ პალასიოსსა** და ეკვადორის ნაკრების გარემარბ **ანტონიო ვალენსიას**. 23 წლის პალასიოსი 6 მილიონი გირვანქა ღირს, ხოლო 22 წლის ვალენსია - 4 მილიონი.

"იუნაიტედი" სევილიელი **დანიელ ალვეშის** ტრანსფერზეც მუშაობს. ბრაზილიელ მცველს "ჩელსი", "რეალი" და "ბარსელონაც" ეპატიჟებიან. გასულ ზაფხულს ალვეში "ჩელსიში" გადასვლას აპირებდა. შეთანხმება მიღწეული იყო, მაგრამ ბოლო წუთს ანდალუსიელებმა ფეხბურთელის შენარჩუნება გადაწყვიტეს. ალვეშმა კლუბს ბოიკოტი გამოუცხადა და ორი კვირის განმავლობაში არ ვარჯიშობდა. 24 წლის მოთამაშე 25 მილიონი გირვანქა ღირს. ორი კვირის წინათ "იუნაიტედის" სკაუტები "სევილიისა" და "ვილიარეალის" მატჩს დაესწრნენ. მათ დანიელ ალვეშის საქმეში ნახვა სურდათ.



ფერგი დანიელ ალვეშს უმიზნებს

---

ბარსელონა

# ანრი ბარსაში დარჩება

## ნიუკასლი კატალონიელებს, ყოველი შემთხვევისთვის, 15 მილიონს შესთავაზებს



თუ ტიერი ინგლისში დაბრუნდება, მხოლოდ არსენალში ითამაშებს

ტიერი ანრი ამბობს, რომ ბარსელონაში ბედნიერია, მაგრამ თუ ოდესმე ინგლისში დაბრუნდება, მხოლოდ "არსენალში" ითამაშებს. თავდამსხმელს ალბიონზე ტრანსფერს უწინასწარმეტყველებენ. მან ესპანეთში უფერული სადებიუტო სეზონი ჩაატარა. სპეკულაციების თანახმად, ანრის შეძენა პრემიერლიგის რამდენიმე კლუბს სურს.

ტიერიმ "ბარსელონას" გასულ ზაფხულს, 16.1 მილიონ გირვანქად მიაშურა. მან პრემიერლიგაში 254 მატჩში 174 გოლი შეაგდო, კატალონიელთა შემადგენლობაში კი - 25 მატჩში და მხოლოდ 7 გოლი. ანრიმ რამდენიმე შეხვედრა ისე სუსტად ჩაატარა (მაგალითად, "შალკესთან" განმეორებითი მეოთხედფინალი), რომ კრიტიკის ნიაღვარი დაატეხეს თავს. ესპანელ მიმომხილველთა აზრით, მისი აბარგება რეალურია, მაგრამ ანრი სამსახურის შეცვლას არ ჩქარობს: "ვინც მიცნობს, იცის, რომ მსახიობობა არ შემიძლია. როცა ბედნიერი არა ვარ, თავს ბედნიერად ვერ გავასაღებ. ჩემი მეგობრები ამჩნევენ, რომ ბარსელონაში ძალიან ბედნიერი ვარ."

"სანის" ცნობით, "ნიუკასლი" ტიერის სარფიან კონტრაქტს შესთავაზებს. ტაბლოიდის მტკიცებით, 30 წლის ვარსკვლავი **კევინ კიგანის** სიაში პირველია. ჯორდები საზაფხულო ტრანსფერებში 50 მილიონი გირვანქის დახარჯვას აპირებენ, აქედან 15 მილიონს "ბარსელონას" გადაუხდიან, თუ ის ანრის გაყიდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXX ტურის წინ

# ბაიერნი: ჩემპიონობა ჩემპიონთან?

**გუშინ**

აინტრახტი-ბორუსია 1:1

**დღეს**

ჰანოვერი-ჰერტა
კოტბუსი-ჰანზა
ნიურნბერგი-არმინია
კარლსრუე-ვერდერი
ბოხუმი-დუისბურგი
ჰამბურგი-შალკე

**ხვალ**

ბაიერნი-შტუტგარტი
ლევერკუზენი-ვოლფსბურგი

ჩემპიონთა ლიგა თუ უეფას თასი? ან იქნებ დღესდღეობით მეოთხე ადგილზე მყოფი "ჰამბურგი" ბოლოს საერთოდ ხელმოცარული დარჩეს და ვერცერთი ევროტურნირის საგზური ვერ მოიპოვოს? დღეს **ჰუუბ სტევენსის** შეგირდები მესამე ადგილზე მყოფ და შესაბამისად, უშუალო კონკურენტ "შალკეს" მასპინძლობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს თამაში ორივე გუნდისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრისთვის "შალკეც" იბრძვის და **მირკო სლომკას** გაგდების შემდეგ, ეს მისია მის დროებით შემცვლელებს, **იური მიულდერსა** და **მიკე ბიუსკენსს** აკისრიათ. "ჰამბურგს" ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია აქვს და აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩრდილოგერმანელებს, გელზენკირხენული კლუბისგან განსხვავებით, ახალი მწვრთნელი ჯერ არ უპოვიათ - როგორც იცით, სტევენსი ზაფხულში "ეინდჰოვენში" მიდის. ხოლო "შალკეს" კი მომავალი სეზონიდან ჰოლანდიელი **ფრედ რუტენი** გაწვრთნის. გამარჯვების შემთხვევაში "ჰამბურგი" ქულებით გაუთანაბრდება, მაგრამ ბურთების უკეთესი შეფარდების გამო გადაასწრებს.

სამი მოგება ზედიზედ და მეორე ადგილი: "ვერდერი" ერთი თვის წინანდელისგან განსხვავებით, ძალიან კარგ მდგომარეობაშია. **თომას შააფის** პრობლემა **ფრანკ ბაუმანისა** და **ტორსტენ ფრინგსის** ტრავმებია. პირველ მათგანს, ალბათ, ისევ **დანიელ იენსენი** შეცვლის. ბრემენელები დღეს "კარლსრუეს" სტუმრობენ და უნდა ითქვას, რომ ბადენური კლუბისთვის ამ თამაშს პრესტიჟის გარდა, არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს. **ალექსანდრე იაშვილის** გუნდი ვეღარც უეფას თასის საგზურისთვის იბრძოლებს და აღარც მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრება.

"ვოლფსბურგთან" მოპოვებულმა გამარჯვებამ მძიმე მდგომარეობაში მყოფი "ნიურნბერგი" საიქიოდან დააბრუნა. ფრანკებს 26 ქულა აქვთ, ბოლოსწინა ადგილზე არიან და დღეს მე-15 პოზიციაზე მყოფ, ანუ უშუალო კონკურენტ "არმინიას" მასპინძლობენ. ბილეფელდურ კლუბს 28 ქულა აქვს. "ნიურნბერგის" თავკაცი **თომას ფონ ჰეეზენი** ყოფილ გუნდთან თამაშში კვლავ დაიხმარს **პეერ კლუგეს**, რომელმაც ტრავმა მოიშუშა. სამაგიეროდ, ფრანკები **იაკობსენს, გალაშეკს, ვიტეკსა** და **საენკოს** ვერ გამოიყენებენ - ოთხივე მათგანი ლაზარეთშია. ცნობილია ისიც, რომ ძირითად შემადგენლობაში **ზვიეზდან მიშიმოვიჩის** ნაცვლად **მარეკ მინტალი** ითამაშებს. ბუნდესლიგაში დარჩენა-არდარჩენას ეხება საქმე "კოტბუსისა" (29 ქულა) და "ჰანზას" (27 ქულა) დაპირისპირებაშიც, ისევე, როგორც "ბოხუმისა" და "დუისბურგის" ჯახში. თუმცა ამ შემთხვევაში "ბოხუმს" სანერვიულო ფაქტობრივად არაფერი აქვს. აი, "დუისბურგის" მდგომარეობა კი ძალიან მძიმეა - 25 ქულა, ბოლო ადგილი. ჰანოვერში კი გაიმართება უამბიციო მატჩი, რომელშიც ერთმანეთს "წითლები" და "ჰერტა" შეხვდებიან.

ჩემპიონობისთვის გამზადებული "ბაიერნი" ხვალ ძალებს "შტუტგარტთან" მოსინჯავს. შეგახსენებთ, რომ შვაბურმა კლუბმა რეკორდმაისტერს მიმდინარე სეზონში (პირველ წრეში) პირველი მარცხი აგემა. "ვერდერმა" კარლსრუეში რომ წააგოს და "ბაიერნმა" "შტუტგარტს" მოუგოს, მიუნხენელები ჩემპიონობას იზეიმებენ! შესაბამისად, შვაბები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ბავარიულმა გიგანტმა "ვერცხლის სინის" დაბრუნება მოქმედ ჩემპიონთან მატჩში არ აღნიშნოს. ისიც უნდა ითქვას, რომ ბავარიელები დაღლილები არიან - ხუთშაბათს, უეფას თასის ნახევარფინალში "ზენიტთან" უმძიმესი მატჩი ჰქონდათ. თუმცა არ დაღლილა **ლუკა ტონი**, რომელიც უეფას თასზე დისკვალიფიცირებული იყო. მიუნხენელებს **მიროსლავ კლოზე** არ ეყოლებათ (ტრავმა), ასე რომ, **ლუკას პოდოლსკის** კვლავ ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ. კითხვის ნიშნის ქვეშაა **ოლივერ კანის** თამაშიც. ხვალვე, ბოლო დროს ცუდ ფორმაში მყოფი "ლევერკუზენი" "ვოლფსბურგს" უმასპინძლებს...

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 29 | 18 | 9 | 2 | 55-17 | 63 |
| 2. ვერდერი | 29 | 16 | 5 | 8 | 62-41 | 53 |
| 3. შალკე | 29 | 14 | 9 | 6 | 47-31 | 51 |
| 4. ჰამბურგი | 29 | 12 | 12 | 5 | 37-21 | 48 |
| 5. შტუტგარტი | 29 | 15 | 3 | 11 | 48-43 | 48 |
| 6. ლევერკუზენი | 29 | 14 | 5 | 10 | 50-31 | 47 |
| 7. ვოლფსბურგი | 29 | 12 | 7 | 10 | 45-40 | 43 |
| 8. აინტრახტი | 30 | 11 | 10 | 9 | 36-40 | 43 |
| 9. ჰანოვერი | 29 | 11 | 8 | 10 | 43-47 | 41 |
| 10. კარლსრუე | 29 | 11 | 8 | 10 | 32-36 | 41 |
| 11. ბოხუმი | 29 | 9 | 10 | 10 | 43-45 | 37 |
| 12. ბორუსია | 30 | 9 | 8 | 13 | 43-54 | 35 |
| 13. ჰერტა | 29 | 9 | 7 | 13 | 30-36 | 34 |
| 14. კოტბუსი | 29 | 7 | 8 | 14 | 30-48 | 29 |
| 15. არმინია | 29 | 7 | 7 | 15 | 27-52 | 28 |
| 16. ჰანზა | 29 | 7 | 6 | 16 | 25-41 | 27 |
| 17. ნიურნბერგი | 29 | 6 | 8 | 15 | 31-46 | 26 |
| 18. დუისბურგი | 29 | 7 | 4 | 18 | 28-43 | 25 |

უეფას თასი. ნახევარფინალი. პირველი მატჩები

# ზენიტი სენსაციასთან ახლოსაა!

## ფიორენტინამ რეინჯერსს აჯობა, მაგრამ...

**ბაიერნი-ზენიტი 1:1**

**ბაიერნი:** კანი (67. რენზინგი), ლამი (80. კროოსი), ლუსიო, დემიკელისი, იანსენი, შვაინშტაიგერი (66. ლელი), ვან ბომელი, ზე რობერტო, რიბერი, კლოზე, პოდოლსკი.

**ზენიტი:** მალაფეევი, რიქსენი, შიროკოვი, კრიჟანაცი, შირლი, ტიმოშჩუკი, დენისოვი, ზირიანოვი, ფაიზულინი, პოგრებნიაკი, არშავინი.

**გოლები:** 1:0 რიბერი (18), 1:1 ლუსიო (66-საკ. კარში)

*მე-18 წუთზე რიბერიმ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 0-4; **დარტყმა:** 24(11)-12(3); **კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 13-19; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 66 000

**რეინჯერსი-ფიორენტინა 0:0**

**რეინჯერსი:** ალექსანდერი, ბროუდფუდი, უეირი, კუელარი, პაპაცი, სენტ დევისტ, უაიტეკერი, ჰემდანი, დეილი, ნაჩო ნოვო (59. ბუფელი), დარშევილი (60. კუზენი).

**ფიორენტინა:** ფრაი, იორგენსენი, გამბერინი, იუფალუში, გობი, ლივერანი, კუზმანოვიჩი, მონტოლივო, სანტანა, პაცინი (81. ვიერი), მუტუ.

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 5(0)-8(3); **კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 20-19; **ბურთის ფლობა:** 39%-61%

**მაყურებელი:** 49 199




რეინჯერსი-ფიორენტინა. ლივერანი (მარცხნივ) დარშევილს არ უთმობს

"ზენიტი" გერმანული კლუბებისთვის უხერხული მეტოქეა. სანკტპეტერბურგელებმა მეოთხედფინალში "ლევერკუზენი" გაანადგურეს, ახლა კი თვით "ბაიერნსაც" შეუქმნეს პრობლემები. არადა, ყველას ეგონა, რომ მიუნხენური გიგანტი რუსეთის ჩემპიონს ჭკუას ასწავლიდა და "ლევერკუზენის" დამცირებისთვის ჯავრს ამოიყრიდა. მაგრამ ასე არ მოხდა: "ალიანს არენაზე" 1:1 დაფიქსირდა, რაც "ბაიერნის" ფეხბურთელებს მშვიდად ყოფნის საშუალებას არ აძლევს. გერმანელები პირველ ტაიმში საკმაოდ კარგად თამაშობდნენ და წესით, ერთზე მეტი გოლი უნდა გაეტანათ. მეორე ნახევარში კი, **ოტმარ ჰიტცფელდის** შეგირდები რატომღაც მოეშვნენ და მეტოქეს გააქტიურების საშუალება მისცეს. შესაძლოა, ეს იმის ბრალიც იყო, რომ ჰიტცფელდმა ჯერ კიდევ მატჩის წინ თქვა, 1:0-იც დამაკმაყოფილებსო. და არაა გამორიცხული, რომ ოტმარმა შეგირდებს ანგარიშის შენარჩუნებისკენ მოუწოდა. საბოლოო ჯამში, უნდა ითქვას, რომ გამარჯვება "ზენიტსაც" შეეძლო, რაც "ბაიერნს" სირცხვილად უნდა ჩაეთვალოს.

იყო საშიშროება, რომ "ზენიტთან" არც **მიროსლავ კლოზეს** ეთამაშა და არც **მარკ ვან ბომელს**, მაგრამ ორივე მათგანი მოედანზე გავიდა. **ლუკა ტონი** კი დისკვალიფიცირებული გახლდათ და მატჩს თვალ-ყური ტრიბუნებიდან ადევნა. ბავარიელთა იტალიელ გოლეადორს რეჟისორები ხშირად გვიჩვენებდნენ და ყურადღებას ერთ მომენტზე გავამახვილებთ: მეორე ტაიმის ერთ-ერთ ეპიზოდში გვიჩვენეს, როგორ ამთქნარებდა ტონი... მის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში **ლუკას პოდოლსკიმ** ითამაშა. გეტყვით იმასაც, რომ რუსების მთავარმა მწვრთნელმა **დიკ ადვოკაატმა** ტრავმირებული **ალექსანდრ ანიუკოვი ფერნანდო რიკსენით** შეცვალა.

"ბაიერნმა", როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში ზეწოლით დაიწყო და უკვე მე-60 წამზე **ბასტიან შვაინშტაიგერს** საკმაოდ კარგი მომენტი შეექმნა, მაგრამ ბურთს ფეხი ხეირიანად ვერ მოარტყა. ოთხი წუთის შემდეგ შვაინი **ლამმა** გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ ნახევარმცველმა ისევ ვერ ივარგა. სამაგიეროდ, მიუნხენელები მე-18 წუთზე დაწინაურდნენ. რიკსენმა საკუთარ საჯარიმოში **ზე რობერტოს** წინააღმდეგ თამაშის წესები დაარღვია და მსაჯმაც მაშინვე პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა. თერთმეტმეტრიანი **ფრანკ რიბერიმ** შეასრულა, მაგრამ რუსების მეკარე **მალაფეევმა** მისი დარტყმა მოიგერია, თუმცა ფრანგმა ნახევარმცველმა დამატებაზე ივარგა, ყველას დაასწრო და ანგარიში მაინც გახსნა. "ბაიერნისთვის" ეს იყო უეფას თასის ეგიდით, საკუთარ მოედანზე ჩატარებულ შეხვედრებში გატანილი რიგით მე-100 გოლი.

რუსები მხოლოდ გაშვებული გოლის შემდეგ გააქტიურდნენ, მაგრამ თავდასხმაში ხეირიანს ვერაფერს ახერხებდნენ. "ზენიტის" საუკეთესო ბომბარდირ **პოგრებნიაკს**, რომელსაც რვა გოლი აქვს გატანილი და ტურნირის ბომბარდირთა დავაში ტონის შემდეგ მეორე ადგილზეა, **მარტინ დემიკელისი** და **ლუსიო** ძალიან კარგად მეურვეობდნენ. "ბაიერნი" თამაშს აკონტროლებდა და 28-ე წუთზე ზე რობერტოს სხვაობის გაზრდაც შეეძლო.

მეორე ტაიმში რეკორდმაისტერი მოულოდნელად პასიური გახდა. 52-ე წუთზე **დენისოვი-არშავინი**-პოგრებნიაკი-**ფაიზულინის** იდეალური კომბინაცია ამ უკანასკნელის დარტყმით დასრულდა, მაგრამ ბურთი ბავარიელთა კარს მცირე მანძილით ასცდა. ცოტა ხნის შემდეგ კი, რუსებმა ანგარიში გაათანაბრეს. მარჯვენა ფლანგიდან ფაიზულინმა ჩააწოდა და ლუსიომ ბურთი თავით საკუთარ კარში ჩაჭრა. **ოლივერ კანს** დარტყმის მოგერიების შანსი არ ჰქონდა. მიღებული გოლის შემდეგ მიუნხენელები აფორიაქდნენ და რუსებს წინ გასვლის შანსი მიეცათ. ცოტა ხანში დასარტყმელ პოზიციაზე გასულ პოგრებნიაკს დემიკელისმა ბურთი რის ვაივაგლახით აართვა. ამ ყველაფერს ისიც დაერთო, რომ კანმა ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. მიუნხენელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ გამარჯვების გოლის გატანა ვეღარ მოახერხეს. არადა, ორი ძალიან კარგი მომენტი ჰქონდათ: ჯერ ლუსიოს დარტყმული **მალაფეევმა** შესანიშნავ ნახტომში მოიგერია, მერე კი პოდოლსკიმ ააცილა ახლო მანძილიდან. ფაქტია, რომ რეკორდმაისტერს ძალიან მძიმე საპასუხო მატჩი ელის. ჰიტცფელდისთვის გუნდისთვის "ზენიტთან" გამოვარდნა სამარცხვინო რამ იქნება.

**ოტმარ ჰიტცფელდი:** *"პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ და ბიჭებთან სასაყვედურო არაფერი მაქვს, მეორე ნახევარში კი ზედმეტად ინერტულები გავხდით და მეტოქეს სახიფათო შეტევების განხორციელების საშუალება მივეცით, რის გამოც დავისაჯეთ კიდეც. გაშვებული გოლის მომენტში ძალიან არ გაგვიმართლა - რას ვიზამთ, ფეხბურთში ასეც ხდება. ვფიქრობ, ფინალში მაინც გავალთ, რადგან საერთოდ სტუმრად კარგად ვთამაშობთ ხოლმე და იმედი მაქვს, რომ სანკტპეტერბურგში 1 ან 2 გოლს გავიტანთ. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ საპასუხო მატჩში ლუკა ტონი გვეყოლება."*

**დიკ ადვოკაატი:** *"ფრეს მივაღწიეთ, რაც ძალიან კარგია. მაგრამ წინ საპასუხო შეხვედრაა, რომელიც ძალიან მძიმე და რთული იქნება. ვფიქრობ, პენალტი არ უნდა დანიშნულიყო, რადგან თუ იმ მომენტში ვინმემ თამაშის წესები დაარღვია, პირველ რიგში ეს ზე რობერტოზე ითქმის. საპასუხო თამაშში დისკვალიფიკაციის გამო 5 ნამყვანი ფეხბურთელი დაგვაკლდება. ეს ნამდვილი კატასტროფაა."*

* * *

გლაზგოელი ქომაგები მატჩისგან უფრო მეტს ელოდნენ. შოტლანდიელები თავის გუნდს გამარჯვებას და მინიმუმ მაღალხარისხიან ფეხბურთს სთხოვდნენ. მაგრამ "აიბროქსზე" შეკრებილმა ფანებმა ძალიან უინტერესო და დუნე მატჩი იხილეს. შედეგიც შესაბამისია: უგოლო ფრე, რომელიც იტალიურ კლუბს უფრო აძლევს ოპტიმიზმის საშუალებას, მაგრამ 0:0 ყოველთვის ძალიან სახიფათო ანგარიშია. საკმარისია, "ფიორენტინამ" საკუთარ მოედანზე ერთი გოლი გაუშვას, რომ უკვე ორი ექნება გასატანი...

**უოლტერ სმიტის** გუნდმა დაცვაში ტრადიციულად კარგად ითამაშა, სამაგიეროდ, "რეინჯერსის" ფეხბურთელებს შეტევაში ხეირიანი არაფერი გაუკეთებიათ. ამ მხრივ "ფიორენტინა" უფრო კარგად გამოიყურებოდა. თუმცაღა, **ჩეზარე პრანდელის** შეგირდებსაც აკლდათ იდეები. პრანდელიმ დისკვალიფიცირებული **დონადელის** ნაცვლად, ძირითად შემადგენლობაში, როგორც მოსალოდნელი იყო, **მონტოლივო** გაამწესა, ხოლო მარცხენა მცველის პოზიციაზე კი, **პასკუალის** ნაცვლად **გობის** ენდო. წინა ხაზი კი უცვლელი დარჩა: "რეინჯერსს" **სანტანა, პაცინი** და **მუტუ** უტევდნენ.

მომხვდურებმა თავიდანვე ტაქტიკური ბრძოლა გააჩაღეს და დაზვერვის შემდეგ, უპირატესობა "ფიორენტინას" მხარეს გადავიდა. პირველი მომენტიც იტალიელებმა შექმნეს: მუტუმ 22 მეტრიდან დაარტყა, მაგრამ შოტლანდიელთა მეკარე **ალექსანდერმა** მომენტი უპრობლემოდ განმუხტა. გლაზგოელები დაცვაში ტრადიციულად კარგად იდგნენ და აქცენტი კონტრშეტევებზე ჰქონდათ გადატანილი. ერთ-ერთი კონტრიერიშისას **დარშევილმა** მარცხენა ფლანგზე გაილაღა და ძლიერად დაარტყა, მაგრამ **ფრეის** პრობლემა ვერ შეუქმნა.

ფლორენციელები "რეინჯერსის" საჯარიმომდე საკმაოდ იოლად აღწევდნენ, მერე კი პრობლემები ექმნებოდათ, რადგან სმიტის გუნდი თავს ძალიან კარგად იცავდა. იტალიელებს ბოლო პასის გაკეთება უჭირდათ, რადგან გლაზგოელებს ყველა ზონა იდეალურად ჰქონდათ ამოკეტილი. იტალიელთა მხრიდან საუკეთესო უდავოდ მუტუ გახლდათ. რუმინელი ფორვარდი გლაზგოელ მცველებს სერიოზულ მაგრად ანერვიულებდა.

მატჩის სცენარი არც მეორე ტაიმში შეიცვალა. შეიძლება ითქვას, რომ "ფიორენტინა" ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ არა იმდენად უკეთესად, რომ იტალიელებს გამარჯვება დაემსახურებინათ. მეორე ნახევრის ყველაზე რეალური მომენტი 76-ე წუთზე მუტუს შეექმნა, რომელმაც 35 მეტრიდან საჯარიმო დარტყმა ძალიან კარგად შეასრულა, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. 15:00. ეროვნული. საქართველო-ესპანეთი

# ერთა თასი აქ რჩება

## გვინდა რევანში ესპანეთთან



ჩხაიძე, ურუშაძე, გორგოძე და დადუნაშვილი გუშინდელ ვარჯიშზე

**საქართველო-ესპანეთი**

საქართველო: 15.ოთარ ბარკალაია, 14.ირაკლი ჩხიკვაძე, 13.დავით კაჭარავა, 12.რეზო გიგაური, 11.მალხაზ ურჯუკაშვილი, 10.ლაშა მალაღურაძე, 9.ირაკლი აბუსერიძე; 1.დავით დადუნაშვილი, 2.ირაკლი ნატრიაშვილი, 3.დავით ქუბრიაშვილი, 4.გიორგი ნემსაძე, 5.მამუკა გორგოძე, 6.რატი ურუშაძე, 7.გიორგი ჩხაიძე, 8.დიმიტრი ბასილაია.

16.სიმონ მაისურაძე, 17.შოთა მელიქიძე, 18.კახაბერ უჩავა, 19.ბესო უდესიანი, 20.ბიძინა სამხარაძე, 21.მერაბ კვირიკაშვილი, 22.ალექსანდრე თოდუა.

ესპანეთი: 15.სესარ სემპერე, 14. იგნასიო მარტინი, 13.ხაიმე ნავა, 12.ხავიერ კანოსა, 11.ხუან კანო, 10.მატიე გრატონი, 9.პაბლო ფეიხოო; 1.ხესუს მორენო, 2.ხოსე ბორხესი, 3.ხავიერ სალასარი, 4.ფერნანდეს არამბურუ, 5.სერხიო სოუტო, 6.რაფაელ კამაჩო, 7.კირილ იხარი, 8.ივან კრიადო.

16.მანუელ სერანო, 17.ხუან გონსალესი, 18.ხესუს რეკუერდა, 19.რაფაელ ალვარესი, 20.ვიქტორ მარლეტი, 21.მანუელ მასო, 22.მარტინ ერედია.

მსაჯი: კარლო დამასკო, იტალია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 9 | 8 | 0 | 1 | +176 | 16 |
| 2.რუსეთი | 10 | 8 | 0 | 2 | +165 | 16 |
| 3.რუმინეთი | 10 | 6 | 0 | 4 | +133 | 12 |
| 4.პორტუგალია | 9 | 3 | 0 | 6 | -8 | 6 |
| 5.ესპანეთი | 8 | 3 | 0 | 5 | -9 | 6 |
| 6.ჩეხეთი | 10 | 0 | 0 | 10 | -447 | 0 |

10 მაისი

**ესპანეთი-პორტუგალია**

**საქართველოს** მორაგბეთა ნაკრებმა ესპანელებთან მატჩის წინ გუშინ ბოლო ვარჯიში გამართა ეროვნულ სტადიონზე.

ჩვეულებრივ, მოთელვის შემდეგ მორკინალებმა დერეფანში ივარჯიშეს. უკანახაზელებმა რამდენიმე კომბინაცია ბოლომდე დახვეწეს და მერე დამრტყმელებმა **ოთარ ბარკალაიამ, ლაშა მალაღურაძემ, მალხაზ ურჯუკაშვილმა და მერაბ კვირიკაშვილმა** კარები დაბომბეს.

ბორჯღალოსნებს დღეს ესპანელებთან რევანშის აღება მართებთ. პირენეელები ერთადერთნი არიან, ვინც ერთა თასის მიმდინარე გათამაშებაში ჩვენი მორაგბეების დამარცხება შეძლო. ამისათვის ყველა მორაგბე მაქსიმალურადაა მოტივირებული, მით უფრო, რომ თბილისს FIRA AER-ის პრეზიდენტი **ჟან კლოდ ბაკე** ეწვია, რომელმაც თან ერთა თასიც ჩამოიტანა.

**ტიმ ლეინი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:** „ესპანეთის ნაკრებთან თამაში ჩემთვის კიდევ ერთი გამოწვევაა. საინტერესოა, როგორი ძალის გუნდია, როგორ მოახერხა გასულ წელს საქართველოს ნაკრების დამარცხება. თითოეული მორაგბე როგორც ყოველთვის მაქსიმალურად პროფესიულად უდგება საქმეს, რაც სამუშაოს მნიშვნელოვნად მიადვილებს. შარშანდელი მარცხი პირენეელებთან მათთვის საკმარისი გამაღიზიანებელი ფაქტორია სპორტული თვალსაზრისით. ასე რომ, დამატებითი ფსიქოლოგიური ზემოქმედება საჭირო არაა.

**ლევან ცაბაძე, მწვრთნელი:** „გუნდი მატჩისთვის კარგადაა მომზადებული. ესპანელების ამასწინდელი მატჩი რუმინელებთან რამდენჯერმე გავაანალიზეთ და მეტოქის თამაშში ბევრი ხარვეზი აღმოვაჩინეთ. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ჩვენი უკანახაზელები რამდენად ზუსტად შეასრულებენ მწვრთნელიც დავალებას. ესპანელებს არც შერკინება ჰყავთ ცუდი, მაგრამ ვფიქრობ ჩვენ პრობლემას ვერ შეგვიქმნიან. ვნახოთ, თამაშში ყველაფერი ნათლად გამოჩნდება."

**ირაკლი აბუსერიძე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:** „იოლი თამაში ნამდვილად არ იქნება. ესპანელთა გუნდი თავმოყვარე, ბოლომდე მებრძოლი კრებულია, თუმცა არ მგონია თბილისში მათ რაიმე შანსი ჰქონდეთ. ჩვენ, როგორც ყოველთვის, თავს არ დავზოგავთ და ვეცდებით ქართველი ქომაგი კიდევ ერთხელ გავახაროთ."

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი

# არცთუ სასიამოვნო ტური

მეხუთე ტური ქართველთათვის არცთუ სასიამოვნოდ დასრულდა: დამარცხდა აქამდე ქულადაუკარგავი **ლევან ფანცულაია** და პირველი რიგებიდან მეორეში გადაინაცვლა, არც ქალთა შორის გვიყოჩაღია გამორჩეულად და თუმცა 4 ქულით **ნანა ძაგნიძე** ლიდერებს კვალში უდგას, აშკარად მეტის მიღწევაც შეგვეძლო.

ლევან ფანცულაიას ძალიან ძლიერი მეტოქე ჰყავდა ებრაელი **ემილ სუტოვსკის** სახით. თეთრებით დებიუტი ისეთი ჩანდა, ლევანს შავებით არანაირი პრობლემა არ უნდა შექმნოდა, მაგრამ მიტელშპილში არცთუ რთული ტაქტიკური დარტყმა გამოეპარა და პაიკი წააგო. მიუხედავად ამისა, უიმედო პოზიცია არ იყო და როცა მძიმე ფიგურები გავიდა თამაშიდან, ყაიმის შანსები ძალიან თვალნათელი გახლდათ. სამწუხაროდ, პირდაპირი რეპორტაჟი ყველაზე საინტერესო მომენტში შეწყვდა და გვიან ღამემდე ვერ შევძელით ენდშპილის ხილვა, შედეგი კი ცნობილი გახდა და ნამდვილად გაგვიკვირდა - როგორ წააგო ქართველმა. აშკარად რაღაც გაუგებრობას ანაც უხეშ შეცდომას ჰქონდა ადგილი, თორემ წაგებას კი არა, ამბიციური მოჭადრაკე მოგებისთვისაც კი გაიწევდა: თეთრებს 5 პაიკი და მხედარი ჰყავდათ, შავებს კი ოთხი პაიკი და კუ; ამავე დროს მეფე ბევრად აქტიური იყო და E პაიკიც გამსვლელი ჩანდა, ეს მაშინ, როცა თეთრების მეფე გვარიანად შორს იმყოფებოდა.

ამის საპირისპიროდ განვითარდა სურათი **მაია ლომინეიშვილსა** და რუს **ნატალია პოგონინას** შორის. რუსი დიდოსტატი 70 პუნქტით კი უსწრებს ქართველს, მაგრამ მაიამ თეთრებით დებიუტი შესანიშნავად გაითამაშა და დიდი უპირატესობა მიიღო: მეფის ფრთაზე შეტევა წამოიწყო. მცირე ხანში პაიკიც მოინადირა და შავების მეფე ერთი შეხედვით უიმედო მდგომარეობაში ჩააყენა. ერთი შეხედვით იმიტომ, რომ ნებისმიერ უპირატესობას რეალიზაცია სჭირდება, რაც, უნდა ვაღიაროთ, რომ ლომინეიშვილს ხშირად არ გამოსდის. სამწუხაროდ, ამჯერადაც ასე მოხდა - ქართველმა დიდოსტატმა გაურკვეველ მანევრებს მიმართა და მეტოქეს სულის მოთქმის საშუალება მისცა. მანაც შესანიშნავად შეირგო ინიციატივის გადაბარება და უშეცდომოდ განაგრძო შეხვედრა - პაიკით ჩამორჩენა ერთი პაიკით უპირატესობაში გადაზარდა, მძიმე ფიგურები გაცვალა და ეტლების ენდშპილში გამარჯვება აღარ გასჭირვებია.

ნანა ძაგნიძემაც საინტერესო პარტია ითამაშა, მაგრამ თეთრებით უკრაინელი **კატერინა ლაჰნოს** დამარცხება ვერ შეძლო - ყაიმი. ძაგნიძეს 4 ქულა აქვს და კვლავაც ლიდერებშია.

ამდენი ქულა ქართველთაგან სხვას არავის აქვს, მაგრამ 3.5 ქულა - რამდენიმეს: **ლელა ჯავახიშვილს, სოფიკო ხუხაშვილს, სალომე მელიას და ნინო ბაციაშვილს**. აქედან ორი, ხუხაშვილი და მელია, ერთმანეთს ხვდება და ისინი დღეს პირველ ქართულ დერბის შემოგვთავაზებენ.

ქულებში რუსი **ეკატერინა კოვალევსკაია** და ლიტველი **ვიქტორია ჩმილიტე** ლიდერობენ 4.5 ქულით. ვაჟებში კი ერთპიროვნული ლიდერი გახდა **ემილ სუტოვსკი** - 5 ქულა აქვს; 4.5 ქულა სამ მოჭადრაკეს მოუგროვდა: აზერბაიჯანელ **რაუფ მამედოვს**, რუს **სერგეი მოვსესიანსა** და ჰოლანდიელ **იან ვესლეს**. 4 ქულა კი 16 მოჭადრაკეს აქვს; მათ შორის ლევან ფანცულაიასაც.

სხვათა ქართველებზე ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან შეგექმნებათ სრული შთაბეჭდილება.

**ზვიად შათირიშვილი**



ნანა ძაგნიძე

| მეხუთე ტური. ვაჟები | |
|---|---|
| ემილ სუტოვსკი (ისრ. 2630) - **ლევან ფანცულაია** (2617) | 1:0 |
| ემანუილ ბერგი (შვედ. 2601) - **კონსტანტინე შანავა** (2518) | 1:0 |
| **თორნიკე სანიკიძე** (2458) - ზდენკო კოჟული (ხორ. 2583) | 1:0 |
| ვლადიმირ ბელოვი (რუს. 2571) - **დავით ჯოჯუა** (2463) | 0.5:0.5 |
| **მიხეილ მჭედლიშვილი** (2535) - დეიან ბოიკოვი (ბულ. 2492) | 1:0 |
| **გიორგი მარგველაშვილი** (2455) - კამილ მიტონი (პოლ. 2620) | 0.5:0.5 |
| სანგ ცაო (უნგ. 2535) - **დავით ლობჟანიძე** (2394) | 0:1 |
| **ივერი ჭილაძე** (2384) - ალექსანდრ მისტა (პოლ. 2537) | 0:1 |
| **მალხაზ სულაშვილი** (2491) - ვანკო სტემენკოვი (მაკ.2350) | 1:0 |
| **დავით მაღალაშვილი** (2462) - დეიან დინევი (მაკ. 2298) | 1:0 |
| **ბაჩანა მორჩიაშვილი** (2421) - კირილ გადევი (ბულ. 2311) | 0.5:0.5 |

| ქალები | |
|---|---|
| **ნანა ძაგნიძე** (2443) - კატერინა ლაჰნო (უკრ. 2479) | 0.5:0.5 |
| **მაია ლომინეიშვილი** (2400) - ნატალია პოგონინა (რუს. 2470) | 0:1 |
| ტატიანა ვასილევიჩი (უკრ. 2360) - **ლელა ჯავახიშვილი** (2466) | 0.5:0.5 |
| **სოფიო გვეტაძე** (2350) - ელიზაბეტ პეჰტი (გერ. 2449) | 0:1 |
| სვეტლანა მატვეევა (რუს. 2420) - **სოფიკო ხუხაშვილი** (2371) | 0.5:0.5 |
| **სალომე მელია** (2413) - ლილიტ გალოიანი (სომ. 2324) | 1:0 |
| ირინა ვასილევიჩი (რუს. 2395) - **ნინო ბაციაშვილი** (2304) | 0:1 |
| **მარიამ დანელია** (2129) - ემილია ჯინგაროვა (ბულ. 2301) | 0.5:0.5 |
| **ანა გვაზაველი** (2191) - ნარგიზ უმუდოვა (აზერ. 2222) | 0:1 |
| ივა ვიდენოვა (ბულ. 2178) - **ნაზი პაიკიძე** (2347) | 1:0 |
| **სოფიო ნიკოლაძე** (2249) - ცვეტა გალუნოვა (ბულ. 1816) | 1:0 |
| **მერი ტორთოლიანი** (2133) - გარზინა ბაკალარზი (ლუქ. 2006) | 1:0 |

| მეექვსე ტური. ქალები |
|---|
| ანა უშენინა (უკრ. 2479) 4 - **ნანა ძაგნიძე** (2443) 4 |
| **ლელა ჯავახიშვილი** (2466) 3.5 - ეკატერინა ნემცოვა (ჩეხ. 2344) 3.5 |
| სოფიკო ხუხაშვილი (2371) 3.5 - **სალომე მელია** (2413) 3.5 |
| **ნინო ბაციაშვილი** (2304) 3.5 - ივეტა რაილიჩი (პოლ. 2411) 3.5 |
| იულია დიომინა (რუს. 2337) 3 - **მაია ლომინეიშვილი** (2400) 3 |
| ვიქტორია ტარასოვა (რუს. 2276) 3 - **სოფიო გვეტაძე** (2350) 3 |
| ლილიტ გალოიანი (სომხ. 2324) 2.5 - **მარიამ დანელია** (2129) 2.5 |
| ტატიანა ლემაჩკო (შვეიც. 2189) 2 - **სოფიკო ნიკოლაძე** (2249) 2 |
| მელანი ომე (გერ. 2248) 1.5 - **მერი ტორთოლიანი** (2133) 1.5 |
| მილენა სტეფანოვა (ბულ. 2029) 1.5 - **ანა გვაზაველი** (2191) 1.5 |
| **ნაზი პაიკიძე** (2347) 1 - ლაურა ბენსდორფი (ჰოლ. 2085) 1 |

| ვაჟები |
|---|
| **ლევან ფანცულაია** (2617) 4 - დარიუშ სვირცი (პოლ. 2413) 4 |
| ერვინ ლამი (ჰოლ. 2600) 3.5 - **თორნიკე სანიკიძე** (2458) 3.5 |
| შარუნას სულსკისი (ლიტ. 2555) 3 - **მიხეილ მჭედლიშვილი** (2635) 3 |
| **კონსტანტინე შანავა** (2518) 3 - ალექსანდრ გალკინი (რუს. 2606) 3 |
| **დავით ჯოჯუა** (2463) 3 - მათეუშ ბარტელი (პოლ. 2588) 3 |
| ივან ნეპომნიაშჩი (რუს. 2634) 2.5 - **მალხაზ სულაშვილი** (2491) 2.5 |
| ჰანეს სტეფანსონი (ისლ. 2538) 2.5 - **დავით მაღალაშვილი** (2462) 2.5 |
| აშოტ ანასტასიანი (სომხ. 2560) 2.5 - **გიორგი მარგველაშვილი** (2455) 2.5 |
| ვლად-კრისტიან იანუ (რუმ. 2531) 2.5 - **დავით ლობჟანიძე** (2394) 2.5 |
| ტოდორ ბანევი (ბულ. 2284) 1.5 - **ბაჩანა მორჩიაშვილი** (2421) 1.5 |
| ეპამინონდას კოურკოუზისი (საბ. 2191) 1.5 - ივერი ჭილაძე (2384) 1.5 |

სამბო. ევროპის ჩემპიონატი. 29 აპრილი-1 მაისი. თბილისი

# სპორტის სასახლეში, სამშაბათიდან

**29 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით, თბილისის სპორტის სასახლე სამბოში ევროპის 26-ე ჩემპიონატს უმასპინძლებს. ეს ტურნირი საქართველოში პირველად ტარდება, თუმცა თბილისმა 1997 წელს უფრო დიდ ტურნირს - მსოფლიო პირველობას უმასპინძლა.**

ახლანდელი პირველობის მასპინძლობა სპონტანურად გვიხდება - ამ ტურნირისთვის უკრაინას უნდა ემასპინძლა, მაგრამ მათ თებერვალში უარი განაცხადეს და გაჩენილი ვაკანსიის დასაუფლებელ ბრძოლაში საქართველოც ჩაერთო. იმის მიუხედავად, რომ მეტოქეობას რუსეთი და ბელარუსი უწევდნენ, სწორედ ჩვენებმა გაიმარჯვეს და უმოკლეს დროში დედაქალაქის მერიის, სპორტის დეპარტამენტისა და სახალხო ბანკის თანადგომით ჩვენმა ფედერაციამ ლამის შეუძლებელი შეძლო - ორგანიზაციული საკითხები უკვე ამ ეტაპზეა მოგვარებული.

მასპინძლები ამ ტურნირს საქართველოს, მისი კულტურის, ისტორიისა თუ დღევანდელობის პოპულარიზაციისთვის იყენებენ და საორგანიზაციო საკითხებში სპორტულ მხარესთან ერთად ესეც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული. ვიმედოვნებთ, სტუმრები მართლაც კმაყოფილები წავლენ და საქართველოსაც გაიცნობენ.

არადა, სტუმრები ბლომად ჩამოვლენ - 23 ქვეყნის 300-ზე მეტი მოჭიდავე, რასაც მსაჯები, ოფიციალური დელეგაცია და საპატიო სტუმრებიც უნდა დავუმატოთ. ყველაზე დიდი დელეგაციით სამბოს მამამთავარი რუსები გვესტუმრებიან - 60 კაცით. ისინი სპორტულ სამბოშიც გამოვლენ და საბრძოლოშიც. როგორც ქალებში, ასევე - ვაჟებში და მათი დელეგაციის სიმრავლეც ამითაა განპირობებული. მოზრდილი გუნდები ეყოლებათ უკრაინას - 37 და ბელარუსს - 34.

ცხადია, ამ ტურნირზე ჩვენს ვაჟთა ნაკრებს განსაკუთრებული ამბიცია ამოძრავებს - ისინი უცხოეთში მიიჩნევიან ნებისმიერი ტურნირის ფავორიტებად, აქ კი მასპინძლობის ფაქტორი ორმაგად ავალებთ და ბუნებრივია, გუნდურ პირველობას უმიზნებენ. ნაკრების თავკაცმა ოლეგ იაძემ უძლიერეს შემადგენლობას უხმო: **უშანგი კუზანაშვილი** (52), **ავთანდილ ცინცაძე** (57), **დავით სიმონიშვილი** (62), **ბექა იმერლიშვილი** (68), **კახა მამულაშვილი** (82), **მინდია ბოდაველი** (90), **მირიან პავლიაშვილი** (100) და **ზვიად ჩინჩალაძე** (მძიმე). შედარებით მოკრძალებულია ქალთა ნაკრების მიზანი - გამოცდილების მიღება. ქალთა ტურნირში სულ სამი მონაწილე გვეყოლება: **თინათინ ქულოსაშვილი** (60), **ნინო ოძელაშვილი** (80) და **ირინა ლეონიძე** (მძიმე).

ვაჟთა ნაკრები ბოლო შეკრებას გლდანში, ოლიმპიური მზადების ცენტრში გადის. გუშინ საკონტროლო შეხვედრებიც გამართეს, დღეიდან კი ევროპირველობისთვის შედარებით მსუბუქი დატვირთვებით გააგრძელებენ მზადებას. იაძე კმაყოფილია გუნდის მომზადებით, რაც გეგმის სრული დაცვით წარიმართა. საბედნიეროდ, იღბალმაც დაინდო ტრავმებისგან და ჯანმრთელობის მხრივ, მცირე პრობლემაც კი არავის აწუხებს.

ტურნირი 29 აპრილს დაიწყება და ვაჟებში 52, 62, 74, 90 და +100 წონების ფალავნები იჭიდავებენ, ქალებში - 48, 56, 64, 72 და +80. ასპარეზობები დანარჩენ წონებში ხვალ გაიმართება, 1 მაისს კი ჩემპიონატი საბრძოლო სამბოს წარმომადგენლებს დაეთმობათ, თუმცა იქ მონაწილე არ გვეყოლება და ის მხოლოდ ვაჟებში ტარდება.

შეჯიბრებები დილით 10 საათზე დაიწყება, ფინალები - 18 საათზე. ბილეთის ფასი 2 ლარია, ოღონდ დილის და საღამოს შეხვედრებზე ბილეთები ცალცალკე გაიყიდება.

ჩემპიონატის მთავარი მსაჯია სამბოს საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, რუსი **ვასილი პერჩიკი**, მთავარი კომისარი - მოლდოველი **მიხაილ ჟიდელეევი**, ტურნირის მომსახურე 20 მსაჯს შორის კი ჩვენი წარმომადგენელი **ემილ რაშიც** იქნება.

**ირაკლი თავაძე**

ფეხბურთიადა და სპორტული სკივრი

# სათავეები



დასაწყისი "ლელო" №86,92

## ქართული ფეხბურთის თავისებურებანი

"ბათომი. აღდგომის კვირაში სასიამოვნო დარები იდგა. კვირაცხოვლობაზე აქაური ქართველობა შეიკრიბა კახაბრის მინდორზე და დაიწყეს ბურთაობა. მაყურებელნიც ბევრი იყო მოსულნი და დიდათაც გაჰკვირდნენ და ისიამოვნეს ამ თამაშის ცქერით, ვისაც პირველად ენახა ბურთის თამაში."

*"ივერია". №75, 1890 წელი*

დასკვნა: ქართველებს ლელოს თამაში ნამდვილად არ გაუკვირდებოდათ, მაშასადამე, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ჩვენთან, ზღვიდან შემოსულ ფეხბურთს თამაშობდნენ. ასეა ეს!

საქართველოს პირველი საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილეებს, 1990 წლის 30 მარტს მისალოცი დეპეშით ფოთიდან მიმართა იმ დროისთვის მსოფლიოს უხუცესმა ფეხბურთელმა, ას წელს მიტანებულმა **შალვა პაიჭაძემ**.

მატჩისშემდგომ ორიგინალური ინვენტარიზაციის შესახებ მოგვითხრობს სოხუმელი ვეტერანი ფეხბურთელი **შალვა ქირია**: "საუკუნის დასაწყისში (XX საუკუნე იგულისხმება) კარის ძელები ბამბუკისა იყო. თამაშის შემდეგ სახლში მიგვქონდა, რომ არავის მოეპარა." მართალია, ქურდობის დონე მაშინ საკმაოდ ჩამორჩებოდა დღევანდელისას, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა..."

იგივე ვეტერანი განაგრძობს: "მაშინ ნამდვილი ბუცები იშვიათობა იყო. მახსოვს, აფხაზეთის სანაპიროსთან ინგლისის გემი ჩაიძირა. ხმა გავარდა -სხვადასხვა მანუფაქტურასთან ერთად იქ ბუცებიც არისო. დამთავრდა თუ არა შტორმი, ბიჭებმა ჩავყვინთეთ და ახალთახალი ბუცები ამოვიტანეთ. ამის შემდეგ ჩვენი დამმარცხებელი კაცი არ იყო!"

1919 წელს ქუთაისში არსებობდა გუნდი "ბაში აჩუკი", რომელიც იმავდროულად შესანიშნავი ვოკალური ანსამბლიც იყო. გუნდის მწვრთნელი **ხარაბაძე** კი "შეთავსებით" ლოტბარიც გახლდათ. ორმაგი დატვირთვა სულაც არ ეტყობოდა კოლექტივს. კარგი თამაშის შემდეგ, გუნდი კონცერტებსაც მართავდა. ისე, ტრადიცია რომ აღდგეს, ურიგო არ იქნება.

1919, 1920 წლების საქართველოს დამოუკიდებლობის ზეიმები ვაკის სტადიონზე, რომელიც ასზე მეტი წლისაა, საფეხბურთო მატჩებით გვირგვინდებოდა. გაზეთები წერდნენ: "ზეიმის შემდეგ მოეწყო ბურთაობა, რომელმაც სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა." დატოვებდა, აბა რა, ჩვენებმა ხომ ინგლისელებისგან, რომელთა შორის ბევრი ძლიერი ფეხბურთელი იყო, დაკომპლექტებულ გუნდს მოუგო 3:2. აბა, ულია!

საყურადღებო რამ მოხდა საქართველოში, კომუნისტური ოკუპაციის დაწყებისთანავე. რესპუბლიკის ყველა მნიშვნელოვან ცენტრში საფეხბურთო გუნდებს "დინამო" დაარქვეს. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ზუგდიდში. (ძნელი მისახვედრი არ არის, რომელმა უწყებამ და რატომ მოაქცია ახალგაზრდობის საყვარელი თამაში თავისი ფრთის ქვეშ). გამონაკლისი მხოლოდ ჩვენი ფეხბურთის აკვანი ფოთი იყო, იქ დამკვიდრდა საამაყო სახელი "ვოდნიკი".

30-იანი წლების რუსეთის ჟურნალისტები და გულშემატკივრები ქართველ ფეხბურთელებს "დიდ ურუგვაელებს" უწოდებდნენ. რატომ? იმიტომ, რომ პატარა ურუგვაი იმხანად მსოფლიოში უძლიერეს და უნიჭიერეს საფეხბურთო ქვეყანას წარმოადგენდა (1924, 28 წწ. ოლიმპიური და 1930 წ. მსოფლიო ჩემპიონი). ვინ იცის, წითელი რუსეთის აგრესია რომ არა, იქნებ ჩვენი ქვეყანა პირველ მსოფლიო ჩემპიონატშიც მიიღებდა მონაწილეობას ურუგვაიში (სადაც ევროპელებს მუხლმოდრეკით ეპატიჟებოდნენ მასპინძლები და იქ მაინც 16-ის მაგივრად, 13 მონაწილე გუნდი ჩავიდა მასპინძელთა ხარჯებით იბერომერიკაში). არ დაგვავიწყდეს, მაშინ 1903 წელს დაბადებული **ანდრო ჟორდანია** გვყავდა - შემდგომში თბილისის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ნაკრების კაპიტანი, სსრკ-ს ნაკრების წევრი. მან თავი გამოიჩინა გერმანიის, ავსტრიის, ესპანეთის გუნდებთან მატჩებში. სხვათა შორის, 1915 წელს დაბადებული **ბორის პაიჭაძე** და მისი თაობის ქართველი ფეხბურთელები 1934 და 1938 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების დროს ნიჭიერების გაფურჩქვნის პერიოდში იმყოფებოდნენ და შეეძლოთ თავიანთი ოსტატობა მთელი მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ და არა მხოლოდ მოსკოვის, კიევისა და სტალინგრადის "დინამოების", "ლოკომოტივებისა" და "ტრაქტორების" გულშემატკივრებისთვის... ვაჰ, დრონი, დრონი...

საბჭოეთის 1936 წლის პირველი (საგაზაფხულო) ჩემპიონატში თბილისელების არჩართვის მიზეზად ის დასახელდა, რომ საქართველოს დედაქალაქი ძალიან არის დაშორებული "ცენტრს", ე.ი. მოსკოვს, ლენინგრადს, კიევს. რა გაეწყობოდა, თბილისელებმა "ბ" კლასის შეჯიბრებაში მოწინააღმდეგეები გაანადგურეს, "ა" კლასში გადავიდნენ (შემოდგომით), ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს და თასის ფინალშიც გავიდნენ. მეტის მიღწევაში მათ დაშორებულმა "ცენტრმა" შეუშალა ხელი.

**ალექსანდრე ჯინორია**

გაგრძელება იქნება

## აპრილი სპორტის ისტორიაში

### პირველად ნომრიანი მაისურით

75 წლის წინათ, 1933 წლის 29 აპრილს, ფეხბურთელებმა ნომრიანი მაისურებით პირველად ითამაშეს. ეს იყო ინგლისის თასის ფინალი. ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს "მანჩესტერ სიტისთვის" მიენიჭებინათ ნომრები 1-დან 11-ის ჩათვლით, "ევერტონისთვის" 22-დან 12-ის ჩათვლით."

როგორც იცით, აქტუალობა არც თანამედროვე ფეხბურთში დაუკარგავს 22-12 ნომრებს.

### მონარქი სტადიონზე

25 აპრილს, 1914 წელს, ფეხბურთში ინგლისის თასის ფინალურ მატჩს პირველად დაესწრო ბრიტანეთის იმპერიის მონარქი მეფე **გეორგ მეხუთე**. ერთმანეთს "კრისტალ პალასის" სტადიონზე ეთამაშებოდნენ "ბარნლი" და "ლივერპული". თასი "ბარნლიმ" მოიგო (1:0).

### ლოზანაში 1914 წლიდან

1914 წლის 10 აპრილს ოლიმპიური თამაშების ამაღორძინებელმა, ბარონმა **პიერ დე კუბერტენმა**, როგორც სოკ-ის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა, საბოლოოდ გადაწყვიტა ორგანიზაციის დაბინავების საკითხი. ლოზანის მუნიციპალიტეტში მან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმად სოკ-მა ბინა სწორედ ამ ქალაქში დაიდო. იქვეა დღესაც.

### ლონდონში, 100 წლის წინათ

1908 წლის 27 აპრილს, ლონდონში საზეიმოდ გაიხსნა IV ოლიმპიური თამაშები, რომელიც უსაშველოდ გაიწელა და იმავე წლის ოქტომბრის ბოლო დღეს დასრულდა. მაგრამ ლონდონს საყვედური არ ეთქმის, ფაქტობრივად, ეს თამაშები ამ ქალაქმა გადაარჩინა. მანამდე მასპინძლად შერჩეული რომი იყო, თამაშებამდე ერთი წლით ადრე უარი განუცხადა. უფრო ადრე ბერლინმა ვერ მიიღო თავისი ქვეყნის მხარდაჭერა. ლონდონის ოლიმპიადაში 22 ქვეყნის 2008 სპორტსმენი მონაწილეობდა. ამ ქალაქმა შემდეგ კიდევ ერთხელ, ზუსტად 40 წლის შემდეგ უმასპინძლა ზაფხულის ოლიმპიადას. ეს იყო XIV თამაშები.

### რიგგარეშე თამაშები ათენში

22 აპრილს, 1906 წელს ათენში დაიწყო რიგგარეშე ოლიმპიური თამაშები. ამ ოლიმპიადას მომხრეებიც ჰყავდა და მოწინააღმდეგენიც. პიერ დე კუბერტენმა ანგარიში გაუწია ბერძენთა დამსახურებას, მით უფრო, რომ 1906 წელს ძველბერძნული ოლიმპიადების აღორძინების 10 წლისთავი უსრულდებოდა. თამაშებში მონაწილეობის სურვილი 20-მა ქვეყანამ გამოთქვა. სტარტზე გამოვიდა 844 სპორტსმენი.

## რამდენს უხდიან რუსეთის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელს?

ამ დღეებში ისტორიულმა რუსულმა გაზეთმა "კომსომოლსკაია პრავდამ" გამოაქვეყნა საინტერესო ინფორმაცია 1992-2010 წლებში რუსეთის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელების წლიურ ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

ამჟამად, როგორც ნობილია, რუსეთის ნაკრებთან, 2006 წლიდან მოყოლებული, მუშაობს ჰოლანდიელი სპეციალისტი **გუუს ჰიდინკი**. კონტრაქტი მას 2010 წელს დაუმთავრდება, ცხადია, თუ მანამდე რაიმე გაუთვალისწინებელი ან შეთანხმებით გათვალისწინებული პირობა არ გახდა ურთიერთობის შეწყვეტის მიზეზი.

რამდენს იღებდნენ ჰიდინკამდე რუსეთის ნაკრების დამრიგებლები წელიწადში და რას უხდიან ჰოლანდიელს? ამ კითხვაზე მკაფიო პასუხს იძლევა ოფიციალური ცნობა, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

**რუსეთის ნაკრების მწვრთნელთა ანაზღაურება წელიწადში (აშშ დოლარებში)**

| მწვრთნელი | მუშაობის წლები | ხელფასი |
|---|---|---|
| პაველ სადირინი | 1992-1994 | 100 000 |
| ოლეგ რომანცევი | 1994-1996 | 1 000 000 |
| ბორის იგნატიევი | 1996-1998 | 250 000 |
| ანატოლი ბიშოვეცი | 1998 | 400 000 |
| ოლეგ რომანცევი | 1999-2002 | 1 000 000 |
| ვალერი გაზაევი | 2002-2003 | 700 000 |
| გიორგი იარცევი | 2003-2005 | 250 000 |
| იური სიომინი | 2005 | 700 000 |
| გუუს ჰიდინკი | 2006-2010 | 5 500 000 |

ჰიდინკის წლიური ხელფასი, როგორც ხედავთ, 5.5 მილიონი დოლარი, ანუ 3.5 მილიონი ევროა. მაგრამ ამ თანხას, სრულად როდი იღებს. აქედან 2 მილიონია ხელზე მისაღები 1 მილიონი მიდის რუსეთისა და ჰოლანდიის ბიუჯეტების სასარგებლოდ, 500 ათასი ბონუსია - წარმატებული შედეგისთვის. გარდა ამისა, ჰიდინკის სამ თანაშემწეს უხდიან ყველა ხარჯს, რაც დაკავშირებულია საჰაერო მგზავრობასთან, კვებასთან და სასტუმროსთან.

როგორც ხედავთ, თვით რუსეთის სპეციალისტებიდან ყველაზე ძვირადღირებული ყოფილა ოლეგ რომანცევი, თანაც იგი ერთადერთია, რომელიც ნაკრებში მეორეჯერაც მიიწვიეს, თუმცა შედარებით ნაკლები ანაზღაურებით. ფასის მიხედვით მეორე ადგილზე სიომინი და გაზაევი მოდიან თანაბრად.

### სპორსმენები საკუთარ თავზე

"ჩემი სურვილები, ჩემი შედეგების საფუძველზე განვახორციელე და არ მინდა მაღალი შედეგების მისაღწევად ეს გზა ჩემი მოწაფეების საშუალებით გავიარო, ამიტომაც ვთვლი, რომ მწვრთნელის პროფესია საჩემო საქმე არ არის."

*ირინა როდნინა*

## მბრძანებლებს სხვა სიმაღლეებიც იზიდავდა

ცნობილია, რომ ძვ.წ.ა. 130 წელს რომის იმპერატორი **ადრიანე** ფეხით ასულა მწვერვალ ეტნაზე, რომლის სიმაღლე 3263 მეტრია.

სკანდინავიურ ქრონიკებში შემონახული ინფორმაცია იუწყება, რომ ნორვეგიის მეფე **ოლაფ ტრუგვესონი** (X ს.) სპალსეჰორნის კლდოვან ქიმზე აცოცებულა.

გამოჩენილი იტალიელი პოეტი **ფრანჩესკო პეტრარკა** 1336 წელს ალპებში მწვერვალ მონვენტოზე (1920 მ) ასულა. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სწორედ ამ ასვლით იწყება მსოფლიო ალპინიზმის ისტორია.

შეგახსენებთ, რომ სახელწოდება "ალპინიზმი" სიტყვა "ალპებისგან" მიმდინარეობს.

# კროსვორდი

თარაზულად: 3. ალმგზნები ნივთიერება, რომელიც შეჰყავთ დოლის ცხენის ან სპორტსმენის ორგანიზმში, შეჯიბრების წინ; 7. ძიუდოისტის ჩოხა; 8. თანაბარი შედეგი სპორტში; 9. ბილიარდის ჯოხი; 10. საფრანგეთის ნაკრების და "მანჩესტერის" ფეხბურთელი; 11. ალპინისტთა სარბიელი; 12. რუსეთის ჩემპიონი საფეხბურთო გუნდი; 13. ცნობილი ლიბერიელი ვეტერანი ფეხბურთელი, რომელმაც პოლიტიკოსობა დააპირა; 14. ბერძნების ძველი სახელი; 26. ანტიკურ ჭიდაობაში ცნობილი ქართველი მწვრთნელი, რამაზ ნოზაძის და სხვათა აღმზრდელი; 18. ჩინეთის ნაკრების ვაჟი მოჭადრაკე; 20. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, მწვრთნელი; 21. უძველესი ჩინური სამაგიდო თამაში; 22. პერსონალური ჯარიმა კალათბურთში; 23. ფრანგი ფეხბურთელი, 1934 წ. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე; 24. ცნობილი ესპანელი ვაჟი ჩოგბურთელი.

შვეულად: 1. პარაგვაის ნაკრების მეკარე ფეხბურთში 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე; 2. სტუდენტთა დიდი კომპლექსური ასპარეზობა; 4. ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატის სახელწოდება; 5. ვეტერანი ქართველი ძიუდოისტი, ლერი... 6. ბეისბოლსა და კრიკეტში თამაშის სეგმენტი; 8. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით); 15. ყველაზე მძიმე შედეგი კრივში; 17. ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელი, ჯანლუკა... 19. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (შემოკლებით); 20. ჰოკეის ნაციონალური ლიგა (შემოკლებით).



**წინა გამოშვების კროსვორდის პასუხები**

თარაზულად: 1. სიგმა; 4. ულმი; 7. კოტე; 9. მოია; 10. ლაუდა; 11. ლეიბი; 12. ფიგუ; 13. ნარდი; 14. ფლო; 15. ათენი; 18. პია; 22. კაპაბლანკა; 24. ჩუი.

შვეულად: 1. სუმო; 2. გეიმი; 3. ფოლი; 5. ლაუდრუპი; 6. იგანი; 8. ელინგი; 11. ლუკა; 12. ფალკაო; 16. თელა; 17. ნუნუ; 19. აუტი; 20. საა.

## თქვენთვის, ერუდიტებო

1. რომელ წლებში ედგა სათავეში პიერ დე კუბერტენი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს?
ა-1894-1912
ბ-1896-1925
გ-1898-1920

2. ფეხბურთში მექსიკის (1970) მსოფლიო ჩემპიონატში ვინ ითამაშა ფინალში
ა-გფრ-ამ და ურუგვაიმ
ბ-იტალიამ და ურუგვაიმ
გ-ბრაზილიამ და იტალიამ

3. რომელი წლიდანაა ოლიმპიურ თამაშებში ჩართული ჩოგბურთი?
ა-1896 წლიდან
ბ-1900 წლიდან
გ-1904 წლიდან

4. ვინ იყო ფეხბურთში 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბომბარდირი?
ა-ვიერი (იტალია)
ბ-შუკერი (ხორვატია)
გ-სალასი (ჩილე)

5. ვინ არის ოლიმპიური დევიზის ავტორი?
ა-პიერ დე კუბერტენი
ბ-ფრანსუა პესკუალი
გ-ანრი დიდონი

პასუხები: 1-ბ, 2-გ-3-ა, 4-ბ, 5-ბ.

კალათბურთი. გიორგი ცინცაძე მოედანზე და მოედნის მიღმა

# შორია პორშემდე?

„ტარტუ როკის" ევროთასის ფინალურ ოთხეულში გასვლას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ტარტუელთა შესახებ გაჩენილ არაერთ სტატიას შორის რამდენიმეში გიორგი ცინცაძის გვარი ერთ-ერთ მთავარ ადგილას ფიგურირებს. ფიბაევროპის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მასალა კი მთლიანად გიორგის ეძღვნება. მისი სათაურია - ცინცაძე გაიხსნა.

- ესტონურმა „ტარტუმ" ევროთასზე ისტორიის ახალი ფურცელი ჩაწერა. თუ წარმატების მიზეზებს ეძებთ, მოგახსენებთ, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქართველი გამთამაშებელი **გიორგი ცინცაძეა**.

იგი მხოლოდ 22 წლისაა, მაგრამ გუნდს ისე ხელმძღვანელობს, გამოცდილ უკანახაზელებს შეშურდებათ. ასაკის მიუხედავად, გიორგისთვის ევროპის საკალათბურთო ელიტაში ტრიალი უცხო ნამდვილად არ არის. იგი „ტარტუმდე" მოსკოვის ცსკა-სა და „დინამოში" თამაშობდა. იქ მიღებული გაკვეთილების შემდეგ იგი მომართულია სათამაშოდ და მოსაგებად.

ცინცაძემ კალათბურთის თამაში საქართველოში 9 წლის ასაკში დაიწყო. ორი წლის შემდეგ საკალათბურთო აკადემიაში გადავიდა და 16 წლის ასაკში იქაურ უმაღლეს ლიგაში მოხვდა.

იმავე ზაფხულს გიორგიმ მოსკოვში ცსკა-ს კემპზე ადგილობრივები მოხიბლა და მოსკოვის სახელოვან გუნდთან მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ცსკა-ს რიგებში ქართველმა ტალანტმა ევროლიგაზე ითამაშა და ამ ტურნირის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა კალათბრთელად დაფიქსირდა. წარმატებას იქვე დაღმასვლა მოჰყვა - ცინცაძე უარყოფითი ემოციებით იხსენებს „სამარასა" და „ურალ გრეიტში" გატარებულ სეზონს.

მომდევნო წელს, შუა სეზონში ცინცაძე **დუშან ივკოვიჩის** „დინამოში" ჩაირიცხა, სადაც ნახევარი სეზონი გაატარა. *„მოსკოვის „დინამოში" დიდი გამოცდილება მივიღე. მართალია, ბევრი სათამაშო დრო არ მეძლეოდა, მაგრამ მწვრთნელმა დუშან ივკოვიჩმა ბევრი რამ მასწავლა. კარიერის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი წერტილი სწორედ „დინამო" იყო,"* - იხსენებს ქართველი გამთამაშებელი.

2006-07 წლების სეზონში ესტონეთში გადასვლა ერთი შეხედვით მიმზიდველად არ გამოიყურებოდა, მაგრამ ცინცაძემ თამამი ნაბიჯი გადადგა, რომელიც გამართლებული გამოდგა.

*„თავიდან ცოტა ვჭოჭმანობდი, მაგრამ, როცა იქაურობას გავეცანი და გავიგე, რომ ევროთასსა და ბალტიის ლიგაზე გამოდიოდნენ, კონტრაქტი დაუფიქრებლად გავაფორმე. - იხსენებს გიორგი და იქვე დასძენს - ჩემთვის მთავარი თამაშის გაუმჯობესება და ამისთვის აუცილებელი სათამაშო დრო იყო. როცა დავრწმუნდი, რომ თამაშის შესაძლებლობა მომეცემოდა, მაშინ დავრწმუნდი, რომ ტარტუ ჩემთვის შესაფერისი ადგილი იყო. სახელოვან ევროპულ კლუბში გადასვლას „როკში" თამაში ვარჩიე."*

ესტონეთში გატარებულ პირველ სეზონში იგი საშუალოდ 10.6 ქულასა და 3.1 მოხსნას აგროვებდა. მთავარი კი ის გახლდათ, რომ ცინცაძე ბალტიის ლიგაში მეპასეთა საუკეთესო ხუთეულში შევიდა - 4.0 პასი.

მიმდინარე სეზონში გიორგი გაიხსნა, მაგრამ ჯერაც კარგად მოეხსენება, რომ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო, რათა ნებისმიერ გუნდში შეძლოს საკვანძო კალათბურთელობა.

ქართველი გასულ და მიმდინარე სეზონებს ასე ადარებს: *„შარშან საშუალოდ 20-25 წუთს ვთამაშობდი და არ მეძლეოდა თავისუფლება საკუთარი თამაშის საჩვენებლად. მაშინ სხვა კალათბურთელებს ევალებოდათ ქულების მოგროვება. ახლა, ახალი მწვრთნელის ხელში გაცილებით უკეთესად გამოგვდის გუნდური კალათბურთი. ასეთ პირობებში ყველა კალათბურთელს უადვილდება საკუთარი ფუნქციების შესრულება. ასევე, წლეულს უკეთესად გამოვიყურებით დაცვაში. ასეთ სიტუაციაში თავს მეც შესანიშნავად ვგრძნობ."*



წლეულს ცინცაძე საკუთარ გუნდში საუკეთესოა როგორც ქულებში (14.6), ასევე პასებში (5.2 - ევროთასზე მეორე პოზიციაზეა) და ჩაჭრებში (1.6 - ევროთასზე მეცხრეა). მისი თამაში მეტად შემოქმედებითია, ფიზიკური აღნაგობა საშუალებას აძლევს, ფარქვეშ ხშირად დაუბრკოლებლივ შევიდეს, საიდანაც ან ზუსტად ისვრის, ან გამოთავისუფლებულ თანაგუნდელს ბურთს უკან უბრუნებს.

*„ახალგაზრდა ვარ და ყველა სათამაშო კომპონენტი დასახვეწი მაქვს. ამისთვის ბევრი მუშაობა მჭირდება. სხვებზე მეტად დაცვაზე, სროლასა და გადაწყვეტილების სწრაფად მიღებაზე უნდა ვიმუშაო".* გიორგის არც იმის შეხსენება სჭირდება, რომ ევროთასზე შეცდომების საშუალო მაჩვენებლით პირველია - 3.5.

ამ შეჯიბრებაში ქართველ გამთამაშებელს არაერთი კარგი მატჩი აქვს ჩატარებული. იგი, პირველ რიგში, მეოთხედფინალურ შეხვედრებს იხსენებს, როცა მისი შემწეობით „ტარტუ როკმა" რუსული „ურალ გრეიტი" დაამარცხა. გიორგიმ მესამე, გადამწყვეტ მატჩში სეზონის პირადი რეკორდი დაამყარა, 25 ქულა ჩააგდო, 10-დან 10 საჯარიმო გამოიყენა, რასაც 3 პასი მიაყოლა. ხაზგასასმელია შეცდომების მინიმალური რაოდენობაც.

*„ჩემს ყოფილ კლუბ „ურალთან" პირველი ტაიმი ჩვეულებრივად ჩავატარე, მეორე ნახევარში კი ბოლომდე გავიხსენი და, რაც მოვისურვე, ყველაფერი გამომივიდა. რაც მთავარია, მხარდაჭერას ვგრძნობდი თანაგუნდელებისგან, განსაკუთრებით ტანელ ტეინისგან. რადგან მხარდაჭერაზე ვსაუბრობთ, აქვე არ უნდა გამოგვრჩეს ჩვენი ქომაგები. ისინი ყოველი შეხვედრისას დიდ ენერგიას გვმატებენ. საშინაო მატჩებში ქომაგთა დამსახურებით მეტოქეებთან შედარებით სოლიდური უპირატესობა გვაქვს. ტარტუელები გასვლით მატჩებშიც დაგვყვებიან. მართალია, კვიპროსში, ოთხთა ფინალზე მათი რაოდენობა მასპინძელი აელ-ის გულშემატკივართა რაოდენობას არ აღემატებოდა, მაგრამ მათ დახმარებას მაინც ვგრძნობდით."*

მკითხველს შევახსენებთ, რომ „ტარტუ როკმა" ევროთასის ნახევარფინალში ლატვიის „ბარონსთან" 82:88 დათმო, ბუმ 16 ქულა და 6 პასი მიითვალა. მესამე ადგილისთვის მატჩში როკერები მასპინძელ აელ-თან ვერაფერს გახდნენ - 70:79. ქართველმა გამთამაშებელმა 10 ქულა, 5 პასი, 3 ჩაჭრა მიითვალა და ზედ 8 შეცდომა მიაყოლა.

## ხინკალი და ფეხბურთი

ვფიქრობთ, მკითხველს გიორგი ცინცაძის მოენდნისმიღმა ამბებიც დააინტერესებს. ვისაც სურს გაიგოს, ბალტიის „ოლსტარში" რა მოხდა ისეთი, რაზეც ცინცაძე დღესაც იცინის, ვურჩევთ ეს ინტერვიუ წაიკითხოს.

**- გიორგი, მოედანზე ასე თუ ისე, გიცნობთ. თავი არასაკალათბურთო მხრიდანაც გაგვაცანი.**

- მაგალითად?

**- მაგალითად, რა მარკის მანქანით დადიხარ?**

- „ნისანით". პატარა მანქანაა და ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მომწონს, მაგრამ კლუბმა ეს მანქანა მომცა...

**- მიმდინარე სეზონს მაღალ დონეზე ატარებ. უნდა ვივარაუდოთ, რომ გაისად გაცილებით სარფიან კონტრაქტს გააფორმებ და ისეთ მანქანას იყიდი, როგორიც გსურს.**

- კარგი იქნება, თქვენი სიტყვები თუ გამართლდება. ჩემი ოცნებაა „პორშე კაიენის" შეძენა...

**- დილას, გაღვიძების შემდეგ, პირველ რიგში, რაზე ფიქრობ?**

- ჯერ ვდგები და კბილებს ვიხეხავ, მაგრამ რომ იცოდეთ როგორ მიჭირს დილით ადრე ადგომა...

**- რა არის ყველაზე არასასიამოვნო მოვლენა, რაც მოედანზე შეგმთხვევია?**

- ბალტიის ლიგის ვარსკვლავთა მატჩში ჩასატენად ავხტი, თითქოს ხელს არავინ მიშლიდა და საქმე ბოლომდე იოლად უნდა მიმეყვანა, მაგრამ ბურთი კალათიდან ამომიხტა. ამ ეპიზოდის ამსახველი არაერთი ფოტო მაქვს.

**- შენი სამშობლო. საქართველო ცნობილია გემრიელი კერძებით. რომელ მათგანს ანიჭებ უპირატესობას?**

- ხინკალს.

**- კალათბურთელი რომ არ გამოსულიყავი რა სპეციალობას აირჩევდი?**

- ფეხბურთს ვითამაშებდი. სპორტის ეს სახეობაც ძალიან მიყვარს.

მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ჩოგბურთი

# ლაბაძე პრაღიდან ბრუნდება

26 წლის **ირაკლი ლაბაძე**, რომელიც 2004 წლის ივლისის რეიტინგით მსოფლიოს 42-ე ჩოგანი იყო, ბოლოს კორტზე 2006 წლის ნოემბერში გამოვიდა – მაშინ მან სტროუბერის (დიდი ბრიტანეთი) ჩელენჯერზე პირველივე წრეში წააგო **შვედ მიქაელ რიდერსტედტთან** – 1:6, 2:6. ამის მერე ირაკლის ტრავმამ ჩოგბურთის თამაშის საშუალება არ მისცა, გამონაკლისი მხოლოდ „დევისის თასი" იყო, სადაც ლაბაძემ შარშან ორი მატჩი ითამაშა პორტუგალიის ნაკრებთან და წლეულს ამდენივე სლოვაკეთთან. სხვათა შორის, ლაბაძე ოთხიდან სამ შემთხვევაში გამარჯვებული გამოვიდა. და აი, ინდივიდუალურ ორთაბრძოლებს 17 თვით გამოკლებული ლაბაძე კორტზე ჩეხეთის დედაქალაქში ბრუნდება. 28 აპრილიდან ჩელენჯერის სერიის ტურნირი „პრაღის ღია პირველობა" იწყება, სადაც ჩვენი თანამემამულე ძირითად ბადეშია განთესილი.

პრაღის ღია პირველობის საპრიზო ფონდი 100 ათასი ამერიკული დოლარია. მოგეხსენებათ, ირაკლი დიდი ხანია ურეიტინგო ჩოგბურთელია, თუმცა ATP-ის წესების მიხედვით, ტრავმის გამო დიდი ხნით გამოკლებულ ჩოგბურთელს რამდენიმე ტურნირის განმავლობაში ბოლოდროინდელი რეიტინგით თამაში შეუძლია, 2006 წლის ნოემბრისთვის კი ლაბაძე მსოფლიოს 174-ე ჩოგანი იყო. ასე რომ, ლაბაძე არა მარტო ძირითად ბადეშია, არამედ ის აუცილებლად იქნება განთესილი (მე-7 ან მე-8 ნომრად). ახლახან ტრავმის გამო ტურნირიდან მოიხსნა პირველი ჩოგანი გერმანელი **ფლორიან მაიერი** (92), ასე რომ, პირველი ჩოგანი პრაღაში **ირჟი ვანეკი** (96) იქნება. ლაბაძეს კარიერაში 1998 წლიდან დღემდე (რაც პროფესიონალია) მილიონ 213 ათასი დოლარი აქვს მოპოვებული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო

# ერთი სული მაქვს, კოკაის როდის შევხვდები

მოგეხსენებათ, 24 აპრილს გამოქვეყნებულმა რეიტინგმა ოფიციალურად გააფორმა სუმოს ელიტურ დივიზიონ მაკუუჩიში, ქართველი სპორტსმენის, **ლევან გორგაძის (ტოჩინოშინი)** გადასვლა. 20 წლის ტოჩინოშინმა მაეზუმოდან (უდაბლესი დივიზიონი) უმაღლეს დივიზიონამდე გრძელი და რთული გზა სულ რაღაც 13 ბაშოში გაიარა, რაც სუმოს ისტორიაში მეათე შედეგია. ტოჩინოშინი „კასუგანოს ბეიას" (ბეია ანუ კლუბი) წარმომადგენელია, უმაღლესში გადასვლასთან დაკავშირებით მისმა კლუბმა პრესკონფერენცია მოაწყო, რომელსაც „კასუგანო ბეიას" თავკაცი და თავად ქართველი ფალავანი ესწრებოდნენ: *„ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემი დიდი ხნის შრომამ საბოლოოდ ნაყოფი გამოიღო. სანამ პროფესიულ სუმოში ჩავებმებოდი, საქართველოიში ტელევიზორში ვუყურებდი* **კოკაის** *ბრძოლებს და ვნატრობდი, რომ მეც ასე მეჭიდავა. ახლა კი ერთი სული მაქვს, როდის დავეჯახები მას დოჰიოზე. არადა, ჯერ სავარჯიშო კეიკოზეც კი არ შევხვედრილვართ ერთმანეთს. ვერ გეტყვით, რამდენად სწრაფად ამოვედი უმაღლეს დივიზიონში, მაგრამ მოხარული ვარ, რომ სახელოვან რიკიშებთან მომიწევს საქმის დაჭერა".*

ლევანის კლუბის „კასუგანოს" ოიაკატამ (პრეზიდენტმა) განაცხადა, რომ მას სურს: *„ტოჩინოშინი სუმოს იაპონელივით მიუდგეს და იაპონელი ხალხის სიყვარული დაიმსახუროს. ტოჩინოშინის ძალიან კარგი ტექნიკა და უდიდესი ძალა აქვს იმისთვის, რომ წარმატებული სუმოისტი იყოს. კლუბში კი მას ვარჯიშებზე კარგი ოპონენტების ნაკლებობა არ ექნება,* **ტოჩიოძანი** *და* **ტოჩინონადა** *მას უმაღლეს დივიზიონში დახვდნენ".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი. თბილისის მერიის თასი

# ყველა ქართველი მეგობარია!



სასტუმრო „ოდას" პლაჟბურთის მოედანზე დასრულდა „თბილისის" მერიის თასის გათამაშება. როგორც მოსალოდნელი იყო, ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდიც 10 ათასი ამერიკული დოლარი იყო, **გეორ-გიას** გამარჯვებით დასრულდა.

ფინალში **ჟორჟიმ** და **რენატომ სულხან ახვლედიანისა** და **ვახტანგ ჩიქოვანის** წყვილი დაამარცხეს - 21:11, 21:15. ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორები საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა **გოგი თოფაძემ**, სპორტისა და ხალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმა**, ქალაქ თბილისის ვიცემერმა **მამუკა ახვლედიანმა** და ქვეყნის პირველმა ლედიმ, ფრენბურთის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტმა **სანდრა რულოვსმა** დააჯილდოვეს.

**გია:** - ჩემ კარიერაში ყველაზე რთული ტურნირი იყო, ვხუმრობ, ცხადია. ძალიან კმაყოფილი ვარ თბილისში ვიზიტით. ისეთი განცდა მაქვს, ყველა ქართველი ჩემი მეგობარი მგონია. დიდი მადლობა კეთილი, თბილი მიღებისთვის.

**გეორ:** - *საქართველოდან ემოციურად დამუხტულები მივდივართ. მცდელობასა და მონდომებას არც აქამდე ვაკლებდით, მაგრამ დღეიდან საქართველოსთვის გაათკეცებული ენერგიით ვიბრძოლებთ ყველა ტურნირში.*

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ფედერერი ნახევარფინალშია



2006 წლის ფინალის შემდეგ ნადალს მონაკოში სეტიც არ წაუგია

შარშან ეს არავის გაუკვირდებოდა, მაგრამ ამ სეზონში, იმის გამო, რომ აქამდე მხოლოდ ერთი, რიგითი ტურნირის მოგება მოახერხა, მსოფლიოს პირველი ჩოგნის, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** მონტე კარლოს მასტერსის ნახევარფინალში გასვლა განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს.

ისევე როგორც მეორე წრეში, ესპანელ **რუბენ რამირეს იდალგოსთან** შეხვედრისას, შვეიცარიელ მაესტროს ამჯერადაც მდევრის როლში ყოფნამ მოუწია. მაგრამ არგენტინელ **დავიდ ნალბანდიანთან** მეოთხედფინალურ შეხვედრაშიც დააღწია თავი განსაცდელს და მონტე კარლოს მასტერსის ფინალში ზედიზედ მესამედ თამაშისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა.

არადა, ნალბანდიანი იმ იშვიათ ჩოგბურთელთა შორისაა, რომელთანაც მსოფლიოს პირველ ჩოგანს მონაკომდე დადებითი ბალანსი არ ჰქონდა – წინა 16 შეხვედრაში ორივე ჩოგბურთელს რვა თამაში მოეგო.

*"მართლაც უმაღლესი დონის თამაში იყო. ორივემ თავი არ დავზოგეთ. ქულას მეტწილად ბურთის ხანგრძლივი გათამაშებებით ვიპოვებდით. თქმა არ უნდა, ტურნირზე საუკეთესო შეხვედრა ჩავატარე. დავიდის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა და სასიამოვნოა, რადგან ის შესანიშნავი მეჩოგნეა"*, - განცხადა ფედერერმა, ვინც თამაში უხეიროდ დაიწყო და მეტოქეს სეტის მოგების საშუალება მისცა, თუმცა შემდეგ გონს მოეგო და მომდევნო ორი სეტი საკმაოდ იოლად მოიგო.

მომდევნო ეტაპზე, ფედერერის მეტოქე ავსტრალიის ღიას სერბი ჩემპიონი, **ნოვაკ ჯოკოვიჩი** იქნება, რომელმაც იოლად დაამარცხა ამერიკელი **სემ ქვერი**. სხვათა შორის, ამ უკანასკნელს მეოთხედფინალში ბევრი არავინ, თვითონაც კი არ ელოდა.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში ერთმანეთს ესპანელი **რაფაელ ნადალი** და რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** დაუპირისპირდებიან. პირველმა ტურნირი თავის თანამემამულე **დავიდ ფერერს** დაატოვებინა, მეორემ კი ასევე თანამემამულეს, **იგორ ანდრეევს** მოუგო.

ნალბანდიანმა ფედერერს პირველად ექვსი წლის წინ, სწორედ მონტე კარლოს მასტერსზე მოუგო და მას შემდეგ, ძლევამოსილი მეტოქე ზედიზედ ხუთ შეხვედრაში დაამარცხა. მაგრამ მომდევნო ცხრა შეხვედრიდან, რვა შვეიცარიელის გამარჯვებით დასრულდა. შარშან კი უპირატესობა არგენტინელის მხარეს იყო, რომელმაც მსოფლიოს პირველი ჩოგანი ორჯერ, მადრიდს მასტერსის ფინალსა და პარიზის მასტერსის მესამე წრეში დაამარცხა.

შეხვედრის განმავლობაში, ფედერერს ბრეიკის ექვსი შანსი ჰქონდა, რომელთაგან ერთადერთი ვერ გამოიყენა და ისიც, პირველ სეტში, რომელიც არგენტინელის გამარჯვებით დასრულდა. მაგრამ მომდევნო ორ სეტში შვეიცარიელმა ჩოგანი მარჯვედ იქნია და ბრეიკის ხუთიდან ყველა შანსი გამოიყენა.

პირველი გეიმის მოსაგებად, ნალბანდიანს 52 წუთი დასჭირდა. მაგრამ მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო. მეორე სეტის დასაწყისში, მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს, მაგრამ აქედან მოყოლებული, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო და სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა.

მესამე სეტში გარდატეხა მეექვსე გეიმში მოხდა, როცა შვეიცარიელმა ბრეიკის პირველივე შანსი მოწოდების დაბრუნებაზევე, შესანიშნავი დარტყმით ქულად აქცია. გამარჯვება კი ისევ მეტოქის სერვის-გეიმის მოგებით მოიპოვა.

ამგვარად, ფედერერმა თიხისსაფარიან კორტებზე ნათამაშები რვავე შეხვედრა გამარჯვებით დაასრულა. ის ამბობს, რომ თიხნარზე თამაშის რიტმში თავიდანვე შევიდა, რაც საფრანგეთის ღიასთვის კარგად მოსამზადებლად ძალიან გამოადგება. ამის თქმის უფლება კი საკუთარ თავს მხოლოდ იმიტომ მისცა, რომ თიხნარის ერთ-ერთ საუკეთესო მეჩოგნეს მოუგო. თუმცა, ბოლოს დასძინა, შესაძლოა, მოწოდების მხრივ, ყველაფერი იდეალურად არ მაქვსო.

ნადალმა ფერერს პირველ სეტში მხოლოდ 14 ქულის მოპოვების საშუალება მისცა. მაგრამ მეორე სეტის დასაწყისში, ჩოგბურთელებმა როლები გაცვალეს – ფერერი 3:0, 40:15 დაწინაურდა. სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში, ნადალმა ჩემპიონის ხასიათი გამოავლინა. მან ორივე ბრეიკი გაქვითა და მეათე გეიმში, რომელშიც ფერერმა სამი სეტ პოინტი გაანიავა, ანგარიში 5:5 გახდა. ამის შემდეგაც, ფერერმა ორი ბრეიკ პოინტი კიდევ მიიღო, მაგრამ ჩემპიონმა ისინიც გაუქვითა და მომდევნო გეიმში მეტოქის მოწოდება თავად მოიგო, რითაც შეხვედრასაც წერტილი დაუსვა.

სხვათა შორის, ნადალს მონტე კარლოს მასტერსის 2006 წლის ფინალში ფედერერის დამარცხების შემდე, სეტიც არ წაუგია.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**მონტე კარლოს მასტერსი**

მონტე კარლო (მონაკო). თიხნარი

**საპრიზო ფონდი: 2 270 000 ევრო**

**მეოთხედფინალი**

**როჯერ ფედერერი** (შვეი, 1)-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 6) 5:7, 6:2, 6:2

**რაფაელ ნადალი** (ესპ, 2)-დავიდ ფერერი (ესპ, 5) 6:1, 7:5

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბ, 3)-სემ ქვერი (აშშ) 6:4, 6:0

**ნიკოლაი დავიდენკო** (რუს, 4)-იგორ ანდრეევი (რუს) 6:3, 4:6, 7:5

კალათბურთი. ინტერვიუ სტივ ნეშთან

# ამდენ ფავორიტს ვერ ვიხსენებ



"ფინიქსისა" და "სან ანტონიოს" სერია პირველი წრის დაპირისპირებებიდან ცენტრალური, ყველაზე დრამატული და ძნელად პროგნოზირებადია. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი ჩემპიონები სერიაში 2:0 დაწინაურდნენ, ვერავინ იტყვის, რომ გრეგ პოპოვიჩის გუნდს დასავლეთის ნახევარფინალში ადგილი გარანტირებული აქვს. სერიის მომდევნო ორი მატჩი არიზონაში შედგება, სადაც "სანზი" მოსისხლე მტერს არაფერს დაუთმობს და წესით, ტეხასში გუნდები თანაბარი ანგარიშით უნდა დაბრუნდნენ.

"სანზის" კანადელმა გამთამაშებელმა სტივ ნეშმა სერიის ორივე შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა, თუმცა მისი სამიანები და პასები არ გამოდგა საკმარისი თუნდაც ერთი მატჩის მოსაგებად. რა განწყობაა "ფინიქსში" მესამე მატჩის წინ?

**- შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ სერიაში ფსიქოლოგიური უპირატესობა "სპურსის" მხარესაა?**

- "სპურსი" გარკვეულ ფსიქოლოგიურ უპირატესობას ისედაც ფლობდა, რადგან ბოლო წლებში, ჩვენი ყველა საპლეიოფო შერკინება ამ გუნდის გამარჯვებით დასრულდა. "სპურსი" - ეს არის გამოცდილება და ცივსისხლიანობა, რაც მათ ჩვენზე ოდნავ მეტი დოზით გააჩნიათ. ეს არის და ეს. არ გეგონოთ, რომ ასეთი ჩამორჩენა ჩვენთვის გადაუჭრელი პრობლემაა. თუ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინ, "ლეიკერსთან" სულაც 1:3 ვაგებდით, მაგრამ მაინც ჩვენს სასარგებლოდ დავასრულეთ ის სერია. ასე რომ, ყველაფერი წინ არის. დარწმუნებული ვარ, "სპურსშიც" გრძნობენ, რომ გუნდს რამდენჯერმე მაგრად გაუმართლა და ფორტუნა ყოველთვის ერთი გუნდის მხარეს არ იქნება.

**- მოდით, პირველ შეხვედრის საკვანძო მომენტები გავიხსენოთ.**

- მესამე მეოთხედის წინ ის 13-ქულიანი უპირატესობა რომ შეგვენარჩუნებინა, მასპინძლებს მაგრად გაუჭირდებოდათ მატჩის გადარჩენა. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ "სპურსი" ოთხგზის ჩემპიონია და რომ გრეგ პოპოვიჩს ნებისმიერი მატჩის შეტრიალება შეუძლია. სამწუხაროდ, "სპურსს" ამჯერადაც გაუმართლა და წავაგეთ. ტიმ დანკანს სამიანი მთელი სეზონის განმავლობაში არ ჩაეგდო და ჩვენთან გატეხა ნავსი. მაიკლ ფინლის სამიანზე კი ვერაფერს ვიტყვი - მას ასეთი გადამწყვეტი სროლები ადრეც გამოუყენებია.

**- "ფინიქსმა" დაიმატა შაკი, გრანტ ჰილი, ძალიან კარგ ფორმაშია ამარე სტაუდმაიერი, ბარბოსა შარშანდელივით სახიფათოა, მაგრამ მაინც აგებთ...**

- მიზეზებზე საუბარი არ მსურს, რადგან როგორც გითხარით, "სპურსს" არაფერში ჩამოვრჩებოდით. შაკის ტრანსფერმა გაამართლა, კარგი სეზონი ჰქონდა ჰილსაც, ამარე ნამდვილი მხეცია, ბარბოსა კი ამჯერადაც ძალიან სასარგებლოდ თამაშობს. რა გითხრათ, ასეთი შემადგენლობითაც თუ ვერ გავიარეთ "სპურსი" ე. ი., ღმერთს არ სურს, რომ ჩემპიონის თასი ფინიქსში ჩავიტანოთ. სხვას ვერაფერს გეტყვით.

**- რას იტყვით პოპოვიჩის ტაქტიკაზე - "ჩასცხე შაკს"?**

- რა უნდა ვთქვა, შაკს ადრეც ურტყამდნენ, ახლაც ჩაარტყამენ და ეს ყველამ მშვენივრად იცის. სხვათა შორის, ტაქტიკა "ჩასცხე შაკს", პირველად ჩემი "დალასში" ყოფნისას დონ ნელსონმა გამოიყენა.

**- სხვა სერიებს თუ ადევნებთ თვალს?**

- სიმართლე გითხრათ, მხოლოდ "დეტროიტისა" და "ფილადელფიის" პირველი მატჩის პირველი ნახევარი ვნახე და ძალიან გამიკვირდა, როდესაც გავიგე, რომ "პისტონზს" ის შეხვედრა წაუგია. ისე, ნაკლებად ვადევნებ თვალს სხვა სერიებს, საკუთარი სერია ბევრად მნიშვნელოვანია. ვიცი, რომ არაჩვეულებრივ კალათბურთს თამაშობს "ლეიკერსი", სახიფათოა "ნიუ ორლეანი", "ბოსტონში" კი მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობაზე ფიქრობენ. ასე რომ საკმაოდ საინტერესო ჩემპიონატი გვაქვს. ვერ ვიხსენებ, ოდესმე ამდენი ფავორიტი ყოფილიყოს.

**ზურაბ თალაკვაძე**

NBA. დალას მავერიქსი

# მავერიქსს მწვრთნელს შეუცვლიან?

პლეიოფის პირველ წრეში "დალას მავერიქსის" საქმეები ცუდად მიდის. "ნიუ ორლეანთან" ორი მატჩის წაგების შემდეგ, **დირკ ნოვიცკის** გუნდმა ცუდ დღეში ჩაიგდო თავი. ამის გამო, ამერიკელი საკალათბურთო მიმომხილველები თითქმის დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ თუ "დალასი" ამ სერიას დათმობს, გუნდის მფლობელი **მარკ ქიუბანი** თანამდებობიდან გაათავისუფლებს მთავარ მწვრთნელს, **ეივერი ჯონსონს**.

კლუბის ხელმძღვანელობის აზრით, სეზონის მსვლელობისას **ჯეისონ კიდის** შეძენას გუნდი მნიშვნელოვნად უნდა გაეძლიერებინა, მაგრამ დღეისათვის, "დალასი" თავისი თამაშით ნამდვილად არ შედის ჩემპიონობის პრეტენდენტთა რიცხვში. სწორედ ამის გამოა უკმაყოფილო ქიუბანი.

**გიორგი თვალია**

NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**ვაშინგტონი-კლივლენდი 108:72**

21:17, 28:16, 28:18, 31:21

ვ: სტივენსონი (19+3 დაფარება), რ. მეისონი (18), კ. ბატლერი (17+4 ჩაჭრა), ჯეიმისონი (15), ჰეივუდი (14).

კ: ლ. ჯეიმსი (22+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), დ. ბრაუნი (10+8 მოხსნა).

**სერია: 1:2**

**ტორონტო-ორლანდო 108:94**

28:20, 33:20, 19:29, 28:25

ტ: ფორდი (21), კალდერონი (18+7 მოხსნა+13 პასი), ბოში (15+4 ჩაჭრა), კაპონო (15), მუნი (11+10 მოხსნა), ე. პარკერი (10).

ო: თურქოგლუ (26+7 მოხსნა), დ. ჰოვარდი (19+12 მოხსნა+6 ჩაჭრა), ლუისი (19), ბოგანსი (12).

**სერია: 1:2**

**დასავლეთი**

**იუტა-ჰიუსტონი 92:94**

23:27, 21:17, 32:26, 16:24

ი: დ. უილიამსი (28+12 პასი), ბუზერი (15+13 მოხსნა), ბრიუერი (12), ოქური (12+11 მოხსნა), ჰარპრინგი (10).

ჰ: მაკგრეიდი (27+7 პასი), ელსტონი (20), სკოლა (16+10 მოხსნა), ბატიე (12).

**სერია: 2:1**

ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატის წინ

# კანადური არჩევანი

რამდენიმე დღეში, კანადის ქალაქ ჰალიფაქსში მსოფლიო ჩემპიონატი იწყება. პირველი გუნდი, რომელმაც ამ მნიშვნელოვანი ტურნირისთვის წინასწარი შემადგენლობა დაასახელა, მასპინძელთა ნაკრებია. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ კანადამ საშინაო ჩემპიონატისთვის ვარსკვლავური შემადგენლობა შეკრიბა. აი როგორ გამოიყურება **სტივ აიზერმანის** 25-კაციანი სია.

**მეკარეები:** გარონი ("ედმონტონი"), ლეკლერი ("კოლამბუსი"), უორდი ("კაროლინა");

**მცველები:** ბოუმისტერი ("ფლორიდა"), ბერნსი ("მინესოტა"), ჰამჰუისი ("ნეშვილი"), ჟოვანოვსკი ("ფინიქსი"), კეიტი ("ჩიკაგო"), სტაიოსი ("ედმონტონი");

**თავდამსხელები:** ჩიმერა, ნეში (ორივე - "კოლამბუსი"), დოუნი ("ფინიქსი"), გეტცლაფი, კუნიტცი (ორივე - "ანაჰაიმი"), ჰიტლი, სპეცა (ორივე - "ოტავა"), მაიერსი ("სენტ ლუისი"), რუა ("ბაფალო"), შარპი, ტეივზი (ორივე - "ჩიკაგო"), სენტ ლუისი ("ტამპა ბეი"), ე. სტაალი, უიტნი (ორივე - "კაროლინა").

**სათადარიგოები:** მცველი ჯორდანო ("კალგარი"), თავდამსხმელი სემ განიე ("ედმონტონი").

NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**მონრეალი (1)-ფილადელფია (6) 4:3 (ო)**

0:2, 2:0, 1:1, 1:0

გოლები: 0:1 უმბერგერი-2 (რ. ჯონსი-1, დ. ჰეთჩერი-1), 0:2 დაუდი-1 (დაუნი-1, ტორესენი-2), 1:2 ა. კოსტიცინი-4 (ს. კოსტიცინი-4), 2:2 კოვალიოვი-3 (პლეკანეცი-4), 2:3 ლუპული-2 (ქობურნი-4, მ. რიჩარდსი-6), 3:3 კოვალიოვი-4 (ს. კოიჟუ-4), 4:3 კოსტოპულოსი-3 (მარკოვი-2).

**სერია: 1:0**

**დასავლეთი**

**დეტროიტი (1)-კოლორადო (6) 4:3**

3:1, 1:2, 0:0

გოლები: 0:1 პ. შჩასტნი-2 (სმიტი-2, ჰეიდუკი-3), 1:1 ზეტერბერგი-3 (დაციუკი-3, რაფალსკი-4), 2:1 კლირი-1 (ფრანცენი-3, რაფალსკი-5), 3:1 ფრანცენი-3 (კრონვალი-6, ჰუდლერი-4), 4:1 ფრანცენი-4 (ფილპულა-1, სამუელსონი-2), 4:2 ლაილსი-1 (მაკლეოდი-1, ჰენანი-1), 4:3 ჰეიდუკი-3 (პ. შჩასტნი-1, რ. სმიტი-3).

**სერია: 1:0**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. ფორმულა 1. ექსპერტის აზრი

# გადამწყვეტი ბრძოლების წინ



ჰემილტონმა თავი ხელში უნდა აიყვანოს

**მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი,** ლეგენდარული ავსტრიელი ნიკი ლაუდა ამ კვირას გასამართი ესპანეთის შედეგების პროგნოზირებას ცდილობს და აცხადებს, რომ თუ ლუის ჰემილტონს ჩემპიონობა სურს, ბაჰრეინში დაშვებული სულელური შეცდომები აღარ უნდა გაიმეოროს.

**- როგორ ფიქრობთ, ვის დარჩება ამ უიქენდზე ესპანეთის დიდი პრიზი?**

- ძნელი სათქმელია. ესპანელებმა ტექნიკური თვალსაზრისით რთული ტრასა ააშენეს, მაგრამ პილოტები აქ ხშირად ცდიან თავიანთ ბოლიდებს და შესაბამისად, ეს ტრასა ზედმიწევნით კარგად აქვთ შესწავლილი. ამასთან, უკანასკნელმა ტესტებმა დაგვანახეს, რომ "BMW-ზაუბერმა" და "ფერარიმ" ძალიან მოუმატეს.

**- ე. ი. ესპანეთში დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი?**

- ჩემი აზრით, შემდეგი რამდენიმე რბოლა გადამწყვეტი იქნება, რადგან ეტაპებს შორის მცირე პაუზებისას, ტექნიკური პროგრესის მხრივ გუნდები ვერაფრის გაკეთებას ვერ მოასწრებენ. მოკლედ, შესაძლებლობების წარმოჩენისთვის მნიშვნელოვანი პერიოდი დგება.

**- ბარსელონაც ამავე პერიოდს განეკუთვნება?**

- დიახ, სწორედ აქ გადაწყდება, როგორ წავა მომავალში საქმეები - სტამბოლში, მონრეალში, საფრანგეთში... მხოლოდ ბუდაპეშტის შემდეგ იქნება სამკვირიანი პაუზა, ვალენსიაში სადებიუტო რბოლამდე.

**- რა დასკვნები უნდა გაეკეთებინათ სათავისოდ პილოტებს ბაჰრეინის გრან პრის შემდეგ?**

- ფელიპე მასამ იქ ბრწყინვალე რბოლა წარმართა, რაც არ იყო გასაკვირი - მას ხომ პირველ ორ რბოლაში შელახული პრესტიჟის აღდგენა სჭირდებოდა. თუ ის ამჯერადაც სრული კონცენტრაციით გავა ტრასაზე, ყველაფერი გამოუვა. რაც შეეხება ლუის ჰემილტონს, თუ მას მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული უნდა, ბარსელონაში საკუთარი თავი ხელში უნდა აიყვანოს. ბაჰრეინში ვარჯიშისას მომხდარი ავარია, სტარტზე ალონსოსთან კონტაქტი - ჩემპიონები ასე არ დადიან. რაც შეეხება ჰეიკი კოვალაინენს, მას "მაკლარენში" სადებიუტო სეზონი აქვს და ჯერჯერობით, ალბათ, ყველაზე სტაბილურ პილოტად რჩება.

**- ჯეკი სტიუარტი ამბობს, რომ ამჟამად ჰემილტონი ე.წ. მეორე წლის სინდრომით არის დაავადებული, როცა პილოტს სადებიუტო სეზონის შემდეგ, უჭირს შემდეგ წელს თავის გამოჩენა.**

- მისი კლასისა და შესაძლებლობების პილოტს, არც პირველ და არც მეორე წელს არ აქვს სისულელეების კეთების უფლება.

**- ბაჰრეინის გრან პრის შემდეგ, პილოტებმა ხანგრძლივი პაუზა აიღეს. მხოლოდ მიხაელ შუმახერი არ ისვენებდა: მოტოციკლით თავისი მესამე რბოლა გამართა, ორი დღის შემდეგ, ბარსელონაში "ფერარის" ბოლიდი გამოსცადა და მხოლოდ ალონსოს ჩამორჩა. ვერავინ ვერ მოუძებნა ახსნა იმას, თუ რაში სჭირდება ეს ყველაფერი გერმანელს. იქნებ თქვენ აგვიხსნათ?**

- კარგად მესმის, რაც ხდება. მიუხედავად 39 წლის ასაკისა, შუმახერი აბსოლუტურად არ შეცვლილა, მას ძველებურად უყვარს ცხოვრება და სიამოვნების მიღება იმისგან, რითაც კონკრეტულ მომენტში არის დაკავებული. ამ შემთხვევაში, რატომ არ უნდა გააგრძელოს მან თავისი საყვარელი საქმის კეთება?!

**- მიხაელმა ფორმულა 1-ში 15 წელი პრაქტიკულად ტრავმის ´გარეშე გაატარა, მხოლოდ ერთხელ, 1999 წელს მოიტეხა ფეხი. ახლა კი, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ისევ ხიფათში იგდებს თავს.**

- ის იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც რისკის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. ამ მხრივ, მოტოსპორტი შუმისთვის ზედგამოჭრილია. რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ ადამიანებს არ შეუძლიათ ამის გაგება.

**- იქნებ, ის ამას ფორმის შესანარჩუნებლად აკეთებს. იმისთვის, რომ ფორმულა 1-ში დაბრუნდეს?**

- მე ამის არ მჯერა. უბრალოდ, მას სისწრაფე უყვარს. გართობისთვის დროც გააჩნია და ფინანსური შესაძლებლობებიც.

**- თქვენ არ გაგჩენიათ კარიერის დასრულების შემდეგ მოტოციკლზე დაჯდომის სურვილი?**

- არა. ფორმულა 1-ში, რაც კი შეიძლებოდა ყველაფერი გადამხდა თავს. საჩემპიონო ტიტულები "ფერარისა" და "მაკლარენის" რიგებში. "ნიურბურგრინგზე" სიკვდილისთვის თვალებში ჩახედვა, პენსიაში გასვლა და შემდეგ კარიერის თავიდან დაწყება. როცა ფორმულა 1-ს საბოლოოდ გამოვემშვიდობე, სპორტის ამ სახეობამ ჩემთვის არსებობა შეწყვიტა, რადგან ბიზნესში დავიწყე მოღვაწეობა.

**- თუმცა ერთი გამონაკლისი მაინც არსებობდა - თქვენ "იაგუარის" შეფი გახდით. მაშინ ისევ ჩაჯექით ფორმულა 1-ის ბოლიდში, რათა შეგირდებისთვის აგეხსნათ, უკეთ როგორ უნდა მოპყრობოდნენ ტექნიკას.**

- ის წმინდა სამუშაო პროცესი იყო. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ის განცდა, რაც პილოტებს სტარტის წინეუფლებათ ხოლმე, მაშინ ხელახლა ვიგრძენი.

**- მალე, ალბათ, ვაკანტური გახდება ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი. ეს თანამდებობა არ გაინტერესებთ?**

- არა. არ მინდა და არც შემიძლია. საქმე ისაა, რომ ავიაცია თავისუფალ დროს თითქმის არ მიტოვებს.

**გია თვალაბეიშვილი**

# TV სპორტი

## 26 აპრილი. შაბათი

### I არხი

14:55 რაგბი. ერთა თასი. საქართველო-ესპანეთი (LIVE).

### რუსთავი 2

13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.

### მზე

16:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დინამო-მესხეთი (LIVE).

### RenTV

15:50 ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი. IV ეტაპი. ესპანეთის გრან-პრი. კვალიფიკაცია. ბარსელონა (LIVE).

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

11:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-დორტმუნდი.
14:05 საფეხბურთო კლუბი.
14:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:40 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ლივერპული (LIVE).
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შალკე.
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ბარსელონა (LIVE).
23:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:10 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-რედინგი.

### SPORT 1 (უკრაინა)

07:27 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
07:55 მინი-მოედანი.
08:09 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
08:38 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-რეალი.
10:23 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ბაიერნი-ზენიტი.
12:08 სპორტის სამყარო.
12:36 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. პიტსბურგი-რეინჯერსი.
14:29 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
14:56 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
14:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ლივერპული (LIVE).
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შალკე.
21:46 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
22:15 სპორტის სამყარო.
22:45 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბენფიკა-ბელენენსეში (LIVE).
00:43 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ბარსელონა.
02:32 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
03:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. მონრეალი-ფილადელფია (LIVE).
05:40 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
06:09 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
06:37 სპორტის სამყარო.

### EUROSPORT

10:30 რალი-რეიდი. VI ეტაპი.
10:45 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩები.
12:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. VIII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩები.
17:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. VIII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. სუპერმჩატე წონა. დ. კირილოვი (რუსეთი)-ც. სანტოსი (მექსიკა). ნიუ იორკი. აშშ.
22:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. VIII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 რალი-რეიდი. VI ეტაპი.
02:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იორდანია.
02:45 ავტოსპორტი. ფორმულა 1. ქარხნული გუნდები. ტელეჟურნალი.
03:15 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. VIII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
11:30 ავტოსპორტი. ფორმულა 1. ქარხნული გუნდები. ტელეჟურნალი.
12:00 თოვლმავალი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
12:30 ფრისტაილი.
13:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩები.
14:45 ახალი ამბები.
15:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩები.
16:00 ფუტსალი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. დინამო (რუსეთი)-მურსია (ესპანეთი). მოსკოვი. რუსეთი.
17:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ესპანეთი.
17:45 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ესპანეთი.
18:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდია (LIVE).
19:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩები.
21:15 თოვლმავალი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
21:45 ახალი ამბები.
22:10 სერფინგი. ნორვეგია.
22:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ნიდეროსტერაიხი (ავსტრია)-ლადა (რუსეთი) (LIVE).
23:45 საფეხბურთო ფრისტაილი.
00:45 ახალი ამბები.
01:15 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდია.
01:45 არმრესტლინგი.
02:15 ახალი ამბები.

## 27 აპრილი. კვირა

### მზე

21:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. მიმოხილვა.
რუსთავი 2
12:20 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

### RenTV

15:45 ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი. IV ეტაპი. ესპანეთის გრან-პრი. ბარსელონა (LIVE).

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

10:15 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ იუნაიტედი.
12:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:25 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შალკე.
14:15 2:1 - საფეხბურთო თოქ-შოუ.
15:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:25 შოტლანდიის ჩემპიონატი. სელტიკი-რეინჯერსი (LIVE).
17:30 პირდაპირი ხაზი.
18:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ოსასუნა (LIVE).
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ვილიარეალი (LIVE).
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბილბაო (LIVE).
00:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:10 არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-ბოკა ხუნიორსი.

### SPORT 1 (უკრაინა)

07:05 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
07:31 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შალკე.
09:16 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. მონტე კარლო.
13:48 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
14:13 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
14:42 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. მონრეალი-ფილადელფია.
16:33 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. მონტე კარლო (LIVE).
20:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ასტონ ვილა.
21:59 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
22:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ლაციო (LIVE).
00:28 ფეხბურთი. ჰოლანდიის თასი. ფინალი. ფეიენოორდი-როდა.
02:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შალკე.
04:02 სპორტდოსიე. კრიკეტი.
04:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
05:01 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. სან ხოსე-დალასი (LIVE).
06:53 ფეხბურთი. Barca TV.

### EUROSPORT

10:30 რალი-რეიდი. VII ეტაპი.
10:45 ავტოსპორტი. ფორმულა 1. ქარხნული გუნდები. ტელეჟურნალი.
11:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იორდანია.
11:45 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. VIII დღე. შეფილდი. ბრიტანეთი.
13:15 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდია (LIVE).
14:45 ავტოსპორტი. ლე მანის სერია. 1000 კმ. რბოლა ამტანობაზე. საფრანგეთი (LIVE).
15:15 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდია (LIVE).
16:00 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი. ბელგია (LIVE).
19:00 ფუტსალი. უეფას თასი. მატჩი მე-3 ადგილისთვის. მოსკოვი. რუსეთი.
19:30 ფუტსალი. უეფას თასი. ფინალი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
21:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდია.
21:30 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
22:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. IX დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 ავტოსპორტი. ლე მანის სერია. 1000 კმ. რბოლა ამტანობაზე. საფრანგეთი.
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იორდანია.
02:00 პროფესიული კრივი. ნახევრადმჩატე წონა. გ. სტარკი (აშშ)-ა. ლედესმა (კოლუმბია). ნიუ იორკი. აშშ.
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იორდანია.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდია.
12:30 სუპერსტოკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჰოლანდია (LIVE).
13:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩები.
14:45 ახალი ამბები.
15:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ნიდეროსტერაიხი (ავსტრია)-ლადა (რუსეთი).
16:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. პორტუგალია (LIVE).
17:00 ფუტსალი. უეფას თასი. მე-3 ადგილისთვის. მოსკოვი. რუსეთი.
18:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. დიორი (უნგრეთი)-ზვეზდა (რუსეთი) (LIVE).
19:45 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ესპანეთი.
20:45 ახალი ამბები.
20:55 სერფინგი. ნორვეგია.
21:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. სან ხოსე-კოლორადო.
22:30 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. პორტუგალია.
23:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფუტსალი. უეფას თასი. ფინალი. მოსკოვი. რუსეთი.
02:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ინგლისი

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| იეოვილი-ლიდსი | 0:1 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| აინტრახტი-დორტმუნდი | 1:1 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აუე-კიოლნი | 3:3 |
| კაიზერი-ალემანია | 2:1 |
| პადერბორნი-კობლენცი | 3:2 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ესენი-ვერდერი A | 3:0 |

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| ბაიერნი A-შტუტგარტი A | 1:3 |
| ინგოლშტადტი-ოგერშაიმი | 2:1 |

### საფრანგეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბასტია-შატორუ | 2:3 |
| ბრესტი-ამიენი | 1:0 |
| კლერმონი-სედანი | 2:1 |
| დიჟონი-გინგამი | 1:0 |
| გენიონი-ნიორი | 1:0 |
| ჰავრი-რეიმსი | 2:0 |
| ლიბურნი-ანჟერსი | 1:1 |
| ტრუა-ბულონი | 2:2 |
| ნანტი-მონპელიე | 1:1 |

### ბელგია

| | |
|---|---|
| ლოკერენი-გენტი | 1:1 |

### პორტუგალია

| | |
|---|---|
| ბრაგა-ფერეირა | 2:1 |

### ავსტრია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ავსტრია (ლ)-ლუშტენაუ | 2:1 |
| ბად ოსი-ავსტრია II | 1:4 |
| გრატკორნი-ლეობენი | 1:2 |
| კაპფენბერგი-პარნდორფი | 4:1 |
| შვადორფი-ზალცბურგი II | 3:2 |
| შვანენშტადტი-კერნტენი | 2:2 |

### ირლანდია

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-დერი | 0:0 |
| კობ რამბლერსი-უნივერსიტი | 0:0 |
| კორკი-დროგედა | 0:2 |
| გალვეი-ბრეი | 2:3 |
| ფინ ჰარპსი-სლიგო | 0:1 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| ლიუნგსკიდე-გიოტებორგი | 2:1 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ტუნი-სტ. გალენი | 1:1 |

### ბულგარეთი

| | |
|---|---|
| ბელასიცა-ბეროე | 3:1 |
| სპარტაკი-სლავია | 2:1 |
| ვიდიმა-ლოკომოტივი (ს) | 0:0 |
| ვიჰრენი-ჩერნო მორე | 1:1 |
| ლიტექსი-ლოკომოტივი (პ) | 3:1 |
| ცსკა-მარეკი | 4:0 |
| ჩერნომორეცი-ბოტევი | 3:1 |
| ლევსკი-პირინი | 4:0 |

### უკრაინა

| | |
|---|---|
| დნიპრო-ჩერნომორეცი | 1:0 |

### რუსეთი

| | |
|---|---|
| დინამო-რუბინი | 0:2 |

### პოლონეთი

| | |
|---|---|
| პოლონია-რუხი | 1:1 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| შენეცი-ტრნავა | 4:1 |

### უნგრეთი

| | |
|---|---|
| ვაშაში-ზალაეგერსეგი | 1:0 |

## კალათბურთი

### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ნანსი-ვილერბანი | 96:76 |

## ჩოგბურთი

### ATP. მონტე კარლო

| | |
|---|---|
| დავიდენკო-ანდრეევი | 6:3, 4:6, 7:5 |
| ნალბანდიანი-ფედერერი | 7:5, 2:6, 2:6 |
| ნადალი-ფერერი | 6:1, 7:5 |
| ჯოკოვიჩი-კუერი | 6:4, 6:0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრენა სიღრმეში



## დაივერის აზრით, ზვიგენი წყალქვეშა სამყაროს ყველაზე გრაციოზული და ლამაზი ბინადარია

**დაივინგს ხანდახან პენსიონერების ექსტრიმს უწოდებენ. ფიქრობენ, ვითომ რა უნდა იყოს ამაში ასეთი ექსტრემალური? მაგრამ, როგორც ირკვევა, პენსიონერები და საერთოდ, მშვიდი ცხოვრების მოყვარულები სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ, სანამ წყალში ჩაყვინთვას გადაწყვეტენ.**

მსოფლიოში არ არსებობს სტატისტიკის ერთიანი სისტემა, რომელიც იმ უბედურ შემთხვევებს დაითვლის, რაც დაივერებს წყალქვეშ გადახდენიათ. ამასთან, ტრაგედიების დიდი ნაწილის მიზეზები დაუდგენელი რჩება. რატომ იქცევა ხოლმე ეს ერთი შეხედვით პოპულარული და ხელმისაწვდომი სახეობა, ნამდვილ ექსტრიმად?

დაივინგის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ყვინთვისას უბედური შემთხვევები ორი მიზეზით ხდება. პირველი - ეს არის თავად დაივერის შეცდომა, რომელიც ძირითადად იმითაა განპირობებული, რომ მყვინთავი იმაზე უფრო ღრმად ჩადის წყალში, ვიდრე ეს მისი შესაძლებლობებისთვის არის დაშვებული. მეორე მიზეზი - ე. წ. აზოტური ნარკოზის მოქმედება. საქმე ისაა, რომ აკვალანგით ყვინთვის უმეტეს შემთხვევებში, სიღრმეში ჩასვლა ბალონებში შეკუმშული ჰაერით ხორციელდება. აზოტი, რომლის შემცველობა ჰაერში 78 პროცენტს უდრის, დიდ სიღრმეზე ნარკოტიკული ნივთიერებასავით მოქმედებს - თავიდან ეიფორიას, შემდეგ სივრცეში ორიენტაციის დაკარგვას, ჰალუცინაციებს და ბოლოს, გონების დაკარგვას იწვევს. გასაგებია, რომ წყალქვეშ ამან შეიძლება ყველაზე არასასურველი შედეგი მოიტანოს. პრინციპში, აზოტური ნარკოზის მოქმედება იოლი გადასალახია - ამისთვის საკმარისია წნევის რეგულირება, ანუ ზემოთ ათიოდე მეტრით ასვლა. მაგრამ ამას ხელს უშლის ერთი მოვლენა - მას "ნარკოზის უარყოფა" ჰქვია. როგორც აღმოჩნდა, დაივერების დიდ ნაწილს აზოტური "თრობისა" არ სჯერა. ერთი გამოცდილი მყვინთავი ამბობდა, რომ მას არაერთხელ ამოუთრევია წყლიდან მოყვარული დაივერები, რომლებსაც მთლიანად დაკარგული ჰქონდათ ორიენტაცია და ფსკერისკენ მიდიოდნენ. მაგრამ ამის შემდეგაც, უკვე გადარჩენილები არ აღიარებდნენ, რომ კინაღამ ნარკოზის მსხვერპლნი გახდნენ. აქ მთავარი პრობლემა ის არის, ნარკოზის მოქმედების ქვეშ, ადამიანი საერთოდ ვერ აცნობიერებს თავის მოქმედებასა და მის გარშემო მომხდარს.

რა თქმა უნდა, აზოტური ნარკოზისადმი აგდებული დამოკიდებულება - სერიოზული შეცდომაა, მაგრამ არანაკლებ საშიში სხვა საფრთხეებიც არსებობს. ძირითადად ამის მიზეზი საკუთარი ძალების შეუფასებლობაა, ანუ პროფესიონალ დაივ-ინსტრუქტორების ენაზე რომ ვთქვათ - ზღვარის გადამეტება. ძალიან ბევრი უბედური შემთხვევა იმის გამო ხდება, რომ ღრმა ჩაყვინთვისას, გამოუცდელი დაივერები არ ცნობენ საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობებს.

დაივერებისთვის საკულტო ადგილად წითელი ზღვის ეგვიპტური სანაპირო ითვლება. კერძოდ, ქალაქ დაჰაბთან ახლოს მდებარე ლაგუნა, რომელსაც ცისფერ ხვრელსაც ეძახიან. ამ ადგილსაც ბევრი უბედური შემთხვევა ახსოვს. ზუსტად არ არის დათვლილი, მაგრამ ცისფერი ხვრელის ფსკერზე მინიმუმ 140 გვამი უნდა იყოს. თუ ძველ დაივერებს დავუჯერებთ, აქ უპრობლემოდ შეიძლება ჩაყვინთვა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ დაივერი რთული ჩასვლისთვის საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობას იახლებს თან - ეს არის დამატებითი დაზღვევა, სათადარიგო ბალონები და სხვა. ხოლო ის, ვინც იქ ჩასვლას მხოლოდ ერთი ბალონით ბედავს, როგორც წესი, ხშირად უკან ვერ ბრუნდება. საერთოდ, მყვინთავებში გავრცელებული მოსაზრებაა - ასეთი დაუდევარი დაივერისთვის უბედური შემთხვევა არა ალბათობის, არამედ დროის საკითხია.

■ ■ ■

ამ საშინელი ისტორიების მოყოლის შემდეგ, ადამიანს შეიძლება მუხლები აუკანკალდეს და ჩათვალოს, რომ ამაზე სარისკო საქმე არ არსებობს. სინამდვილეში კი, თუ დაივინგის ძირითად წესებს დაიცავ, ეს სპორტი აბსოლუტურად უსაფრთხო გახდება.

თანაც, წესები, რომლებიც უსაფრთხოების გარანტიას იძლევა, არც ისე ბევრია: მარტო არ უნდა ჩაყვინთო, უნდა აკონტროლო ჰაერის დანახარჯი, დაიცვა ამოყვინთვის თანაბრობა და რაც მთავარია - არ უნდა გადააფასო საკუთარი ძალები. თუ ამ მარტივ წესებს დაიცავთ, დაივინგისგან არნახულ სიამოვნებას მიიღებთ. დაივინგი ხომ თითქმის იგივეა, რაც უწონობაში მართული ფრენა. თანაც, ეს სტრესთან ბრძოლის შესანიშნავი ხერხია: როცა აცნობიერებ, რომ მთელი ჰაერი, რომლითაც სუნთქვა შეგიძლია, შენს ზურგზე დამაგრებულ ერთ პატარა ბალონშია მოთავსებული, მთელი ცხოვრებისეული პრობლემები იქ, ნაპირზე დარჩა. ისინი უმნიშვნელოდ, არასერიოზულად და ხელოვნურად გეჩვენებათ.

დაივინგის ლეგენდარული მიმდევარია, 80-იან წლებში ყველაზე ფსიქოდელიური როკ-ჯგუფის, Grateful Dead-ის ყოფილი ლიდერი **ჯერი გარსია**, რომელმაც ნარკოტიკები გადააგდო და დაივინგზე გადავიდა. ბატონი გარსია, რომელიც ორგანიზმის სიმულაციის ბევრ ხერხს იცნობდა, ამტკიცებდა, რომ დაივინგის ფსიქოდელია აბსოლუტურად არ ჩამოუვარდება ნარკოტიკების ფსიქოდელიას. განსხვავება ის არის, რომ დაივინგი გაცილებით უკეთ აისახება ჯანმრთელობაზე.

არ უნდა დაგვავიწყდეს წყალქვეშა სამყაროს სილამაზეც. თავიდან, დაივინგში მხოლოდ იმის გამო მიდიან, რომ "თევზები დაათვალიერონ", ეს შემდეგ იქცევა ხოლმე მათთვის დაივინგი ცხოვრების საქმედ. დაივერი - ერთადერთი ადამიანია მსოფლიოში, ვისაც სიტყვა "ზვიგენის" ხსენება კი არ აშინებს, არამედ პირიქით, სრულ ექსტაზში მოჰყავს და მაშინვე წყალქვეშა აღჭურვილობას ეცემა: მათი აზრით, ზვიგენი წყალქვეშა სამყაროს ყველაზე გრაციოზული და ლამაზი ბინადარი ყოფილა.

დაივერის კიდევ ერთი ინტერესი - ჩაძირული გემების, წყალქვეშა ქალაქებისა და მღვიმეების გამოკვლევაა. საინტერესო ობიექტებზე დაკვირვების სურვილი დაივერს დედამიწის ისეთ კუთხეებში უკრავს თავს, რომელიც ნორმალურ ადამიანს არასოდეს გაუგია. გსმენიათ რამე მიკრონეზიის ფედერალური შტატების შესახებ? ეს პატარა სახელმწიფო დაივერების ერთ-ერთი საკულტო წერტილია. მეორე მსოფლიო ომის დროს, ამერიკელებმა მიკრონეზიული ატოლის (ატოლი - მარჯნის რგოლისებური კუნძული, რომლის შუაში ლაგუნაა მოქცეული) გვერდით იაპონური ფლოტილია ჩაძირეს და ახლა ეს ერთადერთი ადგილია მსოფლიოში, სადაც არც ისე დიდ სიღრმეზე ჩაძირული ავიამზიდის დათვალიერება შეიძლება. არსებობს გემების სხვა ცნობილი სასაფლაოები, მაგალითად ჰავაიზე ბიკინის ატოლი ან სკაპ ფლოუს კონცხი შოტლანდიაში. იშვიათად გვხვდება კარგად შენახული ჩაძირული ქალაქები. მათ შორის ყველაზე ცნობილია - პორტი როიალი იამაიკაზე, კარიბის ზღვის მეკობრეების დედაქალაქი, რომელსაც ლეგენდის თანახმად, ღვთის რისხვა წარღვნის სახით დაატყდა თავს.

რაც შეეხება წყლის ფაუნას, აქ სილამაზით კონკურენციის გარეშეა წითელი ზღვის ეგვიპტური სანაპირო თავისი მარჯნის ლამაზი ბაღებით. სერიოზულად გატაცებულმა დაივერებმა აუცილებლად უნდა მოინახულონ კუნძული პალაუ, ან დიდი ბაჰამა, რომელიც მთელი მსოფლიოდან იზიდავს მყვინთავებს, რადგან აქ დელფინების გუნდთან ერთად ცურვის საშუალება არსებობს.

■ ■ ■

იმისთვის, რომ ჰავაის კუნძულებზე ან წითელ ზღვაზე გაემგზავროთ, თავიდან დაივინგის კურსების გავლაა საჭირო: რაც არ უნდა იყოს, ტექნიკური მხარე აქ წამყვან როლს თამაშობს. ახალბედა თავიდან თეორიის კურსს ეცნობა, პირველ ყვინთვას კი, დახურულ წყალში, ანუ აუზში ახორციელებს. ამას მოყვება პირველი გასვლა ღია წყალზე და რამდენიმე ჩაყვინთვის შემდეგ, თქვენ საერთაშორისო ლიცენზიას გადმოგცემენ, რაც, პრაქტიკულად, ყველგან ყვინთვის უფლებას ნიშნავს.

ერთი ჩაყვინთვის ღირებულება თითქმის ყველგან ერთნაირია და დაახლოებით 25-50 (უბრალო ჩაყვინთვა) ან 100-200 დოლარს (ტექნიკური ჩაყვინთვა) უდრის. აღჭურვილობას რაც შეეხება, თუ წელიწადში მაქსიმუმ ორჯერ აპირებთ დაივერობას, მხოლოდ აუცილებელის შეძენაც გეყოფათ: მილი, ნიღაბი და ფარფლები. ეს ყველაფერი დაახლოებით 300 დოლარი დაგიჯდებათ. ხოლო იმათ, ვისი გეგმებიც უფრო სერიოზულია, საკუთარი აღჭურვილობის შეძენა დასჭირდებათ. ამისთვის მინიმალური თანხა 1500 დოლარს შეადგენს, ხოლო უფრო მაღალი ხარისხის აღჭურვილობისთვის, 2500-3000 დოლარს უნდა გადადოთ.

როგორც ხედავთ, დაივინგი არც ისე იაფი გართობაა. ღირს თუ არა რისკის გაწევა და ფულის დახარჯვა კარიბის ზღვის მეკობრეების ქალაქის დასათვალიერებლად ან უბრალოდ, დელფინებთან ერთად სასეირნოდ - ეს უკვე თქვენი გადასაწყვეტია.

**გია თვალაბეიშვილი**